გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№145 (12824) 23 ივნისი სამშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

# ყველაფერს იღბალი უნდა




რუსთავის ოლიმპის ბედი უეფას გენერალური მდივნის დევიდ ტეილორის ხელში

# წილის წილი

ვიტ ჯორჯია — მარიბორი



რამაზ მუმლაძე, ვიტ ჯორჯია

## უფრო სუსტის შეიძლებოდა, მარიბორი შუალედურია

მეტალურგსი — დინამო

კახა კაჭარავა, დინამო

## ლატვიელებს ახლა უპირატესობა აქვთ...



ოლიმპი — ბ 36



ვარლამ კილასონია, ოლიმპი

## გახარებული ვარ... თუმცა პოლონელებზე ჯერ არ ვფიქრობ

ლისბერნი — ზესტაფონი

გია გეგუჩაძე, ზესტაფონი

## ეს ბარიერიც უნდა გადავლახოთ და შევეჯებიც



>> გვერდი 2-5 წილისყრა სრულად, მეტოქეები, კომენტარები...

CHAMPIONS LEAGUE — EUROPA LEAGUE

დიახ, მართლაც რომ იღბალი უნდა ყველაფერს. წილისყრაც იღბალია, ისეთი კამათელია, ვერ დასვამ. წილისყრას ვერ მოაბამ თავს, რაც ამოგივა, ეგ არის...

გუშინ ნიონში ევრომეტოქეები ქართულ გუნდებსაც არგუნეს. სამდურავი მათგან არავის უნდა ჰქონდეს - თუ მომგები ხარ, მოიგებ, ოღონდ, იღბალი აქაც საჭიროა და გუშინ ტოლ-სწორი გუნდები შეხვდათ ჩვენებურებს.

საქართველოს ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას" სლოვენიის საუკეთესო გუნდ „მარიბორთან" მოუწევს შეხლა. „მარიბორს" უკვე უთამაშია ჩემპიონთა ლიგაში. ეს 10 წლის წინანდელი ამბავია, მაგრამ ფეხბურთი ტრადიციული თამაშია და ტრადიციები, დიახაც, ბევრს ნიშნავს. თუმცა „მარიბორი" დიდი გუნდების მარაქაში არასდროს ყოფილა და იქნებ, საქართველოს ჩემპიონთან ფეხიც დაუცდეს...

საქართველოს თასის წლევანდელი მფლობელი თბილისის „დინამო" ლატვიურ (ლიეპაია) „მეტალურგსს" შეებრძოლება. 5 წლის წინათ ლატვიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზა. ლატვია, ალბათ, ყველაფრით წინ არის ჩვენზე, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენ გვყავს თბილისის „დინამო" და ამ სახელმა ლიეპაიას გუნდი, ვინძლო, დალეწოს კიდეც.

„ზესტაფონი" ჩრდილოირლანდიურ „ლისბერნს" გადაეყარა და ფრთხილად უნდა იყოს - ბრიტანელები ფეხბურთს მარჯვედ თამაშობენ. მართალი კია, რომ „ლისბერნის" სახელი ვერაფერს გვეუბნება, მაგრამ... ქართული გუნდებისთვის ნებისმიერი მეტოქე სერიოზულ ძალას წარმოადგენს - ასე მოიტანა ჟამთა სვლამ. თუმცა „ზესტაფონს" ჰყავს ისეთი მწვრთნელი და ფეხბურთელები, ევროგამოცდილება რომ გააჩნიათ და ფეროელებს მომდევნო ეტაპზე გასვლის რიგიანი შანსიც აქვთ.

საქართველოს ნაკრებია, ჯგუფში ფარერები რომ აღარ ჰყავს და თამაშსაც ველარ იგებს, თორემ რუსთავის „ოლიმპს" რა უჭირს - რჩეული მეთევზეებისგან დაკომპლექტებულ „ბ 36 ტორსჰავნთან" მოუწევს ბურთის დევნა. ღმერთმანი, ყველაზე მეტად მაინც „ოლიმპს" გაუმართლა...

მოკლედ, რაღა დარჩა, ერთი კვირაც და ქართული გუნდები ევროპულად აძიგძიგდებიან.

დავით თავართქილაძე

გია ქანთურია:
# მე ქართველი ბოსმანი გავხდები



>> გვერდი 6

# გალა ჩაიშალა

## რა გზას დაადგება ხიზანიშვილი?

**ზურაბ ხიზანიშვილი** „გალათასარაიში" არ გადავა. საქართველოს ნაკრების მცველში, რომელსაც „ბლექბერნთან" კონტრაქტი 2011 წელს უმთავრდება, ინგლისელებმა თავდაპირველად 3 მილიონი ევრო მოითხოვეს, მერე 2.5-ზეც ჩამოვიდნენ... თუმცა „გალათასარაის" ესეც არ აძლევდა ხელს და ამიტომაც ჩაიშალა ვაჭრობა. შესაბამისად, სტამბოლური გრანდი სხვა მცველს მოძებნის. **მადურო** (ვალენსია), **კასერესი** (ბარსელონა) და **ოლეგერი** (აიაქსი) - ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთაგან „გალას" თავკაცი **ფრანკ რაიკაარდი** ერთ-ერთს შეარჩევს. ხოლო დარჩება თუ არა ხიზანიშვილი „ივუდ პარკზე", ეს საკითხი კვლავ ღიად რჩება.

დავით ცაბაძე



# ევროპის საკლუბო ტურნირები 2009/10

## ჩემპიონთა ლიგა და ევროპის ლიგა. წილისყრისა და სათამაშო თარიღები

### UEFA CHAMPIONS LEAGUE

**ჩემპიონთა ლიგა**

## I საკვალიფიკაციო რაუნდი

30 ივნისი/1 ივლისი-7/8 ივლისი

1 სენტ ჯულია (ანდორა)-ტრე ფიორი (სან მარინო)
2 ჰიბერნიანსი (მალტა)-მოგრენი (ჩერნოგორია)

## II საკვალიფიკაციო რაუნდი

14/15 ივლისი-21/22 ივლისი

1 ტირანა (ალბანეთი)-სტაბეკი (ნორვეგია)
2 ვიტ ჯორჯია (საქართველო)-მარიბორი (სლოვენია)
3 სტრეიმური (ფარერები)-აპოელ (კვიპროსი)
4 კოპენჰაგენი (დანია)-2. წყვილის გამარჯვებული*
5 დებრეცენი (უნგრეთი)-კალმარი (შვედეთი)
6 სკოპიე (მაკედონია)-ბატე (ბელარუსი)
7 ჰაფნარფიორდური (ისლანდია)-აქტობე (ყაზახეთი)
8 პიუნიკი (სომხეთი)-დინამო (ხორვატია)
9 ვენტსპილსი (ლატვია)-დუდელანჟი (ლუქსემბურგი)
10 ეკრანასი (ლიტვა)-ბაქი (აზერბაიჯანი)
11 ზალცბურგი (ავსტრია)-ბოჰემიანსი (ირლანდია)
12 ზრინისკი (ბოსნია)-სლოვენი (სლოვაკეთი)
13 ინტერი (ფინეთი)-შერიფი (მოლდოვა)
14 რილი (უელსი)-პარტიზანი (სერბეთი)
15 ვისლა (პოლონეთი)-ლევადია (ესტონეთი)
16 ლევსკი (ბულგარეთი)-1. წყვილის გამარჯვებული
17 მაქაბი (ხაიფა, ისრაელი)-გლენტორანი (ჩრ. ირლანდია)

*შენიშვნა: * - იგულისხმება პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შესაბამისი წყვილი*



**წილისყრა**

| თარიღი | დრო | ტურნირი/ეტაპი |
|---|---|---|
| 17.07.09 | 15.00 | ჩ/ლიგა, III საკვალ/რაუნდი |
| 17.07.09 | 16.30 | ე/ლიგა, III საკვალ/რაუნდი |
| 07.08.09 | 15.00 | ჩ/ლიგა, პლეი ოფი |
| 07.08.09 | 16.30 | ე/ლიგა, პლეი ოფი |
| 27.08.09 | 21.00 | ჩ/ლიგა, ჯგუფური ეტაპი |
| 28.08.09 | 16.00 | ე/ლიგა, ჯგუფური ეტაპი |
| 18.12.09 | 16.00 | ჩ/ლიგა, 1/8 ფინალი |
| 18.12.09 | 17.00 | ე/ლიგა, 1/16, 1/8 ფინალი |
| 19.03.10 | 16.00 | ჩ/ლიგა, 1/4, 1/2 ფინალი, ფინალი |
| 19.03.10 | 17.00 | ე/ლიგა, 1/4, 1/2 ფინალი, ფინალი |

**ჩემპიონთა ლიგა**

| სტადია | მატჩი | თარიღი |
|---|---|---|
| I საკვალ/რაუნდი | I | 30.06/01.07.09 |
| I საკვალ/რაუნდი | II | 07/08.07.09 |
| II საკვალ/რაუნდი | I | 14/15.07.09 |
| II საკვალ/რაუნდი | II | 21/22.07.09 |
| III საკვალ/რაუნდი | I | 28/29.07.09 |
| III საკვალ/რაუნდი | II | 04/05.08.09 |
| პლეი ოფი | I | 18/19.08.09 |
| პლეი ოფი | II | 25/26.08.09 |
| ჯგუფური ეტაპი | I* | 15/16.09.09 |
| ჯგუფური ეტაპი | II* | 29/30.09.09 |
| ჯგუფური ეტაპი | III* | 20/21.10.09 |
| ჯგუფური ეტაპი | IV* | 03/04.11.09 |
| ჯგუფური ეტაპი | V* | 24/25.11.09 |
| ჯგუფური ეტაპი | VI* | 08/09.12.09 |
| 1/8 ფინალი | I | 16/17.02.10 და 23/24.02.10 |
| 1/8 ფინალი | II | 09/10.03.10 და 16/17.03.10 |
| 1/4 ფინალი | I | 30/31.03.10 |
| 1/4 ფინალი | II | 06/07.04.10 |
| 1/2 ფინალი | I | 20/21.04.10 |
| 1/2 ფინალი | II | 27/28.04.10 |
| ფინალი | მადრიდი | 22.05.10 |

*შენიშვნა: * - ტური*

**ევროპის ლიგა**

| სტადია | მატჩი | თარიღი |
|---|---|---|
| I საკვალ/რაუნდი | I | 02.07.09 |
| I საკვალ/რაუნდი | II | 09.07.09 |
| II საკვალ/რაუნდი | I | 16.07.09 |
| II საკვალ/რაუნდი | II | 23.07.09 |
| III საკვალ/რაუნდი | I | 30.07.09 |
| III საკვალ/რაუნდი | II | 06.08.09 |
| პლეი ოფი | I | 20.08.09 |
| პლეი ოფი | II | 27.08.09 |
| ჯგუფური ეტაპი | I* | 17.09.09 |
| ჯგუფური ეტაპი | II* | 01.10.09 |
| ჯგუფური ეტაპი | III* | 22.10.09 |
| ჯგუფური ეტაპი | IV* | 05.11.09 |
| ჯგუფური ეტაპი | V* | 02/03.12.09 |
| ჯგუფური ეტაპი | VI* | 16/17.12.09 |
| 1/16 ფინალი | I | 18.02.10 |
| 1/16 ფინალი | II | 25.02.10 |
| 1/8 ფინალი | I | 11.03.10 |
| 1/8 ფინალი | II | 18.03.10 |
| 1/4 ფინალი | I | 01.04.10 |
| 1/4 ფინალი | II | 08.04.10 |
| 1/2 ფინალი | I | 22.04.10 |
| 1/2 ფინალი | II | 29.04.10 |
| ფინალი | ჰამბურგი | 12.05.10 |

*შენიშვნა: * - ტური*



### UEFA EUROPA LEAGUE

**ევროპის ლიგა**

## I საკვალიფიკაციო რაუნდი

2 ივლისი-9 ივლისი

1 მტზ-რიპო (ბელარუსი)-სუტიესკა (მაკედონია)
2 ლაჰტი (ფინეთი)-დინამო (ალბანეთი)
3 ვეტრა (ლიტვა)-გრევენმახერი (ლუქსემბურგი)
4 რუსენბორგი (ნორვეგია)-ნსი (ისლანდია)
5 ჰალადაში (უნგრეთი)-ირტიში (ყაზახეთი)
6 სლიგო როვერსი (ირლანდია)-ვლაზნია (ალბანეთი)
7 ოლიმპი (საქართველო)-ბ 36 (ფარერები)
8 ანორთოსისი (კვიპროსი)-კერინგი (ლუქსემბურგი)
9 სლავენი (ხორვატია)-ბირკირკარა (მალტა)
10 ზიმბუ (მოლდოვა)-ოკჟეპტესი (ყაზახეთი)
11 ლისბერნი (ჩრ. ირლანდია)-ზესტაფონი (საქართველო)
12 ჰელსინგბორგი (შვედეთი)-მიკა (სომხეთი)
13 ვალეტა (მალტა)-კეფლავიკი (ისლანდია)
14 დინაბურგი (ლატვია)-ნომე კალიუ (ესტონეთი)
15 ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)-პოლონია (პოლონეთი)
16 რუდარი (სლოვენია)-ტრანს ნარვა (ესტონეთი)
17 მოზერველი (შოტლანდია)-ლანელი (უელსი)
18 შიროკი ბრიგი (ბოსნია)-ბანანცი (სომხეთი)
19 სპარტაკი (სლოვაკეთი)-ინტერი (აზერბაიჯანი)
20 დინამო (მინსკი, ბელარუსი)-რენოვა (მაკედონია)
21 რანდერსი (დანია)-ლინფილდი (ჩრ. ირლანდია)
22 სიმურგი (აზერბაიჯანი)-ბნეი იეჰუდა (ისრაელი)
23 ნიუ საინტსი (უელსი)-ფრამი (ისლანდია)

## II საკვალიფიკაციო ეტაპი

16 ივლისი-23 ივლისი

1 4. წყვილის გამარჯვებული*-ყარაბაღი (აზერბაიჯანი)
2 პ.ფერეირა (პორტუგალია)-10. წყვილის გამარჯვებული
3 15. წყვილის გამარჯვებული-იუვენესი (სან მარინო)
4 შტურმი (ავსტრია)-18. წყვილის გამარჯვებული
5 ბაზელი (შვეიცარია)-სანტა კოლომა (ანდორა)
6 ჰონკა (ფინეთი)-ბანგორ სიტი (უელსი)
7 ჟილინა (სლოვაკეთი)-დაჩია (მოლდოვა)
8 8. წყვილის გამარჯვებული-პეტროვაც (ჩერნოგორია)
9 სენტ პატრიკსი (ირლანდია)-13. წყვილის გამარჯვებული
10 ომონია (კვიპროსი)-ტორსჰავნი (ფარერები)
11 გორიცა (სლოვენია)-2. წყვილის გამარჯვებული
12 სიგმა (ჩეხეთი)-23. წყვილის გამარჯვებული
13 ლეგია (პოლონეთი)-7. წყვილის გამარჯვებული
14 ფალკირკი (შოტლანდია)-ვადუცი (ლიხტენშტაინი)
15 ელფსბორგი (შვედეთი)-5. წყვილის გამარჯვებული
16 რაპიდი (ავსტრია)-6. წყვილის გამარჯვებული
17 ნაფტანი (ბელარუსი)-გენტი (ბელგია)
18 მეტალურგსი (ლატვია)-დინამო (საქართველო)
19 დიფერდანჟი (ლუქსემბურგი)-რიეკა (ხორვატია)
20 სუდუვა (ლიტვა)-21. წყვილის გამარჯვებული
21 3. წყვილის გამარჯვებული-ჰიკ (ფინეთი)
22 მილანო (მაკედონია)-9. წყვილის გამარჯვებული
23 20. წყვილის გამარჯვებული-ტრომსიო (ნორვეგია)
24 რეიკიავიკი (ისლანდია)-ლარისა (საბერძნეთი)
25 ბრონდბიუ (დანია)-ფლორა (ესტონეთი)
26 ოლბორგი (დანია)-სლავია (ბოსნია)
27 სტიაუა (რუმინეთი)-უიპეშტი (უნგრეთი)
28 მეტალურგი (დონეცკი, უკრ.)-1. წყვილის გამარჯვებული
29 რაბოტნიჩკი (მაკედ.)-კრუზეიდერსი (ჩრ. ირლანდია)
30 22. წყვილის გამარჯ.-14. წყვილის გამარჯვებული
31 ბრედა (ჰოლანდია)-განძასარი (სომხეთი)
32 ჩერნო მორე (ბულგარეთი)-ისკრა სტალი (მოლდოვა)
33 კაუნასი (ლიტვა)-სევოინო (სერბეთი)
34 ფლამურტარი (ალბანეთი)-17. წყვილის გამარჯვებული
35 11. წყვილის გამარჯვებული-12. წყვილის გამარჯვებული
36 სკონტო (ლატვია)-დერი სიტი (ირლანდია)
37 სლიმა (მალტა)-მაქაბი (ნეთანია, ისრაელი)
38 ტობოლი (ყაზახეთი)-გალათასარაი (თურქეთი)
39 16. წყვილის გამარჯვებული-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
40 სარაევო (ბოსნია)-19. წყვილის გამარჯვებული

*შენიშვნა: * - იგულისხმება პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შესაბამისი წყვილი*

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რასისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

# ვიტ ჯორჯია-მარიბორი

(თბილისი, საქართველო)-(მარიბორი, სლოვენია)

14/15 ივლისი-21/22 ივლისი

სლოვენიის ჩემპიონი „მარიბორი“ თბილისის „ვიტ ჯორჯიასთვის“ ალბათ კბილა გუნდია. თუ ვინმე ამაში შეგვედავება, ამის სრული უფლება აქვს, რამეთუ არსებობს საამისო არგუმენტები. „მარიბორის“ ფეხბურთელი დილით საკუთარი ავტომანქანით მიდის კლუბის ბაზაზე, სადაც აქვს კარგი მოედნები, საშხაპე და შესაძლოა, სატრენაჟორო დარბაზიც კი. ვარჯიშის შემდეგ შეუძლია მოწიოს ხარისხიანი სიგარეტი, ჩაჯდეს თავის ავტოში და იქ წავიდეს, საითაც გული გაუწევს.

„ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელმა კი... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, იმის თქმა გვინდოდა, რომ საქართველოში სულ სხვა სოციალური გარემოა, ვიდრე სლოვენიაში, რომელიც ევროკავშირის წევრია და ეკონომიკაში მკვეთრი წარმატებები აქვს. მშვიდი, მზარდი და მოწესრიგებული ქვეყანა - იუგოსლავია რომ იშლებოდა და დიდი ბათქაბუთქი ატყდა, სლოვენია ამ ორომტრიალიდან ისე გამოვიდა, თოფი არავის უსვრია. სლოვენიას ომი არ შეხებია და ვინძლო, ამიტომაც არის კოხტა მხარე.

როცა არსებობდა საბჭოთა კავშირი და სოციალისტური იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, თბილისი და სლოვენიის დედაქალაქი ლიუბლიანა დაძმობილებული ქალაქები იყვნენ. დამოუკიდებლობის შემდეგ ძველი მეგობრობა გაქრა, ევრო 2000-ის შესარჩევში კი საქართველოსა და სლოვენიის ნაკრებები ერთ ჯგუფში მოხვდნენ. თბილისური შეხვედრა 1:1 დასრულდა, ჩვენგან გოლი **ზაზა ჯანაშიამ** გაიტანა, სლოვენიაში კი მასპინძლებმა 2:1 დაამარცხეს **იოჰან ბოსკამპის** განვრთნილი საქართველო - გოლები **მილენკო აჩიმოვიჩმა** და **ზლატკო ზაჰოვიჩმა** გაიტანეს, ჩვენგან კი თავი **შოთა არველაძემ** გამოიჩინა. იმ პერიოდში აჩიმოვიჩი და ზაჰოვიჩი ევროპული დონის ფეხბურთელებად ითვლებოდნენ, მათი სლოვენია ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც გავიდა, 2 წლის შემდეგ კი მუნდიალზეც ითამაშა კორეა/იაპონიაში.

ახლა კი ზაჰოვიჩი „მარიბორის“ მენეჯერია. მას სლოვენიის ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი (80) უთამაშია და ყველაზე მეტი გოლი (35) გაუტანია. „პორტუ“, „ოლიმპიაკოსი“, „ვალენსია“, „ბენფიკა“... ზაჰოვიჩს ასეთ გუნდებში დაუღვრია ოფლი. ის არც მენეჯერობაში უნდა იყოს ხელმოცარული - „მარიბორი“ ხომ წლეულს 3-წლიანი პაუზის შემდეგ მერვედ გახდა სლოვენიის ჩემპიონი. ზლატკო მარიბორში დაიბადა და გაიზარდა და თქმა რად უნდა, რომ ქალაქის სიამაყედ ითვლება.

„მარიბორი“ სლოვენიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდია. ჩემპიონი თუ 8-ჯერ გახდა, სლოვენიის თასი 5-ჯერ ალმართა. წინა სეზონში მთავარ მწვრთნელად **დარკო მილანიჩი** ჰყავდა - ერთ დროს ბელგრადის „პარტიზანისა“ და გრაცის „შტურმის“ დაცვას რომ ამაგრებდა, სლოვენიის ნაკრებში კი სწორედ ზაჰოვიჩის დროს იყო და საქართველოს ნაკრების წინაალმდეგ თბილისშიც უთამაშია. ახლა კი მარიბორელებს **ბრანკო ჰორიაკი** თავკაცობს.

სლოვენიის ნაკრებში „მარიბორიდან“ 2 ფეხბურთელია - 30 წლის მცველი **სუად ფელიკოვიჩი** და 26 წლის მცველი **ალეს მეჯაჩი**. ეროვნული გუნდის უდიდეს უმრავლესობას ლეგიონერები შეადგენენ, თუმცა გუნდი ჯახირობს - შესარჩევ ჯგუფში ოდენ სანმარინოს უსწრებს.

## მარიბორი

### დოსიე

სრული სახელწოდება: NK Maribor
დაარსდა 1960 წელს
სტადიონი: ლიუდსკი ვრტ (12 496)
პრეზიდენტი: დრაგო კოტარი
მწვრთნელი: ბრანკო ჰორიაკი
ტიტულები: სლოვენიის 8-გზის ჩემპიონი (1997, 1998, 1999, 2000, 2001, 2002, 2003, 2009); თასის 5-გზის გამარჯვებული (1992, 1994, 1997, 1999, 2004).
ფერები: იასამნისფერი (საშინაო), ყვითელი (საგარეო)
მეტსახელი: ვიოლიჩე (იისფერები)
ვებგვერდი: http://www.nkmaribor.com

„მარიბორი“ გასულ სეზონში 4-4-2 სქემით თამაშობდა. წინა სეზონში გუნდს ორი ლეგიონერი ჰყავდა - ჩერნოგორიელი მცველი **ჟელკო კლაჟევიჩი** და ბრაზილიელი თავდამსხმელი **ტავარეში**.

მარიბორის მოსახლეობა დაახლოებით 133 ათასია და 12-ათასიანი ტევადობის სტადიონი სავსებით აკმაყოფილებს. „მარიბორი“ ერთადერთი სლოვენიური გუნდია, ჩემპიონთა ლიგაში რომ უთამაშია - ეს იყო 1999 წელს, როცა გუნდს ჩვენთვის კარგად ნაცნობი **ივო შუშაკი** წვრთნიდა, თუმცა მხოლოდ იქამდე, სანამ გუნდი სლოვენიის ჩემპიონინ გახდებოდა – ევროსარბილეზე ის უკვე აღარ იყო „მარიბორის“ მწვრთნელი. „მარიბორის“ სლოგანი კი ასეთია - ერთი გუნდი, ერთი ღირსება!

„ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელ **რამაზ მუმლაძის** კომენტარი იხილეთ...

» მე-5 გვერდზე



ზლატკო ზაჰოვიჩი

ევროპის ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

# მეტალურგსი-დინამო

(ლიეპაია, ლატვია)-(თბილისი, საქართველო)

16 ივლისი-23 ივლისი



რიუდიგერ აბრამჩიკი

უკვე მერამდენე წელიწადია, ევროტურნირების დაწყებას ერთი და იმავე სურვილებით ვხვდებით - ქართულმა გუნდებმა, რაც შეიძლება მეტი ეტაპი გაიარონ. ახლაც, როცა ცნობილია კენჭისყრის შედეგები, ალბათ, უაზრობაა იმაზე საუბარი, თუ რომელი მეტოქე იყო სასურველი და რომელი - არა. „დინამოს“ მაგალითზე ვიმსჯელოთ - ჩვენმა ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა, წესით და რიგით, ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი უნდა გაიაროს! რა თქმა უნდა, **კახა კაჭარავას** გუნდის მეტოქე - ლიეპაიას „მეტალურგსი“ ლატვიაში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა, მაგრამ ჩვენს ფეხბურთელებს მხოლოდ გამარჯვება უნდა მოვთხოვოთ.

...„მეტალურგსი“ ლატვიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, თუმცა ადრე სხვადასხვა სახელით ასპარეზობდა. ქალაქ ლიეპაიაში კი პირველი საფეხბურთო კლუბი შორეულ 1909 წელს დაარსდა და „ოლიმპია“ ერქვა. სანამ ლატვია დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, ლიეპაიას გუნდები რეგულარულად იმარჯვებდნენ ქვეყნის ჩემპიონატსა თუ თასის გათამაშებაში. მერე, ლატვია საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდა და 1960 წლამდე ლიეპაია საფეხბურთო რუკაზე აღარც გამოჩენილა. და აი, 1960 წლის 10 აპრილს, ლიეპაიას „ზვეინიეკსს“ დებიუტი ჰქონდა მაშინდელ საკავშირო ჩემპიონატის „ბ“ კლასში (ანუ - მეორე ლიგაში). აღსანიშნავია, რომ ლატვიელებმა პირველი მატჩი... ბათუმის „დინამოსთან“ ჩაატარეს და 0:1 დამარცხდნენ. საერთოდაც, „ზვეინიეკსი“ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ხშირად ხვდებოდა მაშინდელი მეორე ლიგის იმ ზონაში, სადაც ქართული გუნდები მონაწილეობდნენ. თანაც იშვიათი იყო შემთხვევა, „ზვეინიეკსი“... პირველ ათეულში რომ მოხვედრილიყო.

...90-იანი წლების დასაწყისიდან, ლატვიამ რომ დამოუკიდებლობა დაიბრუნა, ლიეპაიას გუნდებს სახელწოდება კი ეცვლებოდა („ოლიმპია“, „ფკ ლიეპაია“, „დაგ-ლიეპაია“, „ბალტიკა“, „ბალტიკა-მეტალურგი“), მაგრამ შედეგზე ეს არ აისახებოდა - მეშვიდე ადგილზე ზემოთ ვერ ადიოდა. 1997 წლიდან კი გუნდი „მეტალურგსის“ სახელით ასპარეზობს და სწორედ აქედან იწყება კიდეც ლიეპაიელთა ალმავლობა. თავად განსაჯეთ: იქიდან მოყოლებული დღემდე გუნდმა ერთხელ ლატვიის თასი მოიპოვა, შვიდჯერ - ვერცხლის მედლები, სამჯერ - ბრინჯაოს მედლები, ხოლო 2005 წელს ლატვიის ჩემპიონიც გახდა! ეს წარმატება კი, გარკვეულწილად, გუნდის მთავარი მწვრთნელის, ცნობილი ლიტველი სპეციალისტის **ბენიამინას ზელკიავიჩუსის** დამსახურებაც იყო. „მეტალურგსზე“ ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ლატვიის ნაკრების საბაზო გუნდია, თუმცა იმავე **მარის ვერპაკოვსკისმა**, **ანდრეი რუბინსმა** და **სერგეი სკობლიაკოვსმა** სწორედ აქ დაიწყეს თამაში. სხვათა შორის, „მეტალურგსის“ დღევანდელ შემადგენლობაშიც მრავლად არიან ლატვიის ნაკრების ახლანდელი თუ ყოფილი წევრები: **ძინტარს ზირნისი, ოსკარს კლიავა, ანდრეი პროხორენკოვსი, გირტ კარლსონსი, კრისტალს გრებისი** და სხვები. „მეტალურგსის“ დღევანდელ შემადგენლობაში სამი ლეგიონერია: ნახევარმცველები - **ანდრეი კოჟოკარი** (მოლდოვა), **ტომას ტამოშაუსკასი** (ლიტვა) და თავდამსხმელი - დანიელ **კასტნერი** (ავსტრია). უცხოელია „მეტალურგის“ ახლანდელი თავკაციც: 2008 წლიდან გუნდის მთავარი მწვრთნელია **რიუდიგერ აბრამჩიკი**. 52 წლის გერმანელი სპეციალისტი სხვადასხვა დროს ჯერ სამშობლოში მუშაობდა („საარბრიუკენში“), მერე კი, მეტ-ნაკლები წარმატებით - ბულგარულ „ლევსკიში“ და ავსტრიული „კარნტენში“. თუმცა, აბრამჩიკი უფრო ცნობილია, როგორც ფეხბურთელი - ბუნდესლიგაში 321 მატჩი აქვს ჩატარებული, ხოლო გერმანიის ფედერაციული ნაკრების შემადგენლობაში - 19 შეხვედრა (2 გოლი). სხვათა შორის, ამ ორიდან ერთი გოლი აბრამჩიკმა 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრების კარში გაიტანა.

„მეტალურგსი“ საშინაო მატჩებს „დაუგავას“ სტადიონზე ატარებს; სტადიონი შორეულ 1922 წელს ააშენეს, თუმცა თავიდან მხოლოდ 500 კაცს იტევდა. 60-იანი წლებიდან, ანუ, როცა ლიეპაიას გუნდი საკავშირო მეორე ლიგაში ასპარეზობდა, ტევადობა 5000-მდე გაიზარდა. 90-იანი წლების ბოლოდან კი სრული რეკონსტრუქცია მოხდა: ხის მაგივრად, ინდივიდუალური პლასტმასის სკამები დამონტაჟდა, მერე კეთილმოეწყო გასახდელები, სატრენაჟორო დარბაზი, საუნა, დასასვენებელი ოთახები. 2003 წლიდან კი მოედნის საფარსაც „მიხედეს“ - დამონტაჟდა სადრენაჟო სისტემა და დაიგო ფინური გაზონი. საერთოდაც, „დაუგავას“ სტადიონი ერთ-ერთი საუკეთესოა ლატვიაში; მით უფრო, რომ მას გეოგრაფიული მდებარეობაც ხელს უწყობს - ზღვიდან 100 მეტრით არის მოშორებული.

## მეტალურგსი

### დოსიე

სახელი: FK Liepajas Metalurgs
დაარსდა 1997 წელს
სტადიონი: დაუგავა (5 000)
პრეზიდენტი: სერგეის ზაჰარინსი
მწვრთნელი: რიუდიგერ აბრამჩიკი
ტიტულები: ჩემპიონი (2005), 9-გზის თასის მფლობელი (1946, 1947, 1948, 1953, 1954, 1955, 1963, 1964, 2006), ბალტიის ლიგის გამარჯვებული (2007)
ფერები: წითელი ზოლებით (საშინაო), ლურჯი ზოლებით (საგარეო)
მეტსახელი: რედ-ბლუ მეტალს
ვებგვერდი: http://sport.metalurgs.lv

ზედიზედ სამი წელიწადია, „მეტალურგსი“ საკუთარ ჩემპიონატში ვერცხლის მედლებს სჯერდება. ანუ, საჩემპიონო სეზონის მერე, ასე გრძელდება და დღესდღეობითაც ასეა - კვალში უდგას ბოლო წლების უშუალო კონკურენტსა და მოქმედ ჩემპიონს „ვენტსპილსს“. სხვათა შორის, გუშინ ლატვიის ჩემპიონატის მე-15 ტურში ლიდერთა მატჩი იყო: „მეტალურგსმა“ „ვენტსპილს“ უმასპინძლა და 2:1 გაიმარჯვა.

ისე, „დინამო“ და „მეტალურგსი“ წელს უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, ოღონდ, მატჩი ამხანაგური იყო და თურქეთში, 30 იანვარს ჩატარდა. მეორე ეტაპისათვის მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა „დინამომ“ ლატვიის ვიცე-ჩემპიონს დამაჯერებლად მოუგო - 3:1. აღსანიშნავია, რომ ანგარიში ლატვიელებმა გახსნეს - მე-14 წუთზე **დიმიტრი ივანოვსმა** პენალტი ზუსტად გამოიყენა.; მეორე ტაიმში კი „დინამოს“ უპირატესობა აშკარა იყო და აქედან გამომდინარე, ლოგიკურად დასრულდა ყველაფერი: 49-ე და 50-ე წუთებზე **დანილო ტომიჩმა** ორი გოლი გაიტანა (პირველ შემთხვევაში ჩერნოგორიელ დებიუტანტს ასისტენტობას **ალექსანდრე კოშკაძე** უწევდა, მეორეში - **ნიკოლოზ ჯიშკარიანი**). 76-ე წუთზე კი ჯიშკარიანმა **გულვერდ თომაშვილის** წამოწყებული კომბინაცია მესამე გოლით დაასრულა. „მეტალურგსთან“ ჩატარებულ იმ საკონტროლო შეხვედრაში „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ჩარასი - ხმალაძე, ნერგაძე - ტომიჩი (54. შ. კაშია), კოშკაძე, ჯიშკარიანი - სპასოევიჩი (46. აკირემი, 63. ქანთარია).

## დინამოს კომენტარი

ახლა კი, მომავალ მეტოქესთან დაკავშირებით, „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელთა კომენტარებსაც გავეცნოთ:

**კახა კაჭარავა:** *„ლატვიელებს ექვსი თვის წინ ანთალიაში შევხვდით. ამჟამად მათ ის უპირატესობა აქვთ, რომ ჩემპიონატი კარგა ხნის დაწყებულია, თუმცა, ჩვენ თავიდანვე, მინიმუმ, ორი ეტაპის გავლა დავისახეთ მიზნად და ვეცდებით ამის განხორციელებას“.*

**ლევან ხმალაძე:** *„სერიოზულად ვემზადებით და არა მხოლოდ პირველი ეტაპის დაძლევისთვის. ლატვიელებს თურქეთში ვეთამაშეთ, ურიგო გუნდი ნამდვილად არ არის, მაგრამ მათი ბარიერი უნდა გადავლახოთ“.*

**გიორგი ნერგაძე:** *„მეტოქეზე გარკვეული წარმოდგენა უკვე გვაქვს. ადვილი გასეირნება ნამდვილად არ იქნება. პირველი მატჩი გასვლაზე იოლი არ იქნება, საბრძოლველია, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“.*

**შოთა კაშია:** *„მეტოქეს ერთი უპირატესობა აქვს - ჩვენგან განსხვავებით მათ კარგა ხნის დაწყებული აქვთ სეზონი. იქნება ბრძოლა და იმედია, ამ ბრძოლაში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“.*

აქვე, ბარემ „დინამოს“ ბოლო სიახლეებსაც გამცნობთ; გუშინ ვწერდით, რომ გუნდში ორი კამერუნელი ისინჯებოდა, თუმცა ორივე მათგანი დაიწუნეს. სამაგიეროდ, გუშინ ჩაატარა პირველი ვარჯიში „დინამოს“ კიდევ ერთმა პოტენციურმა ახალწვეულმა - ნიგერიელმა **ემანუელ ოდიბემ**. 22 წლის ოდიბე, ამპლუით, შემტევი ნახევარმცველია და „დინამომდე“ ნიგერიის, ალჟირის ვიეტნამისა და კვიპროსის სხვადასხვა გუნდში თამაშობდა.

**გია ტუხაშვილი**

# ქართული ფეხბურთი

**ევროპის საკლუბო ტურნირები 2009/10** — ქართული კლუბები და მათი მეტოქეები

**იმისათვის, რომ საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა და თასის ფინალისტმა რუსთავის „ოლიმპმა" პოლონეთის 8-გზის ჩემპიონ „ლეგიასთან" თამაშის უფლება მოიპოვოს, ჯერ გზიდან დანიის შორეული და ავტონომიური რეგიონის, ფარერის კუნძულების მოყვარულთა გუნდი ბ-36 უნდა დაამარცხოს.**

**მაშ ასე, რას წარმოადგენს ვარლამ კილასონიას გუნდის პირველი მეტოქე:**

ევროპის ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

## ოლიმპი-ბ 36

(რუსთავი, საქართველო)-(ტორსჰავნი, ფარერები)

2 ივლისი-9 ივლისი

ევროპის ლიგა, II საკვალიფიკაციო ეტაპი
16 და 31 ივლისი
**ლეგია (ვარშავა, პოლონეთი)-ოლიმპი-ბ 36-ის გამარჯვებული**

გუნდის სახელიდანაც მიხვდებით, რომ კლუბი 1936 წელს დაარსდა, მისი სრული სახელია „ბოლტ ფელაგიო 1936" (სიტყვასიტყვით ფარერულიდან - ბურთის კლუბი) ან მეორენაირად „ფკ ტორსჰავნი". „ოლიმპის" მეტოქე ფარერის კუნძულების დედაქალაქის სტადიონ „გუნდადალურზე" თამაშობს. ეს სტადიონი ეკუთვნის გაცილებით უფრო ძველ და ტიტულოვან „ჰბ ტორსჰავნსაც". სწორედ ეს ორი გუნდია 20-ათასიანი დედაქალაქის მთავარი საფეხბურთო კლუბი, ჰბ 19-ჯერ გახდა ფარერის კუნძულების ჩემპიონი, ბ-36 - 9-ჯერ. შარშანდელ სეზონში „ოლიმპის" მეტოქე 48 ქულით მე-3 ადგილზე გავიდა 10-გუნდიან პრემიერლიგაში. ბ-36 სულ რაღაც ქულით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასულ ჰბ-ს, ჩემპიონი კი 55 ქულით „სტრეიმური" გახდა. ბ-36-ის ბომბარდირი 7 გატანილი გოლით **იაკუპ ა ბორგი** გახდა, 6 გოლი გაიტანა **ჰანუს ტორლეიფსონმა**, 5 - **კლემინტ მატრასმა**, 3-3-ჯერ გამოიჩინეს თავი **ბერგურ მიდიორდმა** და **სამ მალსომმა**.

9-გზის ჩემპიონმა ბოლო ტიტული 2005 წელს მოიგო, მაშინ ბ-36-მა ოქროს დუბლი შეასრულა, ქვეყნის თასის ისტორიაში მეექვსედ და ჯერჯერობით ბოლოჯერ მოიგო ეს ჯილდო. მოკლედ, ფარერული მასშტაბითაც არცთუ ბევრი აქვთ დასაკვეხნი „თეთრ ვეფხვებს" (ასე უწოდებენ ბ-36-ს გუნდის ფანები), მათ 4 წელიწადია არაფერი მოუგიათ.

ევროთასებზე ბ-36 ვარსკლავებს ვერ წყვეტს, თუმცა გუნდმა ორჯერ შეძლო პირველი ეტაპის დაძლევა - 2005-2006 წლების სეზონის უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო წრეში ფარერელებმა ორი მატჩის ჯამში ისლანდიური „ვესტმანეიარი" 3:2 დაამარცხეს. მეორე წრეშიც იბრძოლა ბ-36-მა დანიურ „მიდტიულანდთან" სტუმრად 1:2 წააგო და შინ 2:2 ითამაშა. შემდეგ სეზონში „ოლიმპის" მეტოქემ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან მალტის „ბირკირკარა" გააძევა - 5:2 ორი მატჩის ჯამში, თუმცა შემდეგ „ფენერბაჰჩესთან" შერცხვა - 0:9 ჯამში. ევროთასებზე ჯამში ტორსჰავნელებმა 24 მატჩი ითამაშეს, აქედან 2 მოიგეს, 4 ფრედ დაამთავრეს და 18 წააგეს, ბურთების შეფარდებაც ცუდია - 19:67. 2002-2003 წლების ჩემპიონთა ლიგის სეზონში ქუთაისის „ტორპედომ" საქართველოში 5:2 მოუგო ბ-36-ს (გოლები **მალხაზ ასათიანმა (2)**, **ზურაბ იონანიძემ**, **ზვიად ქუთათელაძემ** და **ანდრეი პოროშინმა** გაიტანეს), მეორე შეხვედრაში „ტორპედომ" 1:0 იკმარა (**დავით ჯანაშია**). ბ-36-ს მეორე და მესამე გუნდები ჰყავს, რომლებიც შესაბამისად რანგით მესამე და მეოთხე დივიზიონებში თამაშობენ. ფარერის კუნძულებზე გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება ჩემპიონატი, ამიტომ ახლა იქ გახურებული სეზონია, 13 ტურია გასული და ბ-36 16 ქულით მე-6 ადგილზეა. სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ პრემიერლიგას ჰბ ლიდერობს, თანაც ქართველთა მეტოქეზე ზუსტად ორჯერ მეტი ქულათა მარაგით. დღეისათვის კლუბში ეროვნული ნაკრების ერთადერთი ფეხბურთელია - 30 წლის ფორვარდი იაკუპ ა ბორგი. ბორგი ფარერული ფეხბურთის ერთ-ერთ უდიდეს ტალანტად ითვლებოდა, მან 1996 წლიდან 2003 წლამდე ბ-36 მაისურით 113 თამაშში 62 გოლი გაიტანა და... დანიურ „ოდენსეში" გადავიდა. ეს ტრანსფერი უილბლო აღმოჩნდა, ბორგი შინ დაბრუნდა, ოღონდ ბ-36-ის დაუძინებელ მტერ ჰბ-ში, სადაც 2008 წლამდე 62 თამაშში 21 გოლი გაიტანა. მეორე სეზონია ბორგი მშობლიურ გუნდშია, სადაც ალბათ კარიერასაც დაასრულებს. სხვათა შორის, იყო დრო, ბორგი „ლივერპულშიც" გადიოდა სინჯებს. ნაკრებში მან 58 თამაშში 2 გოლი გაიტანა. 2006 წელს იაკუპ ა ბორგი ფარერების საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. ბ-36-ში ირიცხება ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **ასბიორნ გუნარსონი**. ბორგს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც აქვს ნათამაშები. ეროვნულ ნაკრებში უთამაშია ბ-36-ის კიდევ სამ ფეხბურთელს, ნახევარმცველებს **ინგი ჰიოისტედს**, კაპიტან კლემინტ მატრასს და ბერგურ მიდიორდს. დღეისათვის იაკუპ ბორგზე უკეთეს ფორმაში ფორვარდი სამ მალსომია, რომელმაც ჩემპიონატში 4 გოლი გაიტანა, 3-3 გოლი გაიტანეს **როალდურ იაკობსენმა** და სიერა ლეონეს ნაკრების ფორვარდმა **ბრიმა კომორამ** (კლუბის ერთადერთი ლეგიონერი), რომელსაც „ბოტაფოგოშიც" უთამაშია.

### ბ 36
*დოსიე*

სახელი: B 36 Torshavn
დაარსდა 1936 წელს
სტადიონი: გუნდადალური (5 000)
პრეზიდენტი: კრისტიან ა ნეისტაბიო
მწვრთნელი: მილან ციმბუროვიჩი
ტიტულები: 9-გზის ჩემპიონი (1946, 1946, 1948, 1950, 1959, 1962,1991,1997, 2001, 2005), 6-გზის თასის მფლობელი (1965, 1991,1997,2001, 2003, 2005).
ფერები: თეთრი (საშინაო), შავი (საგარეო)
მეტსახელი: თეთრი ვეფხვები
ვებგვერდი: http://www.fcb36.org/





ლეშეკ მიკლაში

## „ლეგიამდე ფარერებია, მაგრამ...

### მზერა პოლონეთიდან: ამათიც თუ შეგვეშინდა, ევროპაში რა გვინდა

უეფას ევროპის ლიგის პირველი სეზონის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა დასრულდა თუ არა პოლონური „ლეგიას" წარმომადგენლებმა კომენტარი გააკეთეს კლუბის ოფიციალურ საიტთან საუბარში.

**ლეშეკ მიკლაში** (ლეგიას პრეზიდენტი): *„ჩვენ გვსურდა ისეთი მეტოქე შეგვხვედროდა, რომელიც პოლონეთთან ახლოსაა. ამ მხრივ არ გაგვიმართლდა, შეიძლება შორეულ ფარერებზე მოგვიწიოს წასვლა, ან კიდევ საქართველოში, სადაც ივლისში ღამითაც კი იშვიათად ჩამოდის ტემპერატურა 30 გრადუსზე ქვემოთ. ამას დავუმატოთ, რომ პირველი შეხვედრა შინ გვაქვს, საჭიროა თავიდანვე სოლიდური უპირატესობის მოპოვება. მიუხედავად ამისა, თუკი ჩვენ ასეთი ქვეყნების წარმომადგენლების შეგვეშინდება, სჯობს საერთოდ არ ვითამაშოთ ევროთასებზე. 16 ივლისამდე ჯერ ბევრი დროა, ჩვენი მიზანი ახალი ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე გასვლაა".*

იან ურბანი (ლეგიას მთავარი მწვრთნელი): *„მეტოქეების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, მათ არაფრისთვის მიუღწევიათ. უბრალოდ, ჩვენი ტრადიციაც გვავალდებულებს გავიაროთ ეს ეტაპი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ევროპაში ჩვენც ვერ ვყოჩაღობთ".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევროპის ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

## ლისბერნი-ზესტაფონი

(ჩრდ. ირლანდია)-(ზესტაფონი, საქართველო)

2 ივლისი-9 ივლისი

ევროპის ლიგა, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
16 და 31 ივლისი
**ლისბერნი (ჩრ. ირლანდია)-ზესტაფონი (საქართველო) გამარჯვებული-ჰელსინგბორგი (შვედეთი)-მიკა (სომხეთი) გამარჯვებული**

### ლისბერნი
*დოსიე*

სრული სახელწოდება: Lisburn Distillery F.C.
დაარსდა: 1879 წელს
სტადიონი: ნიუ გროსვენორ სთედიუმი (8 000)
პრეზიდენტი: ტომი ანდერსონი
მწვრთნელი: ჯიმი ბრაუნი
ტიტულები: 6 გზის ჩემპიონი (1896, 1899, 1901, 1903, 1906, 1963) გახდა და 12-ჯერ (1884, 1885, 1886, 1889, 1894, 1896, 1903, 1905, 1910, 1925, 1956, 1971) მოიპოვა ქვეყნის თასი, 5-ჯერ კი ოქროს თასი (1914, 1920, 1925, 1930, 1994) მოიგო.
ფერები: თეთრი (საშინაო), ყვითელი (საგარეო)
მეტსახელი: თეთრები
ვებგვერდი: http://blue.srv2.com/~lisburn/index.html

ევროპის ლიგაზე „ზესტაფონის" მეტოქე „ლისბერნ დისტაილერი" ერთ-ერთი უძველესი კლუბია. თავად განსაჯეთ, „ლისბერნი" 130 წლის წინ დასავლეთ ბელფასტში დაარსდა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, „დისტაილერის" წინამორბედი კრიკეტის კლუბი ყოფილა. კრიკეტკლუბის კავშირის წევრებს სურდათ, რომ მხოლოდ ზაფხულის გარდა წელიწადის სხვა დროსაც აქტიური სპორტული ცხოვრება ჰქონოდათ და საფეხბურთო კლუბი დააარსეს. მე-20 საუკუნის დასაწყისში კლუბს სპირტის მწარმოებელი კომპანია აფინანსდებდა, რომელიც ცნობილ ირლანდიურ ვისკის ამზადებდა. გუნდმა პირველი საერთაშორისო მატჩი 1884 წელს შოტლანდიაში გამართა და „დანდისთან" 0:4 დამარცხდა. თუმცა 5 წლის შემდეგ „ლისბერნმა" სტუმრად 2:1 დაამარცხა ინგლისური „ნიუტონ ჰიტი". ეს ინგლისური გუნდი კი იმხანად ისეთივე პოპულარული ყოფილა ბრიტანეთში, როგორიც დღეს „მანჩესტერ იუნაიტედია". 11-12 წლის წინ კლუბს ფინანსური სიძნელეები შეექმნა და ორჯერ მოუწია დაქვეითებამ, მაგრამ 1999 და 2002 წელს, ორივეჯერ მოიგო პირველი დივიზიონი და პრემიერლიგას დაუბრუნდა. ევროტურნირებზე გუნდის ოქროს ხანად 1963 წელს პორტუგალიურ „ბენფიკასთან" შინ ნათამაშები 3:3 ითვლება. ცნობილი ინგლისელი **ტომ ფინი** კარიერის ბოლო წლებში სწორედ „ლისბერნში" ასპარეზობდა და პორტუგალიელებთან ნაჩვენები ეს შედეგი მისი დიდი დამსახურებაა. „ლისბერნმა" ევროტურნირებზე ბოლოს 2008 წელს ითამაშა. თუმცა ინტერტოტოს გათამაშებას პირველივე რაუნდიდანვე გამოეთიშა - ფინურმა „ტურკუმ" ორ მატჩის ჯამში 3:6 (2:3 და 1:3) მოუგო. კლუბის თავკაცებმა მაისის ბოლოს შეცვალეს მწვრთნელი, **პოლ კირკს** 2009 წლის 14 მაისს მოუწია მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვებამ. 5 დღეში კი გუნდი **ჯიმი ბრაუნს** ჩააბარეს.

ჩრდილოეთ ირლანდიის პრემიერლიგ 12-გუნდიანია და პირველობა 3 წრედ ტარდება. „ლისბერნმა" ბოლოს ჩატარებულ სეზონში 33 მატჩში 53 ქულა დააგროვა და „ზესტაფონის" დარად მეოთხე ადგილზე გავიდა. იმერელთა მეტოქე თასის გათამაშებიდან, მეოთხედფინალიდან ჩვენთვის კარგად ნაცნობმა „ლინფილდმა" გამოთიშა (3:0).

ასე რომ, უძველეს გუნდს „თეთრებს", შავი ყვირილა ელოდება... ხომ გაგიგიათ ყვირილა თუ ადიდდაო... თუმცა „თეთრი" „ლისბერნის" გაშავება ყვირილისპირელებმა უცილობლად უნდა შეძლონ. ამ ეტაპის შემდეგ, მეორე რაუნდში „ზესტაფონს" შვედურ „ჰელსინგბორგსა" და სომხურ „მიკას" შორის გამარჯვებული ელის. ცნობისათვის, „მიკაში" ორი ქართველი, მეკარე **სოსო გრიშიკაშვილი** და ნახევარმცველი **ირაკლი ცანავა** ასპარეზობენ. კლუბის სპორტული დირექტორი **ლევან ნოდიაა...** და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ეროვნული გუნდის ექსთავკაცი **ივო შუშაკი**, თვეების წინ „მიკას" მთავარი მწვრთნელი იყო, ამჟამად კი მწვრთნელ-კონსულტანტია. ერთი შეხედვით ძნელადსავარაუდოა, მაგრამ ფეხბურთში ხომ სენსაციებიც ხდება, იქნებ „მიკას" და ივო შუშაკს მოუწიოს საქართველოში ჩამოსვლამ ევროპის ლიგის მეორე ეტაპზე. თუმც საამისოდ მხოლოდ „მიკას" სენსაცია არაა საკმარისი, ჯერ იმერლებმა „თეთრები" უნდა გააშავონ.

**დავით ცაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



## რამაზ შუმლაძე:
# მარიბორი დაახლოებით ტრნავას დონის გუნდი იქნება

« მე-3 გვერდიდან

**ნილისყრის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვრთნელ რამაზ შუმლაძეს შევეხმიანეთ და „მარიბორზე" ვკითხეთ. გვაინტერესებდა ასევე, როგორ მოემზადება საქართველოს ჩემპიონი სერიოზული მეტოქის წინააღმდეგ საბრძოლველად.**

- შეიძლებოდა, „მარიბორზე" ოდნავ სუსტი მეტოქე შეგვხვედროდა, ან ოდნავ ძლიერი. ეს კი, ასე ვთქვათ, შუალედური ვარიანტია.

**- თქვენი ხელმძღვანელობით „ვიტ ჯორჯიამ" ორჯერ უკვე ითამაშა ევროსარბიელზე. რა თქმა უნდა, ამით გარკვეული გამოცდილება შეიძინა გუნდმა, მაგრამ წელიწადში რამდენიმე ევროთამაში საკმარისია კი იმისთვის, რომ „ვიტ ჯორჯია" მნიშვნელოვნად გამოიწრთოს ევროსარბიელისთვის?**

- ამ თამაშებით დიდი გამოცდილება შევიძინეთ. გამოცდილება მოგებით უფრო იზრდება, ვიდრე დამარცხებით - შარშან, სლოვაკურ „ტრნავას" სტუმრად 2:2 ვეთამაშეთ, არადა 2:0-ს ვუგებდით, შინ კი 1:0 დავამარცხეთ. მერე „რაპიდს" შევხდით და... იმდენი ხელისშემშლელი ფაქტორი გამოჩნდა, გამარჯვების მიღწევა ძალიან ძნელი იყო. რა თქმა უნდა, როცა რამდენიმე ეტაპს გაივლი, ამით ბევრად მეტ გამოცდილებას იძენს გუნდი, თუმცა „ვიტ ჯორჯიას", საერთო ჯამში, გამოუცდელი გუნდი მაინც არ ეთქმის. წლევანდელზე კი ისიც გვაიმედებს, რომ „ვიტ ჯორჯია" შეკრული გუნდია, ეს ფეხბურთელები უკვე კარგა ხანია, ერთად მოდიან.

**- „მარიბორთან" პირველი მატჩი შინ გაქვთ. როგორ ფიქრობთ, ეს გარკვეულ უპირატესობას აძლევს მეტოქეს?**

- როცა გუნდი პირველ მატჩს სტუმრად თამაშობს, ამას პატარა პლუსი აქვს, თუმცა ეს ფაქტორი მაინც არ მიმაჩნია მნიშვნელოვნად - როგორც უნდა იყოს, სტუმრადაც გაქვს სათამაშო და შინაც.

**- როგორ გუნდად წარმოგიდგენიათ „მარიბორი"?**

- ჯერ არ მოგვიპოვებია ისეთი ინფორმაცია, რომ მეტოქეზე ვრცლად ვისაუბრო. ვფიქრობ, „მარიბორი" დაახლოებით „ტრნავას" დონის გუნდი იქნება. „ზესტაფონი" ახლა სლოვენიაშია შეკრებაზე და „მარიბორთან" ამხანაგურ მატჩს რომ ითამაშებს, ვიდეოჩანაწერს გადმოგვცემს, რა თქმა უნდა, ზესტაფონელთა თავკაც გია გეგუჩაძესაც დავეკითხებით „მარიბორზე", ინფორმაციას სხვა წყაროებიდანაც მოვიპოვებთ.

**- შესაძლოა, „მარიბორს" ალექსანდრე კვახაძის გარეშე ეთამაშოთ...**

- არის იმის შანსი, რომ კვახაძე არ წავიდეს ისრაელში.

**- „ვიტ ჯორჯიამ" ახლახან დაიმატა გიორგი კახელიშვილი. მას გარემარბად მოიაზრებთ?**

- ჯერ ვერ გეტყვით, ამას მოსამზადებელი ეტაპი და საკონტროლო მატჩები გამოაჩენს. მანამდე კი მას უფრო მარჯვენა ნახევარმცველად მოვიაზრებ, თუმცა კახელიშვილმა ჯერ უნდა მოიპოვოს ადგილი ძირითად შემადგენლობაში. არ არის გამორიცხული, 4-3-3 განლაგებას დავუბრუნდეთ და მარჯვენა გარემარბად კახელიშვილი გავამწესოთ.

**- უკვე გყავთ შეგულებული მარცხენა გარემარბიც? ამ დროისთვის „ვიტ ჯორჯიაში" ასეთი ალბათ არავინაა...**

- რაც შეეხება მარცხენა ფლანგს, კახელიშვილივით სწრაფი არავინ გვყავს. როცა ასეთი განლაგებით თამაშობ, ორივე ფლანგზე სწრაფი ფეხბურთელია საჭირო. ვნახოთ, ყველაფერს უკრაინული შეკრება და ამხანაგური მატჩები დაგვანახვებს. ერთი მეტოქის ვინაობა უკვე ცნობილია - 6 ივლისს ოდესის „ჩერნომორეცს" შევხვდებით.

**დავით თავართქილაძე**

---

ოლიმპი



ვარლამ კილასონია

# კილასონია ფარერებმა გაახარა და ბრაზილიამ დააიმედა

**„ოლიმპისთვის" წილისყრა იღბლიანი აღმოჩნდა - რუსთაფული გუნდი ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერების ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსან „ბ 36 ტორსჰავნს" შეხვდება. გამარჯვების შემთხვევაში კი მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, „ოლიმპს" პოლონეთის ვიცე-ჩემპიონთან, საქართველოში არაერთგზის ნამყოფ ვარშავის „ლეგიასთან" ექნება საქმე.**

**თუ ქართული ფეხბურთი ბოლომდე არ დაძაბუნებულა, „ოლიმპმა" ფარერული კლუბის ბარიერი უნდა გაიაროს. რუსთაველთა მთავარი მწვრთნელი ვარლამ კილასონია წილისყრის შედეგმა ფრიად გაახარა:**

- გაცილებით ძლიერ მეტოქესთან დაჯახებას ავერიდეთ და აქედან გამომდინარე, გახარებული როგორ არ ვიქნები? მაგალითად, იყო შანსი, ალბანეთის „ვლაზნიას", ყაზახურ „ოკჟეტპესს" ან თუნდაც მალტის „ბირკირკარას" შევხვედროდით. არც ერთი მათგანი ფარერებივით სუსტი არ არის. თუმცა, არა მგონია, ბ 36-თან, ასე ვთქვათ, ცალი ფეხით მოვიგოთ, როგორც ეს წლების წინათ ხდებოდა. მაინც მიჭირს საუბარი ისეთ მეტოქეზე, რომლის რეალურ ძალაზეც წარმოდგენა არ გაგაჩნია. პირველ შეხვედრას შინ გავმართავთ და რაც შეიძლება მეტი გოლის გატანას შევეცდებით, რათა საპასუხო შეხვედრისთვის მარაგი შევქმნათ.

**- ფარერებთან გამარჯვების შემთხვევაში, გაცილებით ძლიერ ვარშავის „ლეგიასთან" მოგიწევთ დაპირისპირება...**

- ჯერ პირველი ეტაპი გავიაროთ და პოლონელებზე მერე ვიფიქრებთ. თუმცა, რა თქმა უნდა, „ლეგია" ფარერებზე ბევრად რთული მოწინააღმდეგე იქნება.

**- ევროლიგისთვის ახალი მოთამაშეების დამატებას ხომ არ აპირებთ?**

- ჩვენი ახალწვეულების ვინაობა უკვე ცნობილია, დღეისთვის მეტი სიახლე არ გვაქვს. ცვლილება მხოლოდ ბრაზილიელებზეა დამოკიდებული („ოლიმპის" საევროპო სიას ქვემოთ გაეცნობით - ავტ).

**- მათ ევროლიგის პირველი ეტაპისთვის დაიმატებთ?**

- მგონი, გაგვიჭირდება. ჯერ ეს ფეხბურთელები უნდა ვნახოთ საქმეში, „ატლეტიკო პარანაენსესთან" მოვილაპარაკოთ და ამასობაში დროც გავა. ევროპის ლიგაზე თამაში 2 ივლისს გვიწევს. მოსამზადებლადაც მცირე დრო გვრჩება. თუმცა ყოველი ეტაპის შემდეგ 3-3 ფეხბურთელის დამატების უფლება გვაქვს.

**- „ატლეტიკო პარანაენსეს" ხელმძღვანელები როდის ჩამოდიან?**

- მათ და გოჩა ალადაშვილს, რომელიც ამ პროექტის ინიციატორია, დღეს გვიან ღამით ველოდებით. კლუბების შეთანხმების შემთხვევაში, ფეხბურთელებს დავიმატებთ. ალბათ, ეს ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე უფრო მოხერხდება, ევროლიგის მატჩებამდე კი ძნელად სავარაუდოა. ფარერების ეტაპის გადალახვის შემთხვევაში, ძლიერ მეტოქესთან მოგვიწევს თამაში და გაძლიერება უთუოდ დაგვჭირდება.

**- ბრაზილიელები 10 ფეხბურთელის ჩამოყვანას აპირებენ. გამოდის, რომ ფაქტობრივად, ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოგიწევთ...**

- ჯერ არ ვიცი, რა დონის მოთამაშეები მოდიან. ათივეს ხომ არ ვათამაშებთ? მაგრამ თუ ძლიერი ფეხბურთელები არიან, მათთან მუშაობა სასიამოვნო იქნება.

**- გაცილებით მდიდარ „სიმურგთან" „ოლიმპის" ორმა გამარჯვებამ არ დაგაიმედათ?**

- სასიამოვნოა, რომ ვუგებთ გუნდს, რომელსაც გაცილებით მეტი არჩევანის საშუალება აქვს. მჯერა, პირველი ეტაპის გადალახვა შეგვიძლია, პოლონელებთან კი დიდი ბრძოლა მოგვიწევს. სხვა საკითხია, თუ ბრაზილიიდან ძლიერ ფეხბურთელებს დავიმატებთ.

## ბიუჯეტი? წარმოდგენაც არ გვაქვსო...

„ოლიმპის" ფეხბურთელებმა მხოლოდ 10 დღე დაისვენეს და სეზონისთვის მზადება 10 ივნისს დაიწყეს. რუსთაველებმა უკვე 3 საკონტროლო შეხვედრა გამართეს: ორჯერ აზერბაიჯანის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი „სიმურგი" დაამარცხეს (2:1, 3:2), 21 ივნისს კი „თბილისს" 7:3 სძლიეს (**სირბილაძე-4, მეგრელაძე-2, მიკუჩაძე**). „ოლიმპი" „სიმურგთან" მესამე ამხანაგურს მატჩსაც გეგმავს - სავარაუდოდ, 26 ივნისს და ისევ „ლოკომოტივზე".

რაც შეეხება რუსთავის „ოლიმპის" დაფინანსებას. როგორც კილასონიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, კლუბის ფინანსური მდგომარეობა ბევრ კითხვას ბადებს: *„რა დასამალია და, ახლა მეტალურგიულ ქარხანას ძალიან უჭირს და ეს გუნდზეც აისახება. ამის გამო შეკრებაზე გამგზავრება გამორიცხულია, რუსთავიდან გასვლას ვერ ვახერხებთ. რა მოხდება შემდეგ და რამხელა ბიუჯეტი გვექნება, სეზონის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ამაზე წარმოდგენაც არ გვაქვს".*

თუმცა კლუბის სპონსორის, სააქციო საზოგადოება „რუსთავის ფოლადის" თავმჯდომარე **ვილი ელიგულაშვილმა** დამაიმედებელი ინფორმაცია გაგვანდო: *„დიახ, ქარხანას უჭირს და „ოლიმპის" შენახვაც პრობლემებს უკავშირდება, მაგრამ „რუსთავის ფოლადის" ხელმძღვანელობა კლუბის დახმარებას საკუთარ ვალად მიიჩნევს. რეგიონისა და ქალაქისთვის საფეხბურთო კლუბი სოციალური კუთხით მნიშვნელოვანი მოვლენაა და ყველაფერს ვილონებთ, გასული სეზონის ბიუჯეტი მაინც რომ შევინარჩუნოთ. თასის ფინალისტსა და ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს სხვაგვარი მზრუნველობა სჭირდება. თუმცა, რომ არა ეკონომიკური კრიზისი, „ოლიმპის" ბიუჯეტის გაზრდაზეც ვფიქრობდით"*, - გვითხრა ელიგულაშვილმა.

## ევროპისთვის მოემზადებიან...

დაბოლოს, ვარლამ კილასონიამ იმ მოთამაშეების სია გაგვაცნო, რომლებიც ევროპის ლიგაში ითამაშებენ:

მეკარეები - **მიხეილ ალავიძე, ბექა შეყრილაძე;**

მცველები - **თემურ ლონლაძე, ნოდარ მაჭავარიანი, გიორგი რეხვიაშვილი, ავქსენტი გილაური, მამუკა ლომიძე, თენგიზ ჩიკვილაძე;**

ნახევარმცველები - **გიორგი ჭელიძე, ზაზა ჭელიძე, შოთა ბაბუნაშვილი, დენის დობროვოლსკი, გიორგი სეთურიძე, გელა ხუბუა, გიორგი გორდეზიანი, დათო კაკულია;**

თავდამსხმელები - **გია მეგრელაძე, გაგა ჩხეტიანი, გოგი ფიფია, ირაკლი სირბილაძე, კოკა მიკუჩაძე.**

**მერაბ მამულაშვილი**

---

ზესტაფონი

## გია გეგუჩაძე
# ლისბერნთან ფავორიტები ვართ, არც ჰელსინგბორგია დაუძლეველი
### გეგუჩაძე მინიმუმ ორი რაუნდის გადალახვას გეგმავს

**საინტერესოა, რა აზრისაა წილისყრის შედეგებზე, მეტოქეებზე, მომდევნო მატჩებზე, შანსებზე და საკუთარ გუნდზე ზესტაფონელთა მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე.**

**- რამდენად კმაყოფილი ხართ წილისყრის შედეგებით?**

- ნორმალურია, ცუდს ნამდვილად ვერ დავარქმევდი. შეიძლებოდა, უფრო ძლიერი მეტოქეებიც შეგვხვედროდა. ასე რომ, უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ.

**- პირველ ეტაპზე „ლისბერნთან" მოგიწევთ შეჭიდება. ამ გუნდზე რა წარმოდგენა გაქვთ?**

- ამ წყვილში ფავორიტი ჩვენ ვართ. მეტოქეს პატივს ვცემთ და ვაფასებთ, მაგრამ ასეთი შეფასება გადაჭარბებული ნამდვილად არაა. „ლისბერნის" თამაში, რა თქმა უნდა, ჯერ არ მინახავს, მაგრამ ჩემს წარმოდგენაში ტიპურ ბრიტანულ სტილში უნდა თამაშობდეს. ალბათ სხვა ბრიტანული გუნდების დარად „ლისბერნსაც" წინ ორი გამოკვეთილი ფორვარდი ჰყავს, რომლებიც ტანმაღლები არიან და მაღალ ბურთებზე არიან ორიენტირებულები. მებრძოლი სულისკვეთების მქონე, ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდი უნდა იყოს. ასეთია ჩემი პირველადი წარმოდგენა. რა თქმა უნდა, მეტოქის თამაშის ჩანაწერის მოპოვებაზე ვიზრუნებთ, ვნახავ ფირს და მერე უფრო მეტის თქმა შემეძლება ამ მეტოქეზე.

**- ათიოდე დღეც და ევროპის ლიგაზე „ზესტაფონს" პირველი მატჩი ელის, „ლისბერნს" ჩრდილოეთ ირლანდიაში ეთამაშებით...**

- დრო ბევრი არა, მაგრამ არც ცოტა ეთქმის. პიველი მატჩი სტუმრად გველის, საპასუხო კი შინ. ასე რომ, გარკვეული უპირატესობა ამ მხრივაც გვაქვს. საპასუხო შეხვედრაში მასპინძლობა, ჩემი აზრით, გარკვეული უპირატესობა მართლაც არის, მაგრამ არა გადამწყვეტი.

**- ყველა მიიჩნევს, რომ „ზესტაფონმა" ეს ბარიერი უნდა გადალახოს...**

- ზემოთაც აღვნიშნე, რომ ამ წყვილში ფავორიტები ვართ. ეს ბარიერი უნდა გადავლახოთ, მაგრამ იოლი გასეირნება ნამდვილად არ გველის. ჩრდილო ირლანდიელებთან ორი მატჩი რთული იქნება. მეტოქე სათანადოდ უნდა დავაფასოთ და შევაფასოთ.

**- მეორე ეტაპზე კი თქვენი გუნდის მეტოქე შვედურ „ჰელსინგბორგსა" და სომხურ „მიკას" შორის გამარჯვებული იქნება. ამ ორი გუნდიდან ვის ელით?**

- „ჰელსინგბორგი" უფრო დიდი ტრადიციების მქონეა და „მიკაზე" ძლიერიც უნდა იყოს. ვფიქრობ, შვედები გავლენ მეორე ეტაპზე.

**- „ჰელსინგბორგთან" რა შანსი ექნება „ზესტაფონს"?**

- მეორე ეტაპზე უფრო ძლიერი მეტოქე გვეყოლება, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ „ჰელსინგბორგის" წინააღმდეგ „ზესტაფონი" უშანსოდ იყოს. უფრო მეტიც, ეს ბარიერი ჩვენთვის დაუძლეველი ნამდვილად არაა. ასე რომ, ამ შვედურ გუნდთანაც შეიძლება ბრძოლა... კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მეტოქეებს ვაფასებ და პატივს ვცემ, მაგრამ ჩვენ ჩვენი მიზნები გვაქვს... ჩვენი ამოცანაა, ევროპის ლიგაზე მინიმუმ 2 ეტაპი მაინც გადავლახოთ. ეს ამოცანა დაუძლეველი ნამდვილად არაა და ამ ჩანაფიქრის რეალიზებისთვის ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. აქვე მინდა ერთიც აღვნიშნო: ძალიან გაგვახარა უეფას გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმადაც ევროპის ლიგაზე საშინაო თამაშს ზესტაფონის სტადიონზე ჩავატარებთ. ჩვენი ფეხბურთელებისათვის ეს გადაწყვეტილება ერთგვარი სტიმულია. სულ სხვაა, როცა მშობლიურ არენაზე გიწევს თამაში. ჩვენ გვინდა ზესტაფონს და მთლიანად იმერეთს, ლამაზი საფეხბურთო საღამო მოვუწყოთ.

**- ევროტურნირისთვის და ახალი სეზონისთვის გუნდს სლოვენიაში ამზადებთ. როგორ მიდის სამზადისი?**

- „პოლონიასთან" პირველი საკონტროლო მატჩი წვიმის გამო ჩაგვეშალა. გარდა ამისა, მცირედი კორექტივების შეტანა მოგვიხდა გეგმაში, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაგვჭირვებია. „პოლონიასთან" მაინც გავმართეთ ამხანაგური მატჩი, რომელიც ფრედ, 2:2 დასრულდა. ხვალ, 23 ივნისს სლოვენიის ჩემპიონ „მარიბორს" ვხვდებით. ამ კვირის ბოლოს დავასრულებთ მოსამზადებელ შეკრებას და „მარიბორის" შემდეგ კიდევ ერთი ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ, სავარაუდოდ 25 ივნისს.

**- საკონტროლო მატჩებმა რა დაგანახვათ?**



გია გეგუჩაძე

- წარმოჩნდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მომენტები. დავინახეთ, სადაა სამუშაო და რაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი. თუმცა ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია და მოუგვარებელ პრობლემას ნამვილად ვერ ვხედავ. ასე რომ, მზადება ჩვეულებრივ მიმდინარეობს და ევროტურნირებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**დავით ცაბაძე**

**P.S. გეგუჩაძესთან საუბარს ამით მოვრჩით. დღეს „ზესტაფონი" „მარიბორთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს. ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სწორედ ეს გუნდია „ვიტ ჯორჯიას" მეტოქე. როგორც შევიტყვეთ, ამ ორი ქართული კლუბის წარმომადგენლებმა უკვე ისაუბრეს და ზესტაფონელები ვეტერინარებს დღეს გასამართი ამხანაგური მატჩის ვიდეოფირს გადასცემენ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კვახაძე მაინც მიდის...

გუშინდელ „ლელოში" კი გაუწყეთ, „ვიტ ჯორჯიამ" **ალექსანდრე კვახაძესთან** კონტრაქტი გააგრძელა-თქო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დამდეგ სეზონში კვახაძე ისევ ამ გუნდის ფეხბურთელი იქნება - შესაძლოა, კვახაძე ჰაიფას „მაქაბიში" გადავიდეს.

მოკლედ, საქართველოს ნაკრების ცენტრალური მცველით ისრაელის წლევანდელი ჩემპიონი დაინტერესდა. კვახაძე ჯერაც „ვიტ ჯორჯიაში" ვარჯიშობს, მაგრამ თუ „მაქაბისთან" მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, კვახაძე საქართველოს ჩემპიონატში აღარ ითამაშებს.

ლექსო ჯერ კიდევ ზამთარში აპირებდა უცხოეთში წასვლას, მაგრამ მაშინ „ვიტ ჯორჯიამ" იმარჯვა - კაპიტნის გუნდში დატოვება მოახერხა. არავინ იცის, გახდებოდა თუ არა „ვიტ ჯორჯია" საქართველოს ჩემპიონი ამ ფეხბურთელის გარეშე - კვახაძე ვიტელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. სეზონის დასრულების შემდეგ კვახაძე თავისუფალი აგენტი გახდა, მაგრამ ჩემპიონებმა მასთან ახალი კონტარქტის გაფორმება მოასწრეს და თუ კვახაძე"მაქაბიში" გადავა, ამით „ვიტ ჯორჯიაც" იხეირებს.

კვახაძე, „მაქაბი" და „ვიტ ჯორჯია" ყველაფერზე შეთანხმდნენ - ასეთ ვარიანტში შესაძლოა, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ვიტჯორჯიელებმა „მარიბორთან" კვახაძის გარეშე იბრძოლონ.

„ვიტ ჯორჯიამ" თადარიგი უკვე დაიჭირა - ჯერ კიდევ განვლილი სეზონის მეორე ეტაპზე „გაგრადან" ცენტრალური მცველი **ნიკა მგელაძე** გადაიბირა. გარდა ამისა, კვახაძის შემცვლელად პრეტენზიას აცხადებენ **ამირან ყველაშვილი** და **გურამ ადამაძე**.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონი

# დაუგავას რბევა ლადომ დაასრულა

ლატვიურ ვირსლიგაში გუშინ მე-17 ტურის მატჩები გაიმართა. დედაქალაქის დერბიში „სკონტომ" 6:0 გაანადგურა „დაუგავა". გუნდის კაპიტანმა **დავით გამეზარდაშვილმა** გამარჯვებულთა შორის 74-ე წუთამდე ითამაშა, 5:0-ზე კი ის შეცვალეს. **ლადო დვალიშვილმა** მეორე ტაიმი ითამაშა, შესვენებაზე მან **კრისტაპს ბლანკსი** შეცვალა. „სკონტოს" ბოლო გოლი, 92-წუთზე სწორედ ქართველმა ფორვარდმა გაიტანა. ეს დვალიშვილის მე-8 გოლია ჩემპიონატში.

ტურის ცენტრალური მატჩი ლიეპაიაში გაიმართა, სადაც „მეტალურგსმა" ჩემპიონ „ვენტსპილსს" უმასპინძლა. შუადღეს გაირკვა, რომ „მეტალურგსი" თბილისის „დინამოს" მეტოქეა უეფას ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, ამიტომაც ამ შეხვედრას ჩვენთვის მეტი ინტერესი მიეცა. „მეტალურგსმა" 2:1 მოუგო „ვენტსპილსს", დამარცხებულთა შორის შეუცვლელად ითამაშა **ზურაბ მენთეშაშვილს**. **თამაზ პერტიას** „დინაბურგი" სტუმრად „ოლიმპსს" დაუზავდა - 1:1. „დინაბურგმა" უქართველოდ ითამაშა, **ირაკლი ქორთუა** სათადარიგო იყო, **ვასილ ლუჭაშვილი** - ტრავმირებული. **გაგა გუგანაშვილს** არ უთამაშია „იურმალასა" და „ბლაზმას" დაპირისპირებაში, ქართველი შემტევის გუნდმა 3:0 იმარჯვა. „მეტალურგსი" ქულებით დაეწია „ვენტპილსს" (36-36 ქულა), თანაც „დინამოს" მეტოქეს მატჩით ნაკლები აქვს გამართული ჩემპიონზე. „სკონტო" 32 ქულით მესამე ადგილზეა, „დინაბურგი" და „იურმალა" 22-22 ქულით მე-4 - მე-5 ადგილებს იყოფენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

1001 სიტყვა

## გია ჭანტურია

# მე გავხდები ქართველი ბოსმანი

## ახალკაცი და კოკაია ჩემს ხარჯზე ნუ ძმაკაცობენ



გია ჭანტურია

**გია ჭანტურიასა და „ზესტაფონის" დავა ახალ სიბრტყეში გადავიდა - თუ ადრე იყო ჭანტურია-"ზესტაფონის" საქმე, ახლა ფიფა კონფლიქტს ჭანტურია-ფედერაციის ჭრილში განიხილავს. ფედერაციის ტრანსფერებისა და მოთამაშეთა სტატუსის კომისიის გადაწყვეტილებით, „ზესტაფონს" მეკარისთვის კონტრაქტის უსაფუძვლოდ გაწყვეტის გამო 29 ათასი ლარი (კონტრაქტის დასრულებამდე დარჩენილი ვადის საფასური) უნდა გადაეხადა. თუმცა ფედერაციის ბოლო ალმასკომზე ნოდარ ახალკაცი გამოვიდა წინადადებით, „ზესტაფონს" ჭანტურიასთვის მხოლოდ უგუნდოდ დარჩენის პერიოდში ასალები თანხა აენაზღაურებინა - ანუ, წინა გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 29 ათასი ლარის ნაცვლად, მხოლოდ - 7 ათასი.**

**ამან, ერთ დროს საქართველოს ნაკრების მეკარე აღაშფოთა და საკუთარი უფლებების დასაცავად ფიფა შეაწუხა...**

**- გია, იქნებ, კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს, როგორ ვითარდებოდა დავა თქვენსა და „ზესტაფონს" შორის...**

- ფედერაციის ტრანსფერებისა და მოთამაშეთა სტატუსის კომისიამ საკითხი რამდენჯერმე განიხილა - 2008 წლის დეკემბერში კლუბს თვე-ნახევრის ხელფასის, ანუ 3 000 ლარის გადახდა და გუნდში ჩემი დაბრუნება დაავალა. „ზესტაფონი" ამტკიცებდა, თითქოს ვარჯიშებს საკუთარი ნებით ვაცდენდი, ჩვენ არ გაგვიშვიაო. თუმცა, ჩემი სიმართლე „ზესტაფონის" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, თემურ მახარაძემ დაადასტურა, გიას ვარჯიშზე არ უშვებდნენო და ამის გამო ისიც კლუბიდან გაუშვეს. ღირსეული საქციელისთვის მინდა მას მადლობა გადავუხადო. მახარაძემ სამსახური სიმართლის თქმისთვის დაკარგა, მაგრამ ღირსება შეინარჩუნა. ამაზე მეტად არც ერთი სამსახური არ ღირს. „ზესტაფონმა" გადაწყვეტილება არ შეასრულა და კიდევ ერთხელ მომიხდა ფედერაციაში სარჩელის შეტანა. 22 იანვარს ფედერაციის კომისიამ კლუბს უფრო მკაცრი სასჯელი გამოუტანა - ამჯერად, კონტრაქტის უსაფუძვლოდ განყვეტისთვის. „ზესტაფონს" ჩემს სასარგებლოდ კონტრაქტის ამოწურვამდე დარჩენილი 14,5 თვის ხელფასის, ანუ 29 ათასი ლარის გასტუმრება დააკისრა. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ უარი მითხრეს „საკონტრაქტო" 10 ათასი დოლარის გადახდაზე. როგორც გაირკვა, კონტრაქტის ეს პუნქტი „ზესტაფონს" ფედერაციაში დარეგისტრირებული არ ჰქონია. ეს საერთოდ, ცალკე თემაა. მიიღეს ისევ საჩემო გადაწყვეტილება, მაგრამ რად გინდა? „ზესტაფონის" პრეზიდენტი ყურსაც არ იბერტყავდა, ფედერაციის გადაწყვეტილება კვლავ არაფრად ჩათვალა.

**- რატომ არ სრულდებოდა ფედერაციის გადაწყვეტილება? თანხის გადახდის ბოლო ვადა მითითებული არ იყო?**

- როგორ არ იყო მითითებული. მეორე გადაწყვეტილება 20 თებერვლამდე უნდა შეესრულებინათ. აქ ერთი საინტერესო დეტალია: მეორე დადგენილების შემდეგ, „ზესტაფონმა" ალმასკომს სასჯელის შემსუბუქების მიზნით რომ მიმართა, უპასუხეს, მსგავსი დავის განხილვა ჩვენს კომპეტენციაში არ შედისო. თუმცა, 21 ივნისს ალმასკომის წევრებს ნოდარ ახალკაცმა საკითხის განხილვა შესთავაზა და სწორედ მისი წინადადებით დაეკისრა „ზესტაფონს" ჩემი „სიონში" გადასვლამდე, ანუ უგუნდოდ დარჩენის პერიოდში ასალები თანხის ანაზღაურება, ანუ 29 ათასი ლარის ნაცვლად, 7 ათასი. თუკი ალმასკომს განხილვის უფლება არ ჰქონდა, ახალკაცმა ეს რის საფუძველზე მოითხოვა? ეს ძალიან მაინტერესებს. მაშინ, რატომ მაწვალეს ამდენი თვე, ამათი პატარა ბავშვი ვარ? სხვათაშორის, ჩემი საქმიდან გამომდინარე, საქართველოს ფედერაციის კიდევ ერთ „ნოუ ჰაუს" წავაწყდი. ალმასკომის გადაწყვეტილების გასაჩივრება რომ გადავწყვიტე, აღმოჩნდა, რომ ფედერაციაში არ არსებობს სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო. ფიფა კი ყველა ფედერაციას საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნას ავალდებულებს. როგორც ვიცი, ფიფას აცნობეს, რომ საარბიტრაჟო სასამართლო არსებობს. აბა, სად უნდა დავიცვათ ფეხბურთელებმა საკუთარი უფლებები, სამოქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანა ხომ გვეკრძალება? გამოდის, კლუბები რასაც უნდათ, აკეთებენ, ფეხბურთელებმა კი მონებივით ხმა უნდა ჩავიგდოთ? პირდაპირ ვამბობ, რომ ამ სიამოვნებას ვერავის მივანიჭებ, ვერც „ზესტაფონს" და ვერც ფედერაციას! მათ ჰგონიათ, ყველაფერი გაუვათ, მაგრამ როგორც გავატანინებ, მალე ნახავენ.

**- დანამდვილებით იცი, რომ საქართველოში საარბიტრაჟო სასამართლო არ არსებობს?**

- დავინტერესდი, სად შემეძლო გადაწყვეტილების გასაჩივრება და მითხრეს, სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოშიო. თუმცა, ფედერაციაში მითხრეს, ასეთი რამ ჩვენთან არ არსებობსო და რა გამოდის? ალმასკომის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არ გამაჩნია. არადა, ფიფაში ეს რომ გაიგონ, ერთი ამბავი ატყდება.

რატომ ჩაერია ფედერაციის პრეზიდენტი საქმეში და რის საფუძველზე მიმართა ალმასკომს, ჩემი კომპენსაცია 7 ათასამდე შეემცირებინათ? იმიტომ რომ ბოლნისში წავედი? მაშინ, კლუბს კონტრაქტის უსაფუძვლოდ განყვეტისთვის რატომ და როგორ სჯიან? ასეთ შემთხვევაში, ფიფა კლუბს მთლიანი თანხის გადახდას ავალდებულებს. ეს ჩემი მოგონილი არაა. არ ახსოვს ახალკაცს, ნაკრებიდან ყირესი რომ გაუშვა, კონტრაქტის დასრულებამდე ასალებ თანხასთან ერთად, ფედერაციას ფიფამ დამატებითი თანხა რომ გადაახდევინა? ჩემთანაც ასე მოუწევთ, თორემ, გიჟი ვარ, ბოლნისში წავსულიყავი? სახლში მშვიდად დავჯდებოდი და გაცილებით მეტ თანხას ავიღებდი. თუ ამათ ფიფას წესების გადახედვა სურთ, საკითხი ჯერ ფიფასთან შეათანხმონ და როდესაც მათ სასარგებლო წესებს მიიღებენ, მერე მიიღონ სასურველი გადაწყვეტილება. ახლა კი ურჩევნიათ, ფიფას წესები უცვლელად შეასრულონ.

ახალკაცმა ინიციატივა იმიტომ ხომ არ გამოიჩინა, რომ ილია კოკაიასთან ახლობლობს? ფეხბურთელები ადამიანები ვართ და არა მონები. ფედერაციასაც დავუმტკიცებ და „ზესტაფონსაც", რომ კანონი ყველასათვის ერთია და დავა წლებიც რომ გაგრძელდეს, ამ უკანონობას არავის შევარჩენ.

**- ფიფაში წერილი როდის განიხილება?**

- წერილი ახლახან გავგზავნე და არ ვიცი, დავას როდის განიხილავენ. თუმცა, ვიღაცებს სასჯელი არ ასცდებათ. ქვეყანა იქაც ჩალით არაა დახურული. ისე, ძალიან მიკვირს, ფედერაციას დაჩაგრული ფეხბურთელის ინტერესის დაცვა რომ არ აინტერესებს.

**- ბევრი ფეხბურთელი ჩივის, რომ საქართველოში მათი უფლებები დაუცველია.**

- რა თქმა უნდა, დაუცველია! რაღა შორს წავიდეთ, „ზესტაფონი" ფიფიას როგორ მოექცა და რა რეაგირება ჰქონდა ფედერაციას? ფიფიაც თვითონ გაუშვეს და კლუბმა მაშინაც ფეხბურთელს დააბრალა, თავად წავიდაო. არ იცოდნენ, ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელს მთელი ექვსი თვე ვარჯიშის უფლებასაც რომ არ აძლევდნენ? ფაქტობრივად, მთელი სეზონი გააცდინა და ფორმის აღდგენას დღემდე ცდილობს. ესაა ფეხბურთელის გაზრდაზე ზრუნვა და სამართლიანი გადაწყვეტილება, რაც ფედერაციის უშუალო მოვალეობაა? თუმცა, ფიფია გაჩუმდა და ექვსი თვის ხელფასი „ზესტაფონს" შეარჩინა. ჩემი საქმე უპრეცედენტო იმითაა, რომ კლუბს პრინციპულად ვთხოვ სამართლიანი გადაწყვეტილების შესრულებას. მოძველებული მეთოდებით თავს არავის „დავაგორიმებინებ".

**- მოკლედ, ქართველი ბოსმანობა გადაგიწყვეტია.**

- რა თქმა უნდა! ჩემი სიმართლე დამტკიცდება, კლუბი დაისჯება და შესაძლოა, ფედერაციაც ზედ მიაყოლონ. მერწმუნეთ, ამის შემდეგ სხვა კლუბები ფეხბურთელთან ასე მოქცევას ველარ გაბედავენ. ჩემი საქმე ყველა თავნება კლუბისთვის ჭკუისსასწავლებელი მაგალითი უნდა გახდეს. თუმცა, ფეხბურთელებიც უნდა გამოფხიზლდნენ და კარგად გააცნობიერონ, რისი უფლება აქვთ. არ შეიძლება, ყველაფერზე თვალი დახუჭო და დაჩაგვრა შეირჩინო. მჯერა კი არა, ძალიანაც მინდა, რომ ქართველი ბოსმანი გავხდე და სამართლის დამკვიდრებას ხელი შევუწყო. მე არ გავჩერდები, ვიყვირებ, სხვებიც ამყვებიან და დამიჯერეთ, ამ ფეხბურთში სამართალს დავამკვიდრებთ. რა ჩემი საქმეა, ახალკაცი და კოკაია ერთმანეთის ძმაკაცები არიან თუ ნათელ-მირონები, მაგრამ ფიფას დადგენილი ნორმები ალასრულონ და ჩემს ხარჯზე ნუ ძმაკაცობენ. ამათ მონები სჭირდებათ, მე კი მონა არც ვყოფილვარ და არასდროს გავხდები.

**- რა შუაშია მონები, იქნებ, კანონი მართლა მათ მხარესაა?**

- მაშინ ფედერაციის კომისიამ რატომ გამამართლა და რატომ არ განიხილა ალმასკომმა „ზესტაფონის" პირველი სარჩელი? მე ვიცი, რასაც ვლაპარაკობ და მერწმუნეთ, მათთან მართალი ვარ, თორემ ასეთ თამამ განცხადებებს არ გავაკეთებდი.

**მერაბ მამულაშვილი**

## ოფიციალური განმარტება

ამ ინტერვიუდან გამომდინარე, რამდენიმე კითხვა გაჩნდა ფეხბურთის ფედერაციისა და, კერძოდ, მისი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის მიმართ.

1. რატომ არ აიძულა ფედერაციამ „ზესტაფონი", შეესრულებინა მოთამაშეთა ტრანსფერებისა და სტატუსის კომისიის იანვრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კონტრაქტის უსაფუძვლოდ გაწყვეტისთვის, „ზესტაფონს" გია ჭანტურიასთვის, კომპენსაციის სახით, 29 ათასი ლარი უნდა გადაეხადა?

2. ჭანტურიას თქმით, საქმესთან დაკავშირებით, ალმასკომმა ერთხელ „ზესტაფონი" უარით გაისტუმრა. მოტივად დასახელდა ის, რომ საკითხი ამ ორგანოს კომპეტენციაში არ შედიოდა. რის საფუძველზე შეიტანა ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ივნისში გამართულ ალმასკომზე წინადადება, რომ „ზესტაფონის" სასჯელი 29 ათასი ლარის ნაცვლად 7 ათასამდე შეემცირებინათ?

3. ჭანტურია აცხადებს, რომ ალმასკომის გადაწყვეტილების გასაჩივრება სურდა, მაგრამ ფედერაციაში არ არსებობს სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო.

კითხვები გავაცანით ფედერაციის პრესატაშე **სანდრო ცნობილაძეს**, რის პასუხადაც მან ეს განცხადება გამოგვიგზავნა.

■ ■ ■

2009 წლის 22 იანვარს სფფ-ს მოთამაშეთა ტრანსფერებისა და სტატუსის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ს.კ „ზესტაფონს" დაეკისროს 14,5 თვის ხელფასის გადახდა გ. ჭანტურიასათვის. 2009 წლის 5 თებერვალს ს.კ „ზესტაფონმა" წერილობით მიმართა სფფ-ს, რომლითაც ითხოვდა განმარტებას, თუ რომელ საარბიტრაჟო სასამართლოში შეეძლო კლუბს კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება. სფფ-ს გენერალურმა სამდივნომ სფფ-ს წესდებიდან გამომდინარე მიმართა შესაბამის საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელმაც ეს საკითხი არ მიიღო განსახილველად, რამეთუ კლუბსა და ფეხბურთელს შორის არსებული ხელშეკრულება არ შეიცავდა სიტყვასიტყვით ფორმულირებას მხარეებს შორის მიღწეულ საარბიტრაჟო შეთანხმებასთან დაკავშირებით, არამედ შეიცავდა მითითებას სფფ-ს, ფიფა-სა და უეფა-ს წესდებების აღიარებასთან დაკავშირებით. სფფ-ს განემარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობის ამ ნაწილში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, საკონტრაქტო მითითება სფფ-ს, ფიფა-სა და უეფა-ს წესდებების აღიარებასთან დაკავშირებით და შესაბამისად ირიბი საარბიტრაჟო შეთანხმება, აღარ იძლევა იმის იურიდიულ შესაძლებლობას, რომ საქმე განსახილველად სფფ-ის მიერ შერჩეულ კერძო არბიტრაჟს გადაეცეს. საარბიტრაჟო სასამართლოს რჩევისა და მოქმედი კანონმდებლობის ახალ მოთხოვნათა გათვალისწინებით, არსებული თუ შესაძლო მომავალი დავების დასარეგულირებლად, სფფ-ს წესდებით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით, ყველა საფეხბურთო კლუბისა და ფეხბურთელებს შორის გაფორმებულ, როგორც მოქმედ, ასევე მომავალი სეზონიდან გასაფორმებელ ხელშეკრულებებში, სფფ-ს ალმასკომის გადაწყვეტილებით, „დავების მუხლში" აუცილებლად ჩაითვალა შესაბამისი ცვლილებება-დამატების შეტანა, კერძოდ:

1. ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება, რომელიც წარმოიშვება, გამომდინარეობს ან რაიმე სახით დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან განიხილება სფფ-ის ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომისიის მიერ.

2. კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ დავის არსებობის შემთხვევაში დავა განიხილება საარბიტრაჟო წესით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ განსაზღვრულ არბიტრაჟში.

3. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებები გადაეგზავნა ყველა კლუბს და ეს დებულებები მათ მიერ უკვე შეტანილ იქნა ფეხბურთელებთან ხელშეკრულებებში.

სფფ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა პირველად ეს საკითხი 2009 წლის 23 თებერვალს განიხილა და დაადგინა:

1. სფფ-ის მიერ დავების განმხილველი არბიტრაჟის განსაზღვრამდე კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება მოხდეს სფფ-ის ალმასკომში.

2. გასაჩივრების ვადა განისაზღვროს 2009 წლის 20 მარტამდე.

3. კლუბებსა და ფეხბურთელებს შორის გაფორმებულ თუ გასაფორმებელ ხელშეკრულებებში არსებული „დავების მუხლი" ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება, რომელიც წარმოიშვება, გამომდინარეობს ან რაიმე სახით დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან განიხილება სფფ-ს ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომისიის მიერ.

2. კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ დავის არსებობის შემთხვევაში დავა განიხილება საარბიტრაჟო წესით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ განსაზღვრულ არბიტრაჟში.

3. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

2009 წლის 20 მარტს ს.კ „ზესტაფონმა" შემოიტანა საჩივარი, რომელშიც კომისიის გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა. ეს საკითხი 2009 წლის 27 აპრილს გამართულ სფფ-ს ალმასკომის სხდომაზე იქნა განხილული, ისევე როგორც მოსაზრება, რომ დავის შეძლებისდაგვარად მოკლე დროში გადაწყვეტის მიზნით, ფეხბურთელ გ. ჭანტურიას მიეღო ხელფასი მხოლოდ იმ პერიოდისთვის, სანამ იგი ს.კ „ზესტაფონში" ირიცხებოდა. საბოლოოდ, სფფ-ს ალმასკომმა დაადგინა, რომ საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

2009 წლის 12 ივნისს სფფ-ს ალმასკომმა ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: ვინაიდან ფეხბურთელი გ. ჭანტურია 2009 წლის თებერვლის დასაწყისში გადავიდა ს.კ „სიონში", ს.კ „ზესტაფონს" დაეკისროს ფეხბურთელის სასარგებლოდ 2008 წლის ოქტომბერ (ნახევარი თვის) - დეკემბრის თვეების და 2009 წლის იანვრის თვის ხელფასის გადახდა, სულ 7000 ლარი.

ევროპის ჩემპიონატი U21



გერმანია ნახევარფინალში გასვლას ხარობს

# ინგლისმა FAIR PLAY დაალალატა

## ესპანეთი სახლში გაისტუმრეს

**შვედეთში ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის ნახევარფინალში ინგლისთან ერთად გერმანიის ნაკრები ითამაშებს. წუხელ B ჯგუფის ბოლო ტურში ყველაფერი ზედმეტი დრამატიზმის გარეშე წარიმართა, სატურნირო სიტუაციამ და პრაგმატიზმმა ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის, ესპანეთის ნაკრების პერსპექტივა შეიწირა. გერმანიამ და ინგლისმა „დაბარებული" ფრე ითამაშეს... თუმცა ესპანელებმა საკუთარ თავს დააბრალონ ეს ფიასკო, „სიკვდლის ჯგუფში" ინგლისთან მარცხი წინა ტურში მათთვის სასიკვდილო გამოდგა. მათი შეტევის ორი ვარსკვლავი ბოიან კრკიჩი და სისკო ამ ტურნირის ყველაზე დიდი იმედგაცრუებები არიან.**

**ფინეთი–ესპანეთი 0:2**

**ფინეთი (4-4-1-1):** ლეჰტოვაარა - რაიტალა, პორტინი, ტურუნენი, იალასტო - ჰაკოლა (76. კარკაინენი), მ. ჰეტემაი, სპარვი (38. ვასარა), პ. ჰეტემაი - ჰამალაინენი - პუკი (46. სადიკი).

**ესპანეთი (4-4-2):** სერხიო ასენხო - ასპილიკუეტა, მარკანო, ტორეხონი, მონრეალი - გრანერო, მარიო სუარესი, რაულ გარსია, ხურადო (21. სისი) - პედრო ლეონი (68. პერეირა), სისკო.

**გოლები:** 0:1 ტორეხონი (29), 0:2 პედრო ლეონი (55)

ესპანეთის ნაკრებს ორი თამაში და 30 წუთი დასჭირდა შვედეთში გოლის გასატანად, ეს კი პირველმა გუნდის ცენტრალურმა მცველმა **მარკ ტორეხონმა** შეძლო. „ესპანიოლის" წევრმა სტანდარტული სიტუაციიდან იხეირა, საჯარიმო ძალიან კარგად მოთამაშე **ესტებან გრანერომ** ჩააწოდა, კაპიტანმა **რაულ გარსიამ** ბურთი ქუსლით შეაგდო საჯარიმოში, სადაც მცველების დაბნეულობით ტორეხონმა ისე მოხერხებულად ისარგებლა, თითქოს მთელი ცხოვრება შემტევად თამაშობდეს - 1:0.

მანამდე ესპანელებმა ტრავმის გამო **ხოსე მანუელ ხურადო** მოისაკლისეს, მის ნაცვლად მოედანზე **სისი** გამოჩნდა. ესპანეთმა მეორე ტაიმში ანგარიში 2:0 გახადა, **პედრო ლეონმა** დიდებულად შეასრულა საჯარიმო, მართალია ფინელთა მეკარემ ბურთს ხელი წაჰკრა, მაგრამ ის ხარიხას მოხვდა და თავად **იუკა ლეჰტოვაარას** ზურგიდან შევარდა კარში - 2:0. ამ მატჩის გამარჯვებულის ვინაობაც აქ გაირკვა, ესპანელებს მხოლოდ ჰალმშტადური სასწაულის იმედი თუ ექნებოდათ, სასწაული კი არ მოხდა, გერმანიამ და ინგლისმა ერთმანეთს თავი არ შეაკლეს და წყვილად გავიდნენ ნახევარფინალში.

**გერმანია–ინგლისი 1:1**

**გერმანია (4-4-2):** ნოიერი - ბეკი, ჰიოვედესი, ბოატენგი, შმელცერი - კასტრო, ხედირა, ებერტი (85. აოგო), ბენ-ჰატირა (68. მარინი) - იოზილი, დეჟაგა.

**ინგლისი (4-4-2):** ლოუჩი (46. ლუისი) - სტირმენი, ტომკინსი, მანსიენი, ტეილორი - დრაივერი (71. ჯიბსი), გარდნერი, როდველი, ჯონსონი - როუზი, კემპბელი (58. უოლკოტი).

**გოლები:** 1:0 კასტრო (5), 1:1 როდველი (29)

ჰალმშტადში შემადგენლობების გაცნობისასაც მიხვდებოდით, რომ **სტიუარტ პირსის** გუნდი არ აპირებდა „თავის შეკვლას" და ჯენტლმენობის გამოჩენას. პირსმა კარში სათადარიგო გოლკიპერი **სკოტ ლოუჩი** ჩააყენა, მეტიც შესვენებაზე შანსი ნაკრების მესამე მეკარე **ჯო ლუისსაც** მისცა, რომელიც ტურნირზე მეტს ნაღდად აღარ ითამაშებს. მწვრთნელმა თითქმის მთლიანად გადაახალისა შემადგენლობა. მაგალითად ვინმე **დრაივერი** კარიერაში პირველ თამაშს ატარებდა ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში.

გერმანელებს ქულა ესაჭიროებოდათ და უკვე მე-5 წუთზე **გონსალო კასტრომ ჰორსტ ჰრუბეშის** გუნდის დაწინაურება შეძლო. ჰრუბეშის გუნდში ხუთი ისეთი ფეხბურთელი იყო, რომელთაც ეროვნულ გუნდშიც უთამაშია. პირველი გოლი ერთი მათგანის დამსახურებაა - **ჟერომ ბოატენგმა** ბურთი დაცვის ცენტრიდან წამოიღო და კასტროს შესანიშნავი პასი მიაწოდა. მალე ინგლისმა კინალამ მეორე გაუშვა, **მესუთ იოზილის** დარტყმა მცველს მოხვდა, თუმცა კარში ბურთი არ წავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი ფაქტობრივად სათადარიგო შემადგენლობით გამოვიდა, სათამაშო უპირატესობა მაინც ამ გუნდის მხარეს იყო. 29-ე წუთზე „ევერტონის" მოთამაშე **ჯეკ როდველმა** კუთხურიდან ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა და ანგარიში გაათანაბრა - 1:1. მალე მასვე შეეძლო ინგლისელების დაწინაურება.

მეორე ტაიმი მოსაწყენი იყო, თამაში მხოლოდ ბოლოსკენ გაიხსნა და ორივე გუნდს შეეძლო გამარჯვების გოლის გატანა. ახლა ინგლისის ნაკრები A ჯგუფის მეორეადგილოსანს შეხვდება ნახევარფინალში. ეს მატჩი გიოტებორგში პარასკევს გაიმართება. გერმანია A ჯგუფის გამარჯვებულს ჰელსინბორგში დაუპირისპირდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| გერმანია | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ფინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

**A ჯგუფი**

**დღეს**

**სერბეთი-შვედეთი**
**ბელარუსი-იტალია**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| შვედეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-3 | 3 |
| სერბეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრახის შემდეგ

# იტალია გაჩერდა

## ლიპი პასუხისმგებლობას არ გაურბის

იტალია გაჩერდა - პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. სკუადრა აძურამ ბრაზილიასთან 3:0-ზე წააგო და საშინელი ფეხბურთი ითამაშა. თუმცა, სიტყვა თამაში, ამ შემთხვევაში სრულიად უადგილოა - იტალია იდგა და ჯგუფში სრულიად სამართლიანად ჩარჩა. არადა, ნახევარფინალში გასასვლელად ფაქტობრივად არაფერი იყო საჭირო. არაფერი ჰქვია იმას, როდესაც იტალიის ეროვნული ნაკრები გქვია და ორი ბურთის სხვაობით წაგებაც კი ხელს გაძლევს. თუმცა, დღეს აძურა იმაზე უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ვინმეს წარმოედგინა. ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, რამაც განაპირობა კიდეც **მარჩელო ლიპის** გუნდის სრული კრახი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდით იტალიის ნაკრებს ნახევარფინალში არაფერი ესაქმებოდა, ფაქტია, რომ ბრაზილიასთან სამი ბურთის სხვაობით წაგების თავიდან აცილება ლიპის შეეძლო. სად დაუშვა შეცდომა სენიორ მარჩელომ? - ბევრი თვლის, რომ პრობლემა მწვრთნელში არაა, თუმცა „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი ასე არ ფიქრობს. ლიპიმ მოედნის ცენტრი წაგო, რამაც განაპირობა კიდეც აძურას ასეთი ფიასკო. ავტორიტეტული გამოცემა შეცდომად მიიჩნევს სასტარტო შემადგენლობიდან **ჯენარო გატუზოს** ამოგდებას და მისი **რიკარდო მონტოლივოთი** ჩანაცვლებას. არა იმიტომ, რომ რინო ამ ჩემპიონატზე ბრწყინვალედ ასპარეზობდა, არა - უბრალოდ, ის გახლდათ ერთადერთი აძურელი, რომელიც მეტოქის იერიშების ჩაშლის საქმეში მოწოდების სიმაღლეზე გახლდათ. **დანიელე დე როსი** და **ანდრეა პირლო** ინერტულები არიან, ძალიან ნელა მოძრაობენ და ეს პირველივე შეხვედრიდან ნათლად გამოჩნდა. მონტოლივო კი ისედაც შემტევი ტიპის ფეხბურთელია და მას მეტოქის იერიშების ჩაშლის ბევრი არაფერი გაეგება. გარემარბის პოზიციაზე გახლდათ **მაურო კამორანეზი** და ალბათ მას ევალებოდა გატუზოს არყოფნით გამოწვეული ვაკუუმის ნაწილობრივ მაინც შევსება, თუმცა „იუვენტინოს" ეს არ გამოუვიდა. შედეგად, ბრაზილიელებმა მოედნის ცენტრი დაიპყრეს, გაილაღეს და აძურას ტრადიციულად ძლიერი დაცვისგან აღარაფერი დატოვეს.

„გაძეტა დელო სპორტი" ასეთ კითხვას სვამს - გვაქვს კი საფუძველი გავაკრიტიკოთ ჩვენი ნაკრების დაცვის ხაზი? - ნაწილობრივ. ფაქტია, რომ იგივე პირველი გაშვებული გოლისას **ფაბიო კანავარო** დაცვაში ჩარჩა, ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნის პროცესს ვერ აუწყო ფეხი და **ლუიშ ფაბიანოს** გატანის საშუალება მისცა. მეორე გოლისას მთელი უკანა ხაზი ქაოსმა მოიცვა და ამღვრეულ წყალში თევზი კვლავ სელესაომ დაიჭირა. მესამე „შედეგიანი" დარტყმა კი სულაც უკანახაზელზე მოდის, მარცხენა ფრთიდან გაკეთებული გადაცემა **ანდრეა დოსენამ** „დააგვირგვინა". ბევრი წუნი ჰქონდა **ჯორჯო კიელინისაც**, **ჯანლუკა ძამბროტა** კი უჩვეულოდ ინერტული გახლდათ და შეტევაში ჩართვებს რატომღაც ერიდებოდა. მაგრამ მაინც, ყველაფერი მოედნის ცენტრიდან იწყება. ძნელია, ცალსახად გაამტყუნო და მკაცრად აკრიტიკო მცველები, რომლებზეც მთელი შეხვედრის განმავლობაში ბრაზილიელები უდიდეს წნეხს ახორციელებდნენ. რაც მთავარია, სამხრეთამერიკელები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადიოდნენ მოედნის ცენტრს და მათთან ჭიდილი ფაქტობრივად მხოლოდ უკანახაზელებს უხდებოდათ. ასეთ დროს დიდია იმის შანსი, რომ თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდე ან ქაოსში აღმოჩნდე, ანაც ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

ერთი სიტყვით, ჯოხი ნახევარდაცვაზე გადატყდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ამპლუის ფეხბურთელების, თუნდაც თავდამსხმელების პასუხისგებლობის საკითხი არ დგას. კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატეხეს თავს **ლუკა ტონის**. ის, რომ გოლი ვერ გაგაქვს, ერთია, მაგრამ ის, რომ ფეხბურთელს აღარ ჰგავხარ - მეორე. ტონი დღეს ფეხბურთელი არაა, - წერს „ტუტო სპორტის" ინტერნეტგამოცემა და აცხადებს, რომ ლუკას გამოძახება ეროვნულ გუნდში აღარ შეიძლება. საერთოდ გაუგებარი იყო, რა ფუნქცია ჰქონდა ამ ჩემპიონატზე **ვინჩენცო იაკვინტას**, ვინც ყველა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. სხვათა შორის, ერთადერთი, ვისაც აპენინელები აქებენ, **სიმონე პეპე** გახლავთ. „უდინეზეს" შემტევი ნახევარმცველი სელესაოსთანაც კარგად ჩაერთო თამაშში და ის, რომ ბოლო წუთებზე აპენინელებმა რამდენჯერმე დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით, დიდწილად მისი დამსახურება გახლდათ. ნორმალურად ფასდება **ჯუზეპე როსის** თამაშიც, თუმცა ალბათ თავადაც ხვდებით, რომ ეს ზღვაში წვეთია. კონფედერაციათა თასზე იტალიამ საშინელი ფეხბურთი ითამაშა. ამ მოსაზრებას იზიარებს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, **ჯანკარლო აბატე**. მოვუსმინოთ მას:

*„ძალიან ცუდად ვიასპარეზეთ და ჯგუფში ჩარჩენა დავიმსახურეთ. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ კონფედერაციათა თასი ჩავაგდეთ და მეტიც, თავი შევირცხვინეთ. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი ეს რამ განაპირობა. ფეხბურთელები გადაღლილები ჩანდნენ, მათ მთელი სეზონი აქვთ ზურგს უკან, მაგრამ იგივე მდგომარეობაში არიან ესპანელებიც და ბრაზილიელებიც. მიუხედავად ამისა, მათ პრობლემები არ შექმნიათ. უნდა გავაანალიზოთ შეცდომები, რომ მსგავსი რამ მომავალში აღარ განმეორდეს. მსოფლიოს ჩემპიონ გუნდს არ აქვს იმის უფლება, რომ ასე მოიჭრას თავი. ამ შეხვედრას მილიონობით ადამიანმა უყურა და რა ნახეს მათ? - უსუსური იტალიის ნაკრები, რომელსაც ნახევარი ძალით ეთამაშნენ და გაანადგურეს. იმედია, ლიპი სწორ დასკვნებს გამოიტანს და თამაშის ხარისხს გააუმჯობესებს".*

სენიორ მარჩელო გულდაწყვეტილია, თუმცა კონფედერაციათა თასის ჩაგდებისგან ტრაგედიას არ ქმნის: *„დღეს ესეთები ვართ და ესე ვთამაშობთ. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ჩემპიონატისთვის მზად არ აღმოვჩნდით. თუმცა, კონფედერაციათა თასი მაინც მოსამზადებელი ეტაპის ნაწილი იყო და ყველა შემთხვევაში მან ნაყოფიერად ჩაიარა. დიდი ინფორმაცია მივიღეთ განსჯისთვის და სამომავლოდ ეს ძალიან დიდ დახმარებას გაგვიწევს. პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, შეცდომები ჩემი მხრიდანაც იქნა დაშვებული, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ფეხბურთელებმა უბრალოდ ჩააგდეს ტურნირი. როგორც ჩანს, დაღლილობამ თავი მაინც იჩინა. ახლა ის დროა, წინ გავიხედოთ და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ვიფიქროთ. მუნდიალზე მოხვედრა რაც შეიძლება მალე უნდა გავინაღდოთ, რომ შემდეგ მშვიდად მოვემზადოთ სამხრეთაფრიკული მსოფლიო თასისთვის".*

ლიპის შემდეგ, სიტყვა **ფაბიო კანავაროს** გადავცეთ. კაპიტანმა იტალიის ნაკრებში 126-ე შეხვედრა ჩაატარა და ამ მაჩვენებლით რეკორდსმენი შეიქნა. თუმცა ფაბიო უგუნებოდ გახლდათ, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი: *„კონფედერაციათა თასზე რამდენიმე ტაქტიკური სქემის დამუშავება და ახალგაზრდების გამოცდა გვსურდა. ძალიან დასანანია, რომ გათამაშებას ასე უსახელოდ გამოვეთიშეთ და გულშემატკივარი გავაწბილეთ. ძალები უნდა მოვიკრიბოთ და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდეთ. ჩვენ კიდევ დავბრუნდებით სამხრეთ აფრიკაში და მაშინ ვნახოთ, რა შედეგს მივაღწევთ".*

იტალიელმა ჟურნალისტებმა კომენტარი **კაკასაც** ჩამოართვეს. „მილანის" ექსფეხბურთელმა გაკვირვება გამოხატა სკუადრა აძურას ასეთი უსუსური თამაშის გამო. სწორედ მას მოვუსმინოთ: *„აძურას ასეთმა სუსტმა თამაშმა უსიამოვნოდ გამაკვირვა. იტალია ძალიან მიყვარს, რადგან ამ ქვეყანამ მე ყველაფერი მომცა. აქ ჩამოვყალიბდი მოთამაშედ და ვისწავლე ყველაფერი ის, რაც ფეხბურთის მაღალ დონეზე თამაშისთვისაა საჭირო. შესაბამისად, სულაც არ მიხარია, როდესაც ასეთ სუსტ აძურას ვხედავ. ლიპის გუნდში უამრავი ჩემი მეგობარია და მინდა მათ მომავალში წარმატებები ვუსურვო. დარწმუნებული ვარ, იტალიელები მოძებნიან გამოსავალს და გუნდი მომავალში ბევრად უკეთეს ფეხბურთს ითამაშებს".*

**ლაშა ნიკლაური**



მარჩელო ლიპის ჯერ კიდევ ბევრი თავსატეხი აქვს

ელექტრონული ბიბლიოთეკა



პრემიერლიგა

# ისევ არაბები...

ინგლისურმა გაზეთებმა სენსაციური ამბავი შეიტყვეს: პრემიერლიგის კიდევ ერთ წამყვან კლუბს არაბი პატრონი ეყოლება. უფრო ზუსტად, კლუბი, რომელსაც ჯერ კონკრეტულად არ ასახელებენ, 60 პროცენტით არაბი მეპატრონის გახდება.

საინტერესოა, რომ კლუბს მალავენ, არაბს კი არა. ეს გახლავთ, **შეიხ აჰმედ ბინ შაქრ ალ-ყასიმი**, არაბთა გაერთიანებული საამიროების მმართველი ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ამბობენ, რომ ჯერ დაუსახელებელი კლუბის შეძენის შემდეგ უფალი ალ-ყასიმი მისი საპატიო თავმჯდომარეც გახდება.

უნდა ითქვას, რომ „მანჩესტერ სიტის" წარმომადგენლებმა გაზეთებისთვის პირველ დღეს ვერაფერი დაადგინეს და შემოუთვალეს, შეიძლება ეგ ყველაფერი ტყუილიც იყოსო. „სიტის" მავან წარმომადგენლებს კი ჟურნალისტები გასაგები მიზეზების გამო მიადგნენ - მანჩესტერის ეს გუნდი, ხომ თავად არაბთა მფლობელობაშია და შესაბამისად, საამიროთა წარმომადგენლებთან ახლოს არიან. ერთადერთი, რასაც არაბები ბრძანებენ, ეს გახლავთ, - ყველაფერს კვირის ბოლოს მოგახსენებთო.

ისე, მაინც... ცნობილ ინგლისურ კლუბთაგან რომელი იყიდება? ასეთები არიან „პორტსმუთი" და „ნიუკასლი", თუმცა ეს უკანასკნელი პრემიერლიგაში ალარ გამოდის, გავარდა. კიდევ, „ბირმინგემ სიტის" მეპატრონეები, **დევიდ გოლდი** და **დევიდ სალივანი** აპირებდნენ კლუბის გაყიდვას, მაგრამ ეს ადრე იყო, ბოლო ხანს კი ხმა აღარ ამოუღიათ.

პროექტი

# კეთილი, მწვანე სტადიონი

ბაზეთ „დეილი სტარის" საკვირაო ნომრის ცნობით, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპური" ახალი სტადიონის იდეას ჩასჭიდებია, ოღონდ ჩვეულებრივი სპორტული სარბიელის მოდელებს გასცილებია და ეკოლოგიურად სუფთა, ეგრეთ წოდებული, „გარემოსადმი მეგობრული" ნაგებობის ალმართვას ფიქრობს. რას ნიშნავს ეს „გარემოსადმი მეგობრული" სტადიონი, არავინ იცის, რადგან ასეთი ცნება მართალია არსებობს, მაგრამ მისი სტანდარტები საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებითაც კი არ არის შემუშავებული და სტადიონთან დაკავშირებით როგორლა იქნება. თუმცა ზოგადად გასაგებია - ნაგებობამ გარემო მინიმალურად უნდა დააზიანოს და, მშენებლობის დასრულების შემდეგ, მისი შემოგარენი რაც შეიძლება უნდა გამწვანდეს.

„სპურზის" შეფები ხსენებული სტადიონის აგებას ჩრდილოეთ ლონდონში აპირებენ და საერთო ხარჯიდან ანუ 400 მილიონი ფუნტიდან 10 მილიონის გალებას გამწვანებაზე გეგმავენ. მართალია, ჯერ ხსენებული ნაგებობის არც პროექტი არსებობს და არც ადგილია ზუსტად შერჩეული, მაგრამ „ტოტენჰემის" ოფისში ზუსტად იციან, რომ მათი ქმნილება ეკოლოგიური თვალსაზრისით მსოფლიოს ყველაზე სუფთა, თითით საჩვენებელი ადგილი იქნება.

სხვათა შორის, თუ ლონდონური კლუბების, „ტოტენჰემისა" და „არსენალის" ქიშპობას გავიხსენებთ, მივხვდებით, რომ „მამლების" ჩანაფიქრი გარკვეული გაგებით „მეთოფეთა" გალიზიანებისკენაც არის მიმართული - „არსენალმა" ხომ 2006 წელს ააგო ახალი, „ემირატ სტედიუმი", რომელიც... ეკოლოგიურად განსაკუთრებული სულაც არ გახლავთ.

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" ჩანაფიქრმა რამდენიმე წელიწადში უნდა შეისხას ფრთები და, მესვეურთა აზრით, 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელიც უნდა იყოს - ოღონდ, ამისათვის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ინგლისელებმა უნდა მოიპოვონ.




სავარაუდო ტრანსფერი

# ახლა სხვა ლივერპულში


მაიკლ ოუენი

ვეტერანი ვარსკვლავის, **მაიკლ ოუენის** მომავალი შესაძლოა ამ კვირაშივე გაირკვეს - „ლივერპულის" ყოფილი გმირი ბავშვობის საყვარელი გუნდისკენ, „ევერტონისკენ" მიიწევს. მოგეხსენებათ, „ლივერპულიც" და „ევერტონიც" ქალაქ ლივერპულის გუნდებია, შესაბამისად, მოქიშპენი გახლავან და ადვილი წარმოსადგენია, ფორვარდი „ევერტონში" ხუთი წლის წინ, პირდაპირ „ლივერპულიდან" რომ გადასულიყო, რამხელა ხმაური ატყდებოდა. მაგრამ, დღეს ყველაფერი წყნარადაა, რადგან ოუენი „ევერტონში" „ნიუკასლ იუნაიტედიდან" გადადის - „ლივერპულს" ოუენი 2004 წელს დაემშვიდობა, რის შემდეგაც ერთი წელიწადი მადრიდის „რეალში" გაატარა, ხოლო ოთხი - „ნიუკასლში".

„ევერტონის" მწვრთნელი, **დევიდ მოიესი** ამ ზაფხულს, სატრანსფერო ბაზარზე, უპირველეს ყოვლისა, თავდამსხმელის საყიდლადაა გასული. საქმე ის გახლავთ, რომ ფრანგი ფორვარდი **ლუი საა** ბოლო ხანს თურქულ „ბეშიქთაშს" დაუკავშირდა და შეიძლება იქ გადავიდეს, ხოლო ახალგაზრდა ლაგოსელ **ვიქტორ ენიჩებეზე** ამბობენ, რომ ერთი ლიგით დაბლა, „შეფილდ უენსდეიში" უნდა გააქირაონ.

როგორც გაზეთი „დეილი მირორი" იუწყება, შექმნილი მდგომარეობის შესწავლის შემდეგ „ევერტონში" დარჩათ შთაბეჭდილება, რომ კლუბსა და ოუენს შორის შეიძლება ჩინებული გარიგება შედგეს. „ევერტონს" გამოცდილი ფორვარდი სჭირდება, ოუენს კი რეგულარული თამაში და ფორმის აღდგენა - „ფრანს ფუტბოლის" 2001 წლის გამოკითხვის ლაურეატს 29 წლისა და უამრავი ტრავმით ნაგვემი სხეულის მიუხედავად, გული კვლავ საფეხბურთო სიმაღლეებისკენ მიუწევს.

როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, ფეხბურთელსა და კლუბს შორის არც სახელფასო პრობლემების შექმნაა მოსალოდნელი. ოუენი კვირაში 50 ათასს დაჰყაბულდება, ეს თანხა კი ევერტონელთა სახელფასო სისტემას სრულიად ეთანადება.

ახლა, საკითხის მოგვარებას მწვრთნელის, მოიესის შვებულებიდან დაბრუნება სჭირდება. მოიესს ოფისში ამ კვირაში ელოდებიან და როგორც კი ეს მოხდება, „გუდისონ პარკი" ოუენის ამბავს, სავარაუდოდ, უკვე ოფიციალურად დაადასტურებს.

თუმცა, ვეტერანის შეძენით მხოლოდ ევერტონელები არ არიან დაინტერესებული. ფორვარდის თავისთან, „KC სტედიუმზე" გადაბირება „ჰალის" თავკაცს, **ფილ ბრაუნსაც** სურს. მეხუთე ადგილზე გასული „ევერტონისგან" განსხვავებით, „ჰალი" მეჩვიდმეტეზეა, მაგრამ მისი შეფები ამას ვაჭრობაში წინააღმდეგობად არ მიიჩნევენ. „დეილი მეილისთვის" მიცემულ ინტერვიუში ბრაუნმა განაცხადა:

*„ჩვენ სწორედ თავდასხმაში გვინდა გაძლიერება, ოუენი კი გამოცდილი ფორვარდია, გოლების გატანა არ ეშლება. მოკლედ, ჩვენ მას სიამოვნებით შევიძენდით, მაგრამ ჯერ ოფიციალური წინადადება არ შეგვიდგენია".*

ქორწილია, ქორწილი!

# რიო ცოლს ირთავსო...



ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავი, „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი, **რიო ფერდინანდი** მომავალ შაბათ-კვირას ქორწინდება - სამშაბათსვე გაფრთხილებთ, რომ მოემზადოთ. თუმცა, ხუმრობა გვერდით იყოს და, იმ ქორწილზე მოხვედრა ბევრ ლონდონელს და მანჩესტერელსაც გაუჭირდება - იქ ჩანგალზე ვერავინ მივა. წვეულებაში, რომელიც, სხვათა შორის, ხუთ დღეს გასტანს, რიო ხუთ მილიონ ფუნტს იხდის და სტუმრებიც სულ სათითაოდ ჰყავს ნარჩევი.

სამშაბათს გაფრთხილებთო რომ გითხარით, ის შაბათ-კვირისთვის იყო, თორემ ხუთდღიანი დროს ტარება ხვალიდან იწყება. საამისოდ, ფერდინანდმა, კარიბის ზღვაში მთლიანად იქირავა ხუთვარსკვლავიანი კურორტი პიტერ აილენდი - არის კარიბეთში კუნძულები, საგანგებოდ მდიდარი სტუმრების მისაღებად რომ აქვთ მოწყობილი. რიო და მისი საცოლე, **რებეკა ელისონი** ამ კურორტის მახლობლად მდებარე, კვირაში 50-ათასფუნტიან ვილაში იცხოვრებენ. რას იტყვით, დიდებულია სამხრეთ ლონდონის გარეუბნიდან გამოსული ბიჭისთვის, არა? ცნობისათვის: ერთადერთი, რითაც მისი უბანი ინგლისში ხალხს გაუგონია, ეგრეთ წოდებული სიტკომი ანუ სიტუაციური კომედია, უფრო ქართულად კი კომედიური სერიალი „მხოლოდ სულელები და ცხენები" გახლავთ.

პიტერ აილენდზე რიო და რებეკა ოჯახის წევრებთან და უახლოეს მეგობრებთან ერთად, კერძო თვითმფრინავით დღეს მიფრინავენ. ეს პიტერ აილენდი ვირჯინიის იმ კუნძულთაგანია, რომელიც შეერთებულ შტატებს კი არა, ბრიტანეთს ეკუთვნის. ხოლო, იმ სტუმართათვის, ვინც ბედნიერი წყვილის თვითმფრინავში ვერ მოხვდა, სხვა თვითმფრინავი ხვალ აფრინდება. როგორც ფერდინანდის ერთ-ერთმა ახლობელმა News of the World-ს უთხრა, საცოლეს თავისი ქორწილის საჯაროდ გამომზეურება არ სურს და ამიტომ, წვეულებასა და ცერემონიალს, ექსკლუზიურად, რომელიმე გაპრანჭული ჟურნალი არ დაესწრება.

ამბობენ, რომ 30 წლის რიო, რომლის ქონებაც 30 მილიონ გირვანქად გახლავთ შეფასებული, 29 წლის საცოლეს ასე მოთმინებისა და გამძლეობისთვის აჯილდოებს. ხუმრობა ხომ არ არის, წყვილი აგერ უკვე შვიდი წელიწადია ერთად ცხოვრობს, ჰყავს ორი ვაჟი, სამი წლის **ლორენსი** და ცხრა თვის **ტეიტი**, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში ბრიტანულ ტაბლოიდებში არ წყდებოდა სტატიები ფერდინანდის მექალთანეობის შესახებ. 2006 წელს კი ერთ-ერთი ქალბატონი, სტიუარდესა **ლორენ ელკონი** ძალიან შორსაც წავიდა და ამტკიცებდა, რომ რიოსთან ექვსწლიანი რომანი აკავშირებდა. ამ სკანდალის შემდეგ ფერდინანდმა რებეკას ყვითელი ბრილიანტის ბეჭედი აჩუქა და ლას-ვეგასში წაიყვანა.

მაგრამ, დავუბრუნდეთ ქორწილს, რომლის მთავარი ცერემონიალიც კვირისთვის გახლავთ დაგეგმილი. ხვალ პიტერ აილენდს ასზე მეტი სტუმარი ეწვევა და ორშაბათამდე დარჩება. ჩვენ, ბუნებრივია გვაინტერესებს, ვინ არის დაპატიჟებული სპორტული სამყაროდან. ესენი გახლავან „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები, **გარი ნევილი**, **ვეს ბრაუნი** და **უეინ რუნი** ფეხმძიმე ცოლთან, **კოლინთან** ერთად, „ჩელსის" მოთამაშეები, **ფრენკ ლემპარდი**, **ჯონ ტერი**, **ჯოდი მორისი** და არსენალელი **ეშლი კოული**. ამათ გარდა მიწვეულები არიან „იუნაიტედის" მწვრთნელი, **სერ ალექს ფერგიუსონი** და ჰოლივუდის ვარსკვლავად ქცეული უელსელი ვეტერანი **ვინი ჯონსი**. მაგრამ, მიწვეულთაგან ქორწილს ყველა შეიძლება არ დაესწროს. კერძოდ, უეინ რუნის ცოლი, კოლინი რიოსა და რებეკაზე ნაწყენია, რადგან ისინი შარშან მისი და უეინის ქორწილში არ მივიდნენ - არადა, უეინმა საგანგებოდ ლიმუზინი გაუგზავნა.

კვირას, მთავარი ცერემონიალი რელიგიური არ იქნება. მეჯვარედ (თუმცა, ვინაიდან ჯვარს არ იწერენ, ალბათ უფრო ხელის მომკიდედ ან მოწმედ) რიოს ძმა **ანტონი** ჰყავთ შერჩეული - ანტონ ფერდინანდიც პრემიერლიგაში თამაშობს, „სანდერლენდის" ფეხბურთელია.

ცნობისათვის: შარშან, თავიანთ ქორწილში 5 მილიონი ფუნტი გადაიხადეს უეინ რუნიმ და კოლინმაც, **დევიდ ბექჰემმა** და **პოშმა** კი 1999 წელს 500 ათასად „იპურმარილეს".

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ტრანსფერები

# ჯონსონის საქმე გაირკვა

„ლივერპულმა“ განაცხადა, რომ ინგლისის ნაკრების მარჯვენა მცველ **გლენ ჯონსონთან** და მის, როგორც ირკვევა, უკვე ყოფილ გუნდ „პორტსმუთთან“, ყველა საკითხი გაარკვია, ასე რომ, მომავალი სეზონიდან ჯონსონი მერსისაიდში გადაბარგდება. ცნობა, რომელიც „ენფილდიდან“ გავრცელდა, საკმაოდ მოკლე, მაგრამ ამომწურავია. ვიმეორებთ, მის თანახმად, ყველა მხარეს შორის ყველა საკითხი მოგვარებული და შეთანხმებულია.

გეხსომებათ, ლივერპულელთა თავკაცი, **რაფა ბენიტესი** რაც სეზონი დასრულდა, მას მერე ცდილობს ჯონსონის ხელში ჩაგდებას, მაგრამ იყო ხელის შემშლელი ფაქტორი - ჯონსონის ყოფილი გუნდი, „ჩელსი“. სულ რამდენიმე დღის წინ „პორტსმუთის“ აღმასრულებელი შეფი, **პიტერ სტორი** აცხადებდა, რომ „ჩელსი“ 24 წლის მცველში 18 მილიონ ფუნტს იხდიდა, მაგრამ როგორც გაირკვა ლონდონელებმა უკან დაიხიეს.

**ილია ბაბუნაშვილი**

# სანტა კრუსი სიტიშია

„მანჩესტერ სიტიმ“ „ბლექბერნ როვერსისგან“ **როკე სანტა კრუსი** იყიდა. ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა, რის შემდეგაც მას ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

წესით, 27 წლის თავდამსხმელი 2012 წლამდე „ბლექბერნში“ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ 18 მილიონ ფუნტად საკუთარი თავი გამოისყიდა. აღსანიშნავია, რომ „სიტიში“ ფეხბურთელი მეორედ შეხვდება მწვრთნელ **მარკ ჰიუზს**, რომელმაც ორი წლის წინათ ის „ბაიერნიდან“ ზემოთ ხსენებულ „ბლექბერნში“ გადაიყვანა.

*„უკვე კარგა ხანია ამ კონტრაქტის გაფორმებას თითქოს არაფერი აკლდა და აი, აღსრულდა. ახლა ყველაფერმა ჩაიარა და მთლიანად საკუთარ საქმეზე გადავერთვები“*, - განაცხადა პარაგვაელმა.

პირველ ბლექბერნულ სეზონში სანტა კრუსმა 23 გოლი გაიტანა, მაგრამ 2008/09 წლების სეზონში ტრავმებმა თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა - მხოლოდ და მხოლოდ 6 გოლი შეაგდო.

ამრიგად, „სიტიმ“ უკვე მეორე ფეხბურთელი იყიდა. პირველი გახლდათ **გარეთ ბერი**, რომელიც „ასტონ ვილაში“ თამაშობდა და 12 მილიონი ფუნტი დაჯდა. სასეიროა, რომ „სიტიში“ გადასული სანტა კრუსი „ივუდ პარკზე“ ახალ ჩემპიონატს ძველი გუნდის, „ბლექბერნის“ წინააღმდეგ დაიწყებს - ასე იხუმრა კალენდარმა.

**ილია ბაბუნაშვილი**

პრეზიდენტის აზრი

# დიდებული წელიწადის მოლოდინში

„მილანის“ პატრონი და იმავდროულად იტალიის პრემიერ-მინისტრი, **სილვიო ბერლუსკონი ანდრეა პირლოს** გაყიდვას არ გამორიცხავს. აი, **რონალდინიოზე** კი სამომავლო იმედებს ამყარებს. მოგეხსენებათ, პირლო, სამხრეთ აფრიკაში გახლდათ, სადაც „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში კონფედერაციათა თასზე გამოდიოდა. საქვეყნოდაა ცნობილი ისიც, რომ მისი შეძენა ლონდონის „ჩელსის“ აქვს გულში ამოჭრილი.

*„ნუ ვიჩქარებთ, შევხედოთ, რა მოხდება*, - განუცხადა პრემიერმა ჟურნალისტებს. - *ჩემი პირველი რეაქცია ასეთი გახლდათ: პირლოს დარჩენა მოვითხოვე, მაგრამ მერე მითხრეს რა თანხაზეც იყო ლაპარაკი და აზრი შევიცვალე“*.

სინიორ ბერლუსკონის „მილანის“ ქომაგებისთვის **კაკას** თაობაზეც მოუხდა ორიოდ სიტყვის თქმა. კერძოდ, პატრონმა სცადა ფანებისთვის განემარტა, რომ მათი გუნდი ბრაზილიელის გარეშეც არ დაილუპება და კარგად ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ „როსონერიმ“ კაკა ივნისის დასაწყისში 59 მილიონ ფუნტად მადრიდის „რეალს“ მიჰყიდა.

*„ფეხბურთი კაკათი არც იწყება და არც მთავრდება. მას ალესანდრე პატო შეცვლის. პატოსაც შეუძლია თავდამსხმელების უკნიდან თამაშს ჩინებულად გაართვას თავი“*.

შემდეგ შეფთა შეფმა მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელზე, 29 წლის **რონალდინიოზეც** გამოთქვა თავისი აზრი. მოგეხსენებათ, „ბარსელონაში“ თამაშის წლებში დიდების მწვერვალზე მყოფი რონალდინიო „მილანში“ ერთი წლის წინ გადავიდა. *„მწამს, რონალდინიოს დიდებული წელიწადი ელის“*, - მოკლედ მოჭრა პრემიერმა.

ხოლო, როდესაც ვარსკვლავების თემა ამოიწურა, ბერლუსკონის სთხოვეს აზრი გამოეთქვა იმ თანხების შესახებ, რომელთაც „რეალი“ ხარჯავს მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე.

*„ფეხბურთში გვხვდება ისეთი თანხები, რომელთაც მხოლოდ სისულელეს თუ უწოდებ. ამ რიცხვებს ნორმალურ, ჯანსაღ ეკონომიკასთან საერთო არაფერი აქვს. მეტიც, ეს თანხები უხამსი და უგნურია“*, - უპასუხა დონ სილვიომ.

და ბოლოს, საუბარი ისევ „მილანს“ და მომავალ სეზონს დაუბრუნდა: *„წლეულს დიდებული გუნდი გვეყოლება. რომელიმე ჯილდოს მოგება გასულ სეზონშიც შეგვეძლო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, რადგან სეზონის მიწურულს დავკარგეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა. ჩვენი მთავარი შეცდომა კიდევ ის გახლდათ, რომ ბურთს მოწინააღმდეგეს ვუთმობდით. ბურთი ჩვენ უნდა გვქონოდა“*, - დაავვირგვინა ბერლუსკონიმ.

**ილია ბაბუნაშვილი**



ინტერვიუ — კრისტიანო რონალდო



# ბარსასთან ომის ხიბლი

## კაცი, რომლისთვისაც ცხოვრება დუელია

**კრისტიანო რონალდო პორტუგალიაში დაბრუნდა. სამეფო კლუბის სუპერვარსკვლავმა შვებულების მორიგი ეტაპის სამშობლოში გატარება გადაწყვიტა. ის ნაყოფიერად ისვენებს, თუმცა ბებერ კონტინენტზე მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელის დაბრუნებით გახარებულმა ჟურნალისტებმა რონალდოს საგანგებო პრესკონფერენციის გამართვა სთხოვეს. კრისტიანომ შექმნილი აჟიოტაჟი გაითვალისწინა და ჟურნალისტებთან შეხვედრა დანიშნა. სანამ უშუალოდ ინტერვიუზე გადავიდოდეთ, გეტყვით, რომ სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ მისი პრეზენტაციის დღე დანიშნა. ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი 6 ივლისს მოხდება. პორტუგალიელ ვარსკვლავს საზოგადოებას მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი და საპატიო პრეზიდენტი ალფრედო დი სტეფანო წარუდგენენ. აღსანიშნავია, რომ რონალდომ ეს ფაქტი პრესკონფერენციის დასრულებიდან რამდენიმე საათის შემდეგ გაიგო. საქმე ის არის, რომ სამეფო კლუბის დირექტორატმა შესაბამისი გადაწყვეტილება გუშინ გვიან ღამით მიიღო.**

**- რონალდო, დიდი მადლობა, რომ პრესკონფერენციის გამართვაზე დაგვთანხმდით. სამეფო კლუბის ფეხბურთელის სტატუსით პირველ პრესკონფერენციას ატარებთ. რა შეგიძლიათ გვითხრათ?**

- პირველ რიგში მოგესალმებით და მობრძანებისთვის მადლობას გიხდით. რისი თქმა შემიძლია? რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი სალაპარაკო მაქვს, მაგრამ ბუნებრივია, ერთ პრესკონფერენციაზე ყველაფერს ვერ ვიტყვი. ძალიან მინდა, მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობას მადლობა გადავუხადო. კლუბის დირექტორატმა, განსაკუთრებით პრეზიდენტმა ჩემთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთეს. დიდი მადლობა მათ.

**- რა გეგმები გაქვთ?**

- ძალიან კარგად უნდა დავისვენო, რომ ძალა მოვიკრიბო და ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რათა სამეფო კლუბთან ერთად ენერგიულ მზადებას შევუდგე. „რეალმა“ ჩემში დიდი ინვესტიცია ჩადო და ამას გამართლება სჭირდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ გუნდის ხელმძღვანელობამ ჩემთვის ძალიან დიდი რამ გააკეთა.

**- სამეფო კლუბისგან რას ელით?**

- უამრავ რამეს. უპირველეს ყოვლისა უნდა გითხრათ, რომ კაკასთან ერთად თამაში ჩემში უდიდეს ემოციებს იწვევს. გარდა ამისა, მე იკერ კასილიასის, რაულისა და გუტის თანაგუნდელი ვიქნები. ჩემი აზრით, ისინი უდიდესი ფეხბურთელები არიან. არაჩვეულებრივ განწყობაზე ვარ. ერთი სული მაქვს, ახალი სეზონის როდის დაიწყება. სხვათა შორის, პრეტემპორადის დაწყებას კიდევ უფრო მოუთმენლად ველოდები. ჩემს ახალ თანაგუნდელებთან დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ. და საერთოდ, ჩემს ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება. ახალ ლიგაში ვიასპარეზებ და ახალ გუნდთან ერთად ახალი გამარჯვებებისთვის ვიბრძოლებ.

**- თქვენი აზრით, ინგლისისა და ესპანეთის ჩემპიონატები ერთმანეთისგან რითი განსხვავდება?**

- დასამალი არ არის, რომ პრემიერლიგას ბევრად მეტი ძალა და ფიზიკური მომზადება სჭირდება. პრიმერა დივიზიონში შედარებით დაბალი ტემპია. აქცენტი ტექნიკურ ფეხბურთზეა გადატანილი და მოთამაშეებს ნაკლები სირბილი სჭირდებათ. არა მგონია, ესპანეთში პრობლემებს წავაწყდე. მე ტექნიკურად და ფიზიკურად შესანიშნავად ვგრძნობ თავს. დარწმუნებული ვარ, რომ ადაპტაციას მალე გავივლი და შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვამჟღავნებ.

**- გულშემატკივრებს რას ჰპირდებით?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი ერთი გარემოებაა. გულშემატკივრები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ახალ სეზონში თავს არ დავზოგავთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩემპიონები გავხდეთ. შევეცდებით, „ბარსელონას“ ჰეგემონია დავამხოთ. კატალონიელებმა ფანტასტიკური სეზონი ჩაატარეს. სამწუხაროდ, მათ ჩემპიონთა ლიგის ფინალში დაგვამარცხეს, მაგრამ მჯერა, „რეალთან“ ერთად „ბარსელონაზე“ შურისძიების შესაძლებლობა არაერთხელ მომეცემა. რა თქმა უნდა, იმისაც მჯერა, რომ ჩვენ პირველი ადგილის დაკავების უნარი შეგვწევს. ვფიქრობ, ყველაფერი მაინც ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

**- „რეალში“ ჯერ ერთი შეხვედრაც არ ჩაგიტარებიათ, მაგრამ უკვე „ბარსელონასთან“ მტრობაზე საუბრობთ. რა ხდება, ამ ვირუსით თქვენც მოიწამლეთ?**

- დასამალი არავისთვის არ არის, რომ „ბარსა“ და „რეალი“ პრინციპული მეტოქეები არიან. მე სამეფო კლუბის წევრი გავხდი და ვალდებული ვარ, ამ დიდ ბრძოლაში მონაწილეობა მივიღო. მადრიდში გადმოსვლას რამდენიმე ხიბლი ჰქონდა, ერთ-ერთი ასეთი ხიბლი სწორედ „ბარსასთან“ ომია.

**- ტიტულები?**

- რასაკვირველია, ტიტულებიც, თუმცა „მანჩესტერშიც“ უამრავი ტიტული მოვიპოვე. მე ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში ვთამაშობდი. ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ „ოლდ ტრეფორდი“ დავტოვე და ამიერიდან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ვითამაშებ. იმედია, „იუნაიტედის“ გულშემატკივრები გამიგებენ და ჩემს გადაწყვეტილებას პატივისცემით მოეკიდებიან. ცხოვრებას დუელად აღვიქვამ. პრემიერლიგაში ძალიან ბევრი დუელი მქონდა. მათი უმეტესობა მოვიგე. ბედნიერი ვარ, რომ „მანჩესტერი“ ტიტულებით დახუნძლულმა დავტოვე. ჩვენ ერთმანეთი გავაძლიერეთ და ისტორიული გამარჯვებების მოპოვებაში დავეხმარეთ. რა თქმა უნდა, გული მწყდება, რომ ყოფილ კლუბში ჩატარებული ბოლო შეხვედრა ვერ მოვიგე, თუმცა კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ამ დანაკლისს სამეფო კლუბთან ერთად ავინაზღაურებ. ხომ არ მეშლება, 2010 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი „ბერნაბეუზე“ ტარდება? ჰოდა, ფინალში უნდა გავიდეთ და 2010 წელს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მეათე თასი მოვიგოთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



სავარაუდო ტრანსფერი



# შევა ისევ ჩელსიში შევა?

მივიწყებული უკრაინელი ვარსკვლავი **ანდრეი შევჩენკო** ლონდონში დაბრუნებას და „ჩელსისთან" სამი წლის წინ გაფორმებული კონტრაქტის პატიოსნად ამოწურვას აპირებს. გეხსომებათ, ლონდონელმა „ლურჯებმა" ორწლიანი ხელმოცარვის შემდეგ „ოქროს ბურთის" 2004 წლის ლაურეატი დროებით „მილანს" დაუბრუნეს - „მილანი" ის გუნდია, სადაც შევჩენკომ სახელი გაითქვა და, რომელსაც პრემიერლიგაში თამაშის წლებში მისტიროდა. მაგრამ, ახლა, როგორც ჩანს, ქარმა სხვა მხრიდან დაუბერა და შევჩენკოსაც გაახსენდა, რომ „ჩელსის" საკუთრებაა.

დღეს უკრაინის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი ამბობს, რომ თანამშრომლობის ბოლო წელიწადს **კარლო ანჩელოტიზე** ნარუშლელი შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს. შეგახსენებთ, ანჩელოტი „მილანის" მწვრთნელი აღარაა, „ჩელსის" თავკაცი გახლავთ.

„ლონდონელებს სეზონისწინა შეკრებაზე 9 ივლისს შევუერთდები, - ამბობს 32 წლის თავდამსხმელი - დანარჩენი კი იქ გაირკვევა. კარლოს ველაპარაკე და შეხვედრა დამითქვა. კონტრაქტის თანახმად, „ჩელსისთან" კიდევ ერთი წელიწადი მაკავშირებს და კონტრაქტით დაკისრებული მოვალეობის პატიოსნად შესრულებას ვაპირებ".

გასულ სეზონში, „მილანში" განათხოვრებული თუ გაქირავებული შევჩენკო ანჩელოტიმ სასტარტო შემადგენლობაში სულ ცხრაჯერ ათამაშა. ამ ცხრა შეხვედრაში უკრაინელმა მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხა.

„რაც შეეხება მომავალს, თუ „ჩელსი" რაიმეს კონკრეტულად შემომთავაზებს, დავფიქრდები, თუ არა და ახლის ძებნას დავიწყებ. აი, მაგალითად, ჩემი შეძენა „რომას" სურს. მე რომაული გუნდის თავკაცს, ლუჩანო სპალეტის ძალიან სერიოზულ სპეციალისტად მივიჩნევ. მას ფეხბურთელისგან მაქსიმუმის გამოწურვა შეუძლია და როდესაც ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა".

**ილია ბაბუნაშვილი**

მოსაზრება

# იტალიელი იტალიელის შესახებ

„ვესტ ჰემ იუნაიტედის" იტალიელმა მწვრთნელმა **ჯანფრანკო ძოლამ**, „ჩელსის" თავკაცად თანამემამულის, **კარლო ანჩელოტის** დანიშვნა „მანჩესტერ იუნაიტედის" დიდ გამოწვევად შეაფასა. „ჩაქუჩების" თავკაცის აზრით, „მილანის" ყოფილი მწვრთნელი პრემიერლიგას კიდევ უფრო საინტერესო შეჯიბრებად აქცევს, რადგან გუნდებს შორის კონკურენცია გამძაფრდება. შეგახსენებთ, რომ ძოლასთვის „ჩელსი" უცხო გუნდი არ არის, 42 წლის მწვრთნელმა, ფეხბურთელობისას, შვიდი წელიწადი (1996-2003) სწორედ „სტემფორდ ბრიჯზე" გაატარა და იქაური ფანების გმირადაც იქცა.

„კარლოს ახალი სიმაღლეების დაპყრობის შანსი ეძლევა, - ამბობს სარდინიელი, - დარწმუნებული ვარ ის ენითაუწერელ მოტივაციას გრძნობს, ხოლო მისი და „ჩელსის" შესაძლებლობები ერთად აუცილებლად მოიტანენ დიდ შედეგს. ანჩელოტის შეუძლია პრემიერლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედის" ბატონობას ბოლო მოუღოს და თავად ჩემპიონატიც უფრო საინტერესო გახადოს".

შეგახსენებთ, რომ ანჩელოტიმ „ჩელსის" მწვრთნელის რანგში უკვე დაურეკა რამდენიმე ფეხბურთელს, რომელთაც „მილანში" ხელმძღვანელობდა. კერძოდ, **ჯენარო გატუზოს, ანდრეა პირლოსა და ალეშანდრე პატოს**. „ჩელსი" კი, მოგეხსენებათ, უმდიდრესი კლუბია და მისგან ფეხბურთელში დიდი თანხის გადახდა წარმოუდგენელი სულაც არ არის. ასეთი რამ ლონდონელთა რუს მეპატრონეს, **რომან აბრამოვიჩს** ბევრჯერ გაუკეთებია.

**ილია ბაბუნაშვილი**



ჯანფრანკო ძოლა

ტალანტები

# ბუნდესლიგის ამომავალი ვარსკვლავები

## სია, რომელშიც გაისად ლევან ყენიაც უნდა ჩაეწეროს

დიეგოს წასვლის შემდეგ, ბუნდესლიგას ერთი ვარსკვლავი მოაკლდა. მიუხედავად ამისა, გერმანიის ჩემპიონატი არ გაღარიბებულა და არც გაღარიბდება. ახალი სეზონის დაწყებას გერმანიაში მოუთმენლად ელიან და ცხადია, ელიან ახალი ტალანტების გამოჩენასაც. ბუნდესლიგაში ყოველთვის თამაშობდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები და ამ მხრივ გამონაკლისი არც დღევანდელი ბუნდესლიგაა. გადავწყვიტეთ, წარმოგიდგინოთ ხუთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებსაც აქვთ შანსი, რომ მომავალ სეზონში ვარსვლავები გახდნენ.

### 1. მარკო მარინი

20 წლის, ბორუსია მიონხენგლადბახი
გასულ სეზონში:
33 თამაში (4 გოლი, 10 პასი)
სულ ბუნდესლიგაში: 37 თამაში

აზიის ტურნემდე, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა მარკო მარინი** ბუნდესგუნდის ფეხბურთელების გაფართოებულ სიაში დაასახელა, რითაც მიონხენგლადბახის „ბორუსიის" ფლეიმეიქერი ყურადღების ცენტრში მოექცა. მართალია, იოგიმ მარინი აზიაში არ იახლა, მაგრამ ფეხბურთელისადმი ინტერესი ერთიორად გაიზარდა და ბუნდესმწვრთნელიც პირდაპირ ამბობს, მარინს აქვს შანსი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოსო.

შარშან „გლადბახი" მეორიდან პირველ ბუნდესლიგაში გადავიდა და მარინმა ამ წარმატებაში მთავარი როლი ითამაშა. 20 წლის ნახევარმცველმა არც ბუნდესლიგაში შეირცხვინა თავი და 33 მატჩში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ჰანს მაიერი** მას ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებდა - ემანდ, თავში არ აუვარდესო. მიუხედავად ამისა, ტანდაბალმა დრიბლიორმა თავისი შესაძლებლობები მეტ-ნაკლებად დაამტკიცა და „ბორუსიას" მიერ გატანილი 39 გოლიდან, 10 უშუალოდ მისი პასით გავიდა. ამას გარდა, მარინმა თანაგუნდელები 50-ჯერ გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე. ამ ყველაფერთან ერთად, მარინმა გასულ სეზონში 162-ჯერ სცადა დრიბლინგის განხორციელება, აქედან 55 გამოუვიდა, რაც მეორე შედეგია. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 178 ზუსტი ჩაწოდებაა.



მარკო მარინი

### 2. ბენედიქტ ჰიოვედესი

21 წლის, შალკე
გასულ სეზონში:
24 თამაში (2 გოლი, 1 პასი)
სულ ბუნდესლიგაში: 30 თამაში

ხუთი წლისა და 131 მატჩის შემდეგ, გამოცდილმა სერბმა მცველმა **მლადენ კრსტაიჩმა** ბუნდესლიგა, კერძოდ კი „შალკე" დატოვა. ეს უკანასკნელი ნაწილი იყო დაცვის ისეთი ხაზისა, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გაშვებული გოლების რაოდენობის მიხედვით, საუკეთესო ოთხეულში ხვდებოდა და აქედან, ორ სეზონში, მთელ ბუნდესლიგაში ყველაზე ცოტა გოლი გაუშვა. გელზენკირხენელები კრსტაიჩს მაინცდამაინც არ მისტირიან, რადგან მას ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა: **ბენედიქტ ჰიოვედესი**. გასულ სეზონში ამ ფეხბურთელმა 24 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ორი გოლის გატანაც შეძლო (ორივე თავით გაიტანა). ჰიოვედესი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი და ლიდერიცაა.

ბენედიქტმა გასულ სეზონში 112 22-მეტრიანი (!) პასი გააკეთა და აქედან, 75 პროცენტი ზუსტი გამოდგა, რაც, დაგვეთანხმებით, ძალიან კარგი შედეგია. ზოგადად კი, მისი პასების 89.9 პროცენტმა ადრესატამდე მიაღწია. ფაქტია, რომ 21 წლის კვალობაზე, ძალიან კარგ და რაც მთავარია, პერსპექტიულ მცველთან გვაქვს საქმე. „შალკეს" ფანებს მისი ძალიან ეიმედებათ. ახალი მთავარი მწვრთნელი და მენეჯერი **ფელიქს მაგათი** მას ძირითადი შემადგენლობის წევრად მოიაზრებს.



ბენედიქტ ჰიოვედესი

### 3. სამი ხედირა

22 წლის, შტუტგარტი
გასულ სეზონში:
27 თამაში (7 გოლი, 3 პასი)
სულ ბუნდესლიგაში: 73 თამაში

**სამი ხედირასთვის** გასული სეზონი გაცილებით უკეთესი გამოდგა, ვიდრე 2006-2007 წლების სეზონი, როცა მისი „შტუტგარტი" ყველასათვის მოულოდნელად გერმანიის ჩემპიონი გახდა. ხედირამ ამ სეზონში 27 მატჩში მიიღო მონაწილეობა და შვიდი გოლი გაიტანა, რაც მის მცირეხნიან კარიერაში საუკეთესო შედეგია. ხედირამ, გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში 30 შეხვედრა ჩაატარა და ცხადია, ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატიცაა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბუნდესლიგის გასულ სეზონში მხოლოდ ოთხმა ნახევარმცველმა შეძლო ხედირაზე მეტი გოლის გატანა. ესეც არ იყოს, საყრდენმა ნახევარმცველმა, რომელსაც მარჯვენა გარემარბის ფუნქციების შესრულებაც ეხერხება, სამი საგოლე პასი მიითვალა და 20-ჯერ გაიყვანა **მარიო გომესი** და კომპანია დასარტყმელ პოზიციაზე. ამასთან, მისი პასების 75.8 პროცენტი ზუსტი იყო.

### 4. კაიო

23 წლის, აინტრახტი
გასულ სეზონში: 17 თამაში (2 გოლი)
სულ ბუნდესლიგაში: 27 თამაში

ორი აზრი არ არსებობს, ერთ დროს ახალ **მიხაელ ბალაკად** წოდებულმა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ბუნდესლიგის ეს სეზონი აშკარად ჩააგდო და ფაქტია, რომ მისგან გაცილებით მეტს ელიან და ითხოვენ. **კაიომ** ფრანკფურტის „აინტრახტს" 2008 წლის ზამთარში მიაშურა, ამ სეზონში კი მხოლოდ 17 შეხვედრაში მონაწილეობდა. აქედან, მხოლოდ ხუთჯერ გაამწესეს ძირითად შემადგენლობაში.

თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როცა კაიო მოედანზე იყო, მეტოქე გუნდების კართან საკმაოდ ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს. თუნდაც ის რად ღირს, რომ კაიო საშუალოდ ყოველ 18 წუთში კარისკენ ურტყამდა. ეს კი საუკეთესო მაჩვენებელია. წინა სეზონში მან მოედანზე 662 წუთი გაატარა და ორ გოლთან ერთად, თანაგუნდელები 14-ჯერ გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე. „აინტრახტს" ახლა ახალი მწვრთნელი ჰყავს - **მიხაელ სკიბე**, რომელიც ამბობს, კაიოს დიდი იმედი მაქვსო. წესით, ეს ფეხბურთელი მომავალ სეზონში უნდა გაიხსნას.

### 5. იულიან შუსტერი

24 წლის, ფრაიბურგი
გასულ სეზონში
(მეორე ბუნდესლიგა):
26 თამაში (6 გოლი, 7 პასი)
პირველ ბუნდესლიგაში:
2 თამაში (შტუტგარტის რიგებში)

**იულიან შუსტერმა** უნდა თქვას, 2009 წელი ჩემი წელიწადიაო. ფაქტია, რომ პირველ წრეში ის ფრაიბურგელი გულშემატკივრებისთვის აბსოლუტურად უცნობი ფეხბურთელი იყო, მეორე წრეში კი ისე ათამაშდა, რომ ახლა თითოეულ ფრაიბურგელს პირზე მისი სახელი აკერია.

„ფრაიბურგი" ელიტაში ალზევდა და მომავალ სეზონში პირველ ბუნდესლიგაში იასპარეზებს. მეორე წრის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ეს პირველ ყოვლისა სწორედ შუსტერის დამსახურებაა. 7 საგოლე გადაცემით ის მეორე ბუნდესლიგის მეორე წრის საუკეთესო მეპასე გახდა. ამ შვიდი პასიდან, ექვსი სტანდარტული მდგომარეობების შედეგი იყო - იულიანი კუთხურსაც იდეალურად აწვდის და ჯარიმებსაც შესანიშნავად ასრულებს.

**გოტფრიდ ლენცი**

მძლეოსნობა

ევროპის გუნდური ჩემპიონატი. III ლიგა


დავით ილარიანი


საქართველოს ნაკრები

გიორგი ჭანიშვილის ფოტოები *სარაევოდან*

# ილარიანის წარმატება

გუშინ, შაბათ-კვირას ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გამართულ ევროპის გუნდურ ჩემპიონატში (III ლიგა) საქართველოს ნაკრების შედეგები გაცნობეთ. ჩვენმა გუნდმა 13 მონაწილე ქვეყანას შორის მე-9 ადგილი დაიკავა. მძლეოსნებმა (ქალები, ვაჟები) ჯამში 42 დისციპლინაში იასპარეზეს. ტურნირის ოფიციალურმა საიტმა ყველა ინფორმაცია ოპერატიულად მოგვაწოდა, გარდა ერთი დისციპლინისა - ვაჟთა შორის 110 მეტრზე თარჯრბენში შედეგები მხოლოდ გვიან ღამით გამოაქვეყნეს, თუმცა მანამდე სწორად იყო მითითებული ყველა ნაკრების ჯამური მონაგარი, მათ შორის საქართველოსი (227 ქულა).

ბედად, ჩვენმა მძლეოსნმა საუკეთესო შედეგი სწორედ ამ დისციპლინაში აჩვენა, ქართველმა ოლიმპიელმა **დავით ილარიანმა** 110 მეტრი წინალობებით 14,02 წამში გაირბინა, რითაც არამარტო ჰითში იმარჯვა, არამედ ორივე ჰითის ჯამშიც. ილარიანმა პირველი ადგილი დაიკავა და შესაბამისად ნაკრებს დისციპლინაში მაქსიუმალური ქულა - 13 შემატა. მეორე ადგილზე გასულ ბოსნიელ ათლეტ **ადნან მალკიჩს** ქართველმა ნახევარ წამზე მეტით აჯობა, ეს კი 110 მეტრზე თარჯრბენში უზარმაზარი უპირატესობაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ბაადურ ჯობავა ერთპიროვნულად მეწინავეობს

**თბილისის მერიის თასზე საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა გუშინ ბოლოსწინა ტურის პარტიები გაითამაშეს. როგორც გაუწყეთ, შვიდი ტურის შემდეგ 6-6 ქულით საქართველოს ოლიმპიური გუნდის წევრები ლიდერობდნენ. გუშინ სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებულ ინტერესს მიხეილ მჭედლიშვილისა (2586) და ბაადურ ჯობავას (2687) პაექრობა იწვევდა. ტურნირზე პირველ ნომრად განთესილმა ჯობავამ მორიგი ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.**

- ორივეს საბრძოლო განწყობილება გვქონდა, - მითხრა ბაადურმა პარტიის დამთავრების შემდეგ. - არც არის გასაკვირი, რადგან ერთბაშად 4 დიდოსტატი ინარჩუნებდა პირველ ადგილზე გასვლის შანსს. დებიუტისთვის საგანგებოდ მოვამზადე ძველინდური ვარიანტი, სადაც მჭედლიშვილი ჩვეულებრივ g3-ს თამაშობს. თუმცა მიხეილმა კლასიკური მიმართულების იმ ვარიანტის მიმართა, სადაც ლაზიერების გაცვლის შემდეგ, ფაქტობრივად, თანაბარი პოზიცია იქმნება. ერთ-ერთ მომენტში მეტოქემ მოქმედების აქტიური გეგმა აირჩია, მაგრამ რატომღაც იგი აღარ განავითარა და პასიური პოზიცია მიიღო. თეთრების ფიგურები შეიზღუდა, შავებს კი პირიქით - სივრცე მიეცათ, რამაც რთულ ენდშპილში გამარჯვება მომიტანა.

**ჯობავა**



**მჭედლიშვილი**

1. კxf3 კxc4 2. მფc2 ეf8 3. ეd7 კb5 4. მფb1 *(მეფე გაერიდა მხედრის მოსალოდნელ ქიშს)* კh4 5. მd2 კxf2 6.კg4 კd4 7. მf3 *(თეთრები იმედებს მეფის ფრთაზე კონტრშეტევაზე ამყარებენ, მაგრამ ამის საშუალება არ ეძლევათ)* ეf6 8. კd2 h5 *(ამ სვლის შემდეგ თეთრი კუ განწირულია და პარტიის ბედიც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. დანარჩენ სვლებს გთავაზობთ უკომენტაროდ)* 9. კg5 hxg4 10. კxf6 gxf3 11. gxf3 კe2 12. ეg7+ მფf8 13. ეxg6 კxf3 14. ეg7 კxe4+ 15. მფc1 კd3 16. ეc7 მa5 17. მფd1 e4 0-1.

მერვე ტურის დანარჩენი შეხვედრებიდან განსაკუთრებით საქართველოს ქალთა ნაკრების წევრის **ნანა ძაგნიძისა** და აზერბაიჯანელი **ფარად ზეინალოვის** ორთაბრძოლა მინდა გამოვყო. ნანამ ჩვეულ შემტევ სტილში წარმართა მთელი პარტია და 51-ე სვლაზე მეტოქე აიძულა, დანებებულიყო, რითაც 6,5 ქულა მოაგროვა და ერთპიროვნულ ლიდერს **მერაბ გაგუნაშვილსა** და **დავით არუთინიანთან** ერთად (ისინი გუშინ დაზავდნენ) ნახევარი ქულით ჩამორჩება.

გაცნობებთ მერვე ტურის შედეგებს:

**ლევონ ბაბუნჯიანი - მიხეილ ქობალია 0,5:0.5, დავით პეტროსიანი - თორნიკე სანიკიძე - 0,5:0,5, ხვიჩა სუპატაშვილი - ვალერი ნევოროვი - 0,5:0,5, დავით ჯოჯუა - გიორგი მარგველაშვილი 0,5:0,5, არმან პაშიკიანი - მიხეილ ჯამაგიძე 1:0, ლევან ფანცულაია - ნინო ხურციძე - 1:0, ტიგრან კოტანჯიანი - ივერი ჭილლაძე - 0:1, მალხაზ სულაშვილი - კონსტანტინე შანავა - 0:1, გიორგი ბალათუროვი - მაკა ფურცელაძე - 1:0, პარმენ გელაზონია - ლელა ჯავახიშვილი - 0,5:0,5, ვალერი გაფრინდაშვილი - მოჰამედ ისლამ ნამირი 1:0, ალეკო მანაშვილი - დავით ბენიძე - 1:0.**

ამდენად, რვა ტურის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, 7 ქულით ბაადურ ჯობავა მეწინავეობს. 6,5-6,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს ნანა ძაგნიძე, მერაბ გაგუნაშვილი და დავით არუთინიანი იყოფენ. ერთბაშად 17-მა მოჭადრაკემ 6-6 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულსა და პრიზიორებს დღევანდელი ბოლო ტური გამოავლენს, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: **ჯობავა (7)-არუთინიანი (6,5), ძაგნიძე (6,5)-გაგუნაშვილი (6,5), მარგველაშვილი (6)-პაშიკიანი (6), ქობალია (6)-ბალათუროვი (6), ჭილლაძე (6)-მჭედლიშვილი (6), შანავა (6)-ფანცულაია (6), სანიკიძე (6)-სუპატაშვილი (6), ნევეროვი (6)-პეტროსიანი (6), გაფრინდაშვილი (6)-ჯოჯუა (6), ჯავახაძე (6)-ბაბუნჯიანი (6), ჯავახიშვილი (5,5)-მანაშვილი (6).**

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო


ბაადურ ჯობავა

**მილოცვები**

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 55 წლის თარილს ულოცავს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, მსოფლიოს და ევროპის ორ-ორგზის ჩემპიონს, მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონს, სსრკ ჩემპიონსა და ორგზის პრიზიორს, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერს ვახტანგ ბლაგიძეს.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ვეტერან ფალავანს, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ოლიმპიური თამაშების (1980) ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვახტანგ ბლაგიძეს.**

ჭიდაობა

ინტერვიუ კახა გენაძესთან

# ჩემპიონატი უფასოდ

**30 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით თბილისის სპორტის სასახლე ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ეს ტურნირი ერთგვარი ტესტია ჩვენთვის, რადგან ამ რანგის შეჯიბრებას ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია პირველად მასპინძლობს და ბევრია დამოკიდებული იმაზე, რამდენად კარგად ჩავატარებთ. სწორედ ეს განსაზღვრავს, გვანდობენ თუ არა მომავალშიც ამ რანგის ან უფრო მნიშვნელოვან შეჯიბრებებს. არადა, ჩვენი ფედერაციის ამბიცია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებსაც სწვდება, რაც უთუოდ მისასალმებელი ფაქტია. მაგრამ მანამ ფედერაციამ სერიოზული ტესტი უნდა ჩააბაროს. როგორ ემზადება საამისოდ, რა სამუშაოები ჩაატარეს ან ახლა მიმდინარეობს, ამაზე საქართველოს ჭიდაობის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი, პარლამენტარი კახა გენაძე გვესაუბრება.**

**- როგორ მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება, რამე სერიოზული პრობლემა ხომ არ იქმნება?**

- შემიძლია ვთქვა, რომ მზადება გეგმაზომიერად მიმდინარეობს და ისეთი პრობლემა, სერიოზული რომ ეთქმის, ნამდვილად არ არის. ადრევე ჩამოვაყალიბეთ საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც დავალებები სფეროების მიხედვით გადავანაწილეთ, ყველამ თავისი საქმე იცის და ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენ გვინდა. სასტუმროების პრობლემაც გადაწყვეტილია და სპორტის სასახლეში არენის გამზადებაც უკვე მთავრდება. მსაჯების, სპორტსმენების თუ საპატიო სტუმრების ადგილები, პრესლოჟა და ყველაფერი მოწესრიგებულია, ტექნიკურად აღჭურვილი და ახლა დამამთავრებელი სამუშაოები მიმდინარეობს. ამ ჩემპიონატისგან სამომავლოდ ძალიან ბევრს ველოდებით და გვინდა, განსაკუთრებულად კარგად ჩავატაროთ. ჩვენც დავდივართ ტურნირებზე სხვა ქვეყნებში და რა ხარვეზებსაც იქ ვხედავთ, გვინდა, მაქსიმალურად გამოვრიცხოთ. გვჯერა, ტურნირის დამთავრების შემდეგ საორგანიზაციო საკითხებზე ზემდგომებისგან ისეთ დასკვნას მივიღებთ, რაც შემდგომში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობის ტურნირების ჩატარებაში ხელს არ შეგვიშლის. ვგულისხმობ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს უფროსებში და არა მხოლოდ ახალგაზრდებში.

**- სტუმარი გუნდები და ევროპიდან ჩამოსული საპატიო სტუმრები რომელ სასტუმროებში იცხოვრებენ?**

- სპორტსმენთა ნაწილი თბილისში, სასტუმრო „ბაზალეთში" განთავსდება და აკრედიტაციებიც იქვე გაიცემა, ნაწილს კი ბაზალეთის ტბაზე მდებარე სასტუმროში დავაბინავებთ. აწონვები დილმის საჭიდაო დარბაზში ჩატარდება. ოფიციალურ დელეგაციას, ალბათ, „ქორთიარდ მარიოტში" დავაბინავებთ. მოგეხსენებათ, ამ სიაში ძირითადად საერთაშორისო თუ ევროპული ფედერაციების მაღალჩინოსნები შედიან და მათთან მიმართებაში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო პირდაპირი მოთხოვნაა. მათი „თბილისი მარიოტში" დაბინავება გვერჩივნა, მაგრამ მიტინგებისა და იქ დადგმული საკნების გამო მოვერიდეთ. სპორტსმენებისა თუ ოფიციალური დელეგაციის სატრანსპორტო მომსახურებისთვის საგანგებო ჯგუფია მობილიზებული და გადაადგილების პრობლემა არ შეექმნებათ.

**- ბაზალეთი თბილისიდან საკმაოდ შორია, აქ ვერ გამოიძებნა ადგილი?**

- შორი კი არის, მაგრამ თბილისში ძალიან პატარა სასტუმროებია და რომ დავითვალეთ, 16-17 სასტუმროში გვიწევდა მათი განთავსება. სპორტსმენებს სამჯერად კვებას ვაძლევთ და ასე დანაწილებული თავისი კვებით, სატრანსპორტო თუ სხვა სახის მომსახურებით, ბევრად ძვირი გვიჯდებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ იქ დაბინავება, 450 ადგილიან სასტუმროში. ცოტა გრძელი გზა ნამდვილადაა - 50 კილომეტრია, მაგრამ ყველანაირად მობილიზებულნი ვართ - უკვე დაქირავებულია დაცვის პოლიცია, რომელიც ავტობუსებს გააცილებს და გუნდების სწრაფ გადაადგილებას უზრუნველყოფს.

**- გასაგებია, მაგრამ ამხელა მანძილის გავლა გუნდებმა არ გააპროტესტონ, რაც საბოლოო დასკვნაზე აუცილებლად აისახება... მათ ხომ დილით ადრე მოუწევთ ადგომა და წამოსვლა.**

- არა მგონია, გააპროტესტონ, რადგან ყველანაირ კომფორტს ვუქმნით. თან, სასტუმროც კარგ ადგილასაა - ლამაზი ბუნება, ლამაზი ტბა. გვაქვს რაღაც რესურსები საამისოდ, რომ მათი მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ და გუნდებმა არ გააპროტესტონ. ცხადია, აჯობებდა, ყველას თბილისში ეცხოვრა, მაგრამ დედაქალაქი არ გვაძლევს ამის საშუალებას. არ დაგიმალავთ, მაგ სასტუმროს გამო პრობლემებიც გვქონდა - არ გვაძლევდნენ იქ დაბინავების ნებას, მაგრამ თბილისში ვერაფრით დავატიეთ. მით უფრო, რომ აქაური საცობების ფონზე, ადგილზე მისასვლელად გზაში მაინც იმავე დროს დაკარგავდნენ.

**- ძიუდოისტებმა ახლახან ევროპის პირველობა უფროსებში ჩაატარეს და დელეგაციები სრულად მშვენივრად განათავსეს თბილისში. იმათ როგორ მოახერხეს?**

- ძიუდოისტები სამჯერად კვებას არც აძლევდნენ - მარტო დილის კვება ჰქონდათ. თან, იქ ამდენი მონაწილე არ იყო.

**- სულ რამდენ სტუმარს ელოდებით?**

- დაახლოებით 900-ს. აქედან 800 სპორტსმენია, რომლებიც ევროპის 35 ქვეყანას წარმოადგენენ.

**- ალბათ, ბევრი ჩინმაღალი სტუმარი და ცნობილი ვეტერანი სპორტსმენიც გვეწვევა...**

- ჩამოდიან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, შვეიცარიელი რაფაელ მარტინეტი და ევროპული ფედერაციის პრეზიდენტი, ბულგარელი ცენო ცენოვი. აგრეთვე, საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს წევრები. მაგალითად, უნგრელი შაბა ჰეგედუში და სხვა არაერთი ცნობილი წარმომადგენელი. ველოდებით ცალკეული ქვეყნების ფედერაციების პრეზიდენტებსაც და გვინდა, მათ ღირსეულად ვუმასპინძლოთ, ვანახვოთ ქართული სტუმარ-მასპინძლობა. ეს ჩემპიონატი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სპორტული თვალსაზრისით, არამედ ჩვენი ქვეყნის, ხალხის, ჩვენი ტრადიციების რეკლამისა და წარმოჩენისთვის.

**- ჩემპიონატის მთავარი მსაჯი და საერთაშორისო ფედერაციის დელეგატი ვინ იქნებიან?**

- მთავარი მსაჯი ქალია - შვეიცარიელი მარიანა ნობსი, კომისარი კი ზემოხსენებული ჰეგედუშია.

**- ტურნირის რეგლამენტი როგორია, ბილეთებზეც გვითხარით?**

- ტურნირი 30-ში იწყება გოგონების შეჯიბრებით, რაც ცოტა არ იყოს და პრობლემებს გვიქმნის. მაგალითად, გახსნის ცერემონიალი პირველ დღესაა და არა გვგონია, სასახლეში ბევრი მაყურებელი იყოს, გახსნა კი ცარიელი ტრიბუნების წინ არასასურველია. ამის გამო ტელევიზიებთანაც შეიქმნა პრობლემები.

გოგონები პირველ ივლისს დაამთავრებენ, 2-3 ივლისს „ბერძენ-რომაელები" იჭიდავებენ, 4-5-ში - „თავისუფლები". შეხვედრები დილის 9 საათზე დაიწყება, 13-დან 17 საათამდე კი შესვენებებია. ამდენად, გუნდებს სასტუმროებში დასაბრუნებლად და დასასვენებლად საკმარისი დრო რჩებათ. ასპარეზობები 17 საათზე განახლდება, ოღონდ ჯერ დამამშვიდებელი წრის შეხვედრები გაიმართება, ფინალები კი დაახლოებით 18 საათიდან დაიწყება.

რაც შეეხება ბილეთებს, დასწრება უფასოა. გვინდა, ტურნირს რაც შეიძლება მეტი მაყურებელი დაესწროს და სპორტის სასახლე გაივსოს. საქართველოს ჭიდაობის ქვეყანად იცნობენ და გვსურს, ამაში უცხოელები კიდევ ერთხელ დავარწმუნოთ. თავისუფალი დასწრებაც ამიტომ გადავწყვიტეთ.

**- მაგრამ მარკეტინგული თვალსაზრისით, რამდენად მომგებიანია? ხომ არ აჯობებდა, ბილეთისთვის ხელმისაწვდომი ფასი დაგედოთ, რაც მაყურებელს არ შეამცირებდა, ფედერაციას კი ხარჯებში შეეშველებოდა.**

- ეს ვარიანტი გამოვითვალეთ, მაგრამ მცირე ფასიც რომ დაგვედო - თუნდაც 2 ლარი, იმდენად პატარა შემოსავალს მოიტანდა, ვარჩიეთ, ამაზე უარი გვეთქვა და მაყურებელი გვყოლოდა კმაყოფილი. 3 ან 5 ათას ლარს მირჩევნია, ქომაგი მოვიდეს დარბაზში.

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი

*ინტერვიუ ლევან შენგელიასთან*

# შენგელია როდ აილენდში ითამაშებს



გუშინ, გამთენიისას, ამერიკიდან საქართველოში დაბრუნდა ლევან შენგელია. იგი კოლეჯების ლიგაში სათამაშოდ ემზადება და 20 ივნისს ბოლო მისაღები გამოცდა ჩააბარა. ასე რომ, ლევანი გაისად კოლეჯების უმაღლესი ლიგის NCAA-ს პირველ დივიზიონში "როდ აილენდის" მაისურით ითამაშებს.

ბოლო გამოცდის დასრულებისთანავე იგი თბილისში გამოეშურა, რადგან ჯერ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მატჩები ელის, შემდეგ - ეროვნული ნაკრები. შენგელიასთან საუბარი ამერიკული გამოცდებით დავიწყეთ.

- იყო რამდენიმე კოლეჯის ვარიანტი. შემეძლო ჩამებარებინა ისეთ კოლეჯში, რომელსაც შედარებით ძლიერი საკალათბურთო გუნდი ჰყავს, მაგრამ როდ აილენდი ავირჩიე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მწვრთნელს ვიცნობდი, მეორეც – წლეულს ამ გუნდში მძიმე ფორვარდის ადგილი განთავისუფლდა, ვინც ამ ამპლუაში თამაშობდა, სასწავლებელი დაამთავრა და, ვფიქრობ, სათამაშო დრო საკმარისად მექნება.

**- როდ აილენდს როგორი გუნდი ჰყავს?**

- კოლეჯების ლიგის უმაღლესი დივიზიონი რამდენიმე კონფერენციადაა გაყოფილი. ჩემი მომავალი გუნდი "ატლანტიკ თენში" თამაშობს. ეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კონფერენციაა. განვლილ სეზონში "როდ აილენდმა" 22 მატჩი მოიგო, 11 წააგო და მეორე ადგილი დაიკავა. მომდევნო ეტაპზე კონფერენციის ჩემპიონები გადიან, თუმცა, კარგი მაჩვენებლების შემთხვევაში მეორეადგილოსნებსაც ეძლევათ ჩემპიონებთან ერთად ბრძოლის გაგრძელების საშუალება..

**- ასე რომ, საჩემპიონო გუნდში გადახვედი...**

- "როდ აილენდს" გაისადაც სერიოზული მიზნები ექნება.

**- კოლეჯების ლიგაში როგორ ხდება, სინჯები გაიარე, თუ...**

- ამერიკაში იანვარში წავედი. ჯერ ჰაი სქულში ვიყავი, იქ ვთამაშობდი, თუმცა ორ თვეში სამხრეთ კაროლინაში გადავედი და ინდივიდუალურად ვემზადებოდი. მწვრთნელთან ერთად დღეში სამჯერ ვვარჯიშობდი. როდ აილენდში ოფიციალური ვიზიტი, ერთგვარი სინჯები წარმატებით ჩავაბარე – გუნდთან ერთად ვითამაშე. თავი ურიგოდ არ წარმომიჩენია.

**- ამერიკაში როდის გელიან?**

- 5 სექტემბერს აქ უნდა იყოო...

**- ეროვნული ნაკრების 12 კაცს შორის რომ მოხვდე?..**

- ნაკრებს მაკედონიიდან ავსტრიაში 26 ივლისს უნდა შევუერთდე. იმედი მაქვს, რომ თორმეტეულში მოვხვდები და თუ ასე მოხდა, თან პლეი ოფში გავედით, კოლეჯში წასვლაზე ვიფიქრებ? ჩემთვის მთავარი ნაკრებია. ამერიკაში სანაკრებო ამბების მოთავების შემდეგ გავემგზავრები.

**- მანამდე ახაგაზრდული ნაკრებია.**

- ძლიერი გუნდი გვეყოლება. მართალია, შერმადინი არ არის, მაგრამ, არა მგონია, ვინმეზე ნაკლები წინა ხაზი გვყავდეს – მე, რიჩარდ მათიაშვილი, ნიკა მეტრეველი, გიორგი შარაბიძე... უკანა ხაზიც ძლიერი გვყავს და წარმატებაზე რეალურად შეიძლება ფიქრი. ჩვენი მიზანი ელიტაში გადასვლაა. გაისად ბოლოჯერ მიწევს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში და მინდა წლეულს A დივიზიონში ავიდეთ, რათა მომავალ ზაფხულს ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშო.

**- შარშან რომ შეგენარჩუნებინათ ადგილი...**

- ერთადერთი, ბულგარეთთან წავაგეთ დიდი სხვაობით. ყველა სხვა მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარვმართეთ და გამარჯვებაც შეგვეძლო, მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ბოლო ორეულში შევედით და B დივიზიონში დავქვეითდით. წლეულს ისევ ზემოთ უნდა ავიდეთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი

*ჩერჩილის თასი*

# ტრიადა: ცუდად, უფრო ცუდად და კიდევ უფრო ცუდად

| საქართველო-აშშ | 13:31 |
|---|---|

საქართველო (15-9): კვირიკაშვილი (სოხაძე 80), თოდუა (გუგავა 80), კაჭარავა, გიგაური, მაჩხანელი, მალალურაძე, როხვაძე. (1-8) დადუნაშვილი (ლომსაძე 76), ნატრიაშვილი, ჟღენტი (კაკოვინი 59), ურუშაძე, ნემსაძე (დათუნაშვილი 61), ლაბაძე (ზ.მაისურაძე 41), ს.მაისურაძე, ბასილაია (გუნდიშვილი 61).

*ლ: თოდუა. 2ს,გ: კვირიკაშვილი.*

სინბინი: ს.მაისურაძე, კაჭარავა.

აშშ (15-9): ვაილზი, ტაკუძავა, ემრიქი, სიკა (ტუილევუკა 55), ჰოლი, ჰერკუსი (მალიფა 72), უსაში (პიტრი 75). (1-8) მოეაკიოლა (მაკდონალდი 59), ბილერი (ველჩი 75), ფითმენი, სთენფილდი (პარკერი 49), ფანდერხისენი (სმითი 70), გაჯანო, ქლევერი, ჯონსონი.

*3ლ: უსაში, ემრიქი, ჰოლი. 2გ,4ს: ჰერკუსი.*

სინბინი: ემრიქი.

მსაჯი: გ.გარნერი (ინგლისი)



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ ჩერჩილის თასის გათამაშებაში, სამივე შეხვედრაში მარცხი განიცადა. ცუდად დაწყებული ტურნე, ბორჯღალოსნებმა კიდევ უფრო ცუდად დაამთავრეს.

საქართველოს ნაკრების მიერ გამართული სამივე შეხვედრა ტყუპისცალებივით ჰგავდა ერთმანეთს. სამივეში თავი ერთმა და იმავე პრობლემებმა იჩინეს. უწინარესად, ეს სათამაშო და მოედანზე ქცევას ეხება.

ჩვენი მორაგბეები, ხშირ შემთხვევაში, არც მატჩის მიმდინარეობისას ბრწყინავდნენ განსწავლულობით. ბორჯღალოსნებმა ვერ დატოვეს შეკრული, გამარჯვებისკენ წინსწრაფი გუნდის შთაბეჭდილება. ერთადერთი, რაშიც ყველა მეტოქე დავჯაბნეთ, შერკინებაა, ოღონდ სტატიკურ მდგომარეობაში. სხვა დანარჩენში - სისწრაფე, დინამიკა, ტექნიკა, ტაქტიკური აზროვნება, მოწინააღმდეგეების უპირატესობა აშკარა იყო.

ბოლო შეხვედრა ჩვენმა მორაგბეებმა მასპინძელთა ეროვნულ გუნდთან 13:31 წააგეს. არადა, ამერიკელები, პირველი ტაიმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არ გამოიყურებოდნენ ჩვენი ნაკრებისთვის გადაულახავ ბარიერად. ამის თქმის უფლებას მარტო ის ფაქტი როდი გვაძლევს, რომ პირველი ნახევარი ფრედ -10:10 დასრულდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ნაკრების მიერ გამართული ყველა შეხვედრა ერთმანეთს ჰგავდა. ამერიკელებთან მატჩში, ისევე როგორც წინა ორში, მოწინააღმდეგეს რამდენიმე ლელო თვითონ მივართვით სინით, მთლიანად ჩავაგდეთ საწყისი 20 წუთი.

ამჯერად მე-10 წუთისთვის უკვე 10:0 ვაგებდით. ლელო კურიოზული მივიღეთ. მეტოქის დაკიდებული ბურთი ჩვენი ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში **ლაშა მალაღურაძემ** მიიღო. მას ჰქონდა საშუალება მოძრაობა გრძელი ფრთისაკენ გაეგრძელებინა ან იქვე, ახლოსმყოფი თანაგუნდელისთვის გადაეწოდებინა. თუმცა ლაშამ ბურთი ფეხით იქვე აუტში მოიგერია. ამერიკელებმა აუტიდან ბურთი სწრაფად შემოიტანეს და ანგარიში თითქმის უშრომელად გახსნეს. ლელო ცხრა ნომერმა **თიმ უსაშიმ** გაიტანა. გარდასხვა საკმაოდ რთული პოზიციიდან **მაიკ ჰერკუსმა** ზუსტად დაარტყა. მანვე მალე ყოველივე ამას საჯარიმოც მიაყოლა - 10:0.

ყველაზე უცნაური ჩვენი გუნდის თამაშში ათი ნომრის მიერ, ყველა პოზიციიდან ბურთის ფეხით მეტოქის მოედანზე გადატანა იყო. არც ერთხელ მეტოქისთვის ხაზის მოთამაშეებს არ შეუტევიათ. ამ ტაქტიკამ შედეგი მხოლოდ ერთხელ გამოიღო.

მორიგი აბრაგანის შემდეგ, ამერიკელთა ნახევარზე ბურთს ბორჯღალოსანთა შუამარბი **დავით კაჭარავა** დაეუფლა. მან ათიოდე მეტრი წინ წაიწია და მერე შეტევაში გარემარბი **ირაკლი მაჩხანელი** ჩაერთო. ამან კიდევ რამდენიმე მეტრი მოიგო და ახლა რაკიდან ბურთი პირველხაზელმა **გიორგი ჟღენტმა** აიტაცა. ის მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში საკმაოდ ღრმად შეიჭრა. ბოჭვის არეში მეტოქის რამდენიმე მოთამაშე ჩაითრია. რაკიდან ბურთი **გიორგი როხვაძემ**, მარჯვენივ გრძელ ფრთაზე გაუტანა მალაღურაძეს. ამან დროულად შენიშნა კიდისკენ უმეთვალყურეოდ დარჩენილი ერთბაშად სამი თანაგუნდელი და გრძელი გადაცემით გარემარბ **ალექსანდრე თოდუას** ლელო გაატანინა. **მერაბ კვირიკაშვილმა** ზუსტად გარდასახა. მანამდე მასვე ერთი საჯარიმო გატანილი ჰქონდა და ანგარიში გათანაბრდა - 10:10.

იმედი, რომ სქართველოს ნაკრები ამ შეხვედრაში მაინც მოახერხებდა გამარჯვების მიღწევას, მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაქარწყლდა. ჩვენმა მორაგბეებმა მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანა მოახერხეს. თავად მეტოქეს, კიდევ ორი ლელოს დადების საშუალება მისცეს. რომელთაგან ჰერკუსმა ერთი გარდასახა და სამი საჯარიმოც დაუმატა.

ჩერჩილის თასის მფლობელი კი, ირლანდიის A ნაკრები გახდა, რომელმაც ფინალში ინგლისის A ნაკრები დაამარცხა საკმაოდ დამაჯერებლად - 49:22.

**ჩერჩილის თასი**

**III ადგილისთვის**

**კანადა-არგენტინა 29:44**

**ფინალი**

**ირლანდია A-ინგლისი A 49:22**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ირლანდია A, 2. ინგლისი A, 3. არგენტინა A, 4. კანადა, 5. აშშ, 6. საქართველო.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

## იაპონიამ და რუსეთმა გაგვასწრეს

„ჩერჩილის თასზე" სუსტმა ასპარეზობამ ერთობ დააზარალა „ბორჯღალოსანთა" რეიტინგი. ამერიკაში გამგზავრების წინ საქართველოს ეროვნული ნაკრები კლასიფიკაციაში ყველაზე მაღლა იყო ისტორიაში - მე-13 ადგილზე, შინ გამომგზავრების წინ კი გუნდი რეიტინგში უკვე მე-17 ადგილზეა. მეტიც, ჩვენს დამმარცხებელ აშშ-ს სულ ცოტა დააკლდა, თორემ საქართველოს ნაკრები კიდევ ერთი ადგილით დაიხევდა უკან. ამერიკელებთან მარცხმა ორ კონკურენტს ჩვენი გასწრების შანსი მისცა - დღეიდან იაპონია (67,23) მე-15, ხოლო რუსეთი (67,17) მე-16 ადგილზე არიან. „ბორჯღალოსნებს" კი 66,85 ქულალა დარჩათ. არადა, ტურნირის დაწყებამდე ჩვენს გუნდს 70,39 ქულა ჰქონდა.

# ახალგაზრდული ნაკრები სრულად შეიკრიბა

## შენგელიები ერთად ჩამოვიდნენ



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თბილისში ერთი კვირის წინ, 15 ივნისს შეიკრიბა. თავიდან გუნდი ლეგიონერების გარეშე ვარჯიშობდა, დღეიდან კი სრული შემადგენლობით განაგრძობს წვრთნას.

გუშინწინ, საქართველოში ჩამოვიდა იტალიის "მონტეპასკის" მეფარე **ნიკა მეტრეველი**, რომელმაც გუნდთან უკვე ივარჯიშა.

გუშინ, გამთენიისას გუნდს კიდევ სამი ლეგიონერი შეუერთდა - **ლევან შენგელია, თორნიკე შენგელია და გიორგი შარაბიძე**. ლევანი ამერიკის "როდ აილენდის" კოლეჯში ახლახან ჩაირიცხა და საქართველოში ამერიკიდან ჩამოვიდა.

თორნიკე შენგელია და გიორგი შარაბიძე კი "ვალენსიას" წევრები არიან და ესპანეთიდან დაგვიბრუნდნენ. დღეიდან საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები სრული შემადგენლობით ივარჯიშებს.

აი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სრული სიაც:

**რიჩარდ მათიაშვილი** ("ავიამშენი"), **კოსტანტინე ტომარაძე** ("საბადელი", ესპანეთი), **ზურაბ მაჭავარიანი** (ენერჯი), **გიორგი ნანიტაშვილი** ("დინამო"), **ლევან ცეკვავა** ("ენერჯი"), **ირაკლი გაბისონია** ("მართვე"), **გიგა კვეტენაძე** ("მართვე"), **მალხაზ აბაიშვილი** ("ენერჯი"), **გიგი ბარბაქაძე** ("სასოფლო"), **ტატო ჩაჩიბაია** ("სასოფლო"), **ბექა წივწივაძე** ("სასოფლო"), თორნიკე შენგელია ("ვალენსია", ესპანეთი), გიორგი შარაბიძე ("ვალენსია", ესპანეთი), ლევან შენგელია ("როდ აილენდი", აშშ), ნიკა მეტრეველი ("მონტეპასკი", იტალია)

**ვაჟა სიმონიშვილი**

*შვიდკაცა რაგბი. ევროპის სერია*

# ფინალის ყველა მონაწილე ცნობილია

გასულ უქმეებზე მოსკოვში, შვიდკაცა რაგბის ევროპის სერიის ბოლო შესარჩევი ეტაპი გაიმართა. ტურნირი იტალიის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა და საბოლოოდ გაირკვა ის ათი გუნდი, რომლებიც 11-12 ივლისს, გერმანიის ქალაქ ჰანოვერში ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის.

ჰანოვერში საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებიც იასპარეზებს. მისი სავარაუდო მეტოქეები იქნებიან საფრანგეთის, იტალიის, პორტუგალიის, რუსეთის, მოლდოვას, გერმანიის, პოლონეთის, ესპანეთისა და რუმინეთის ნაკრები გუნდები.

ორი ეტაპის ჯამში, რეიტინგში გუნდები შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდნენ: 1. საფრანგეთი - 36 ქულა, 2. პორტუგალია - 36, 3. იტალია - 34, 4. რუსეთი - 32, 5. მოლდოვა - 32, 6. ესპანეთი - 30, 7. საქართველო - 28, 8. რუმინეთი - 28, 9. გერმანია - 26, 10. პოლონეთი - 24.

**ბესიკ ჯანგავაძე**

*IRB-ის ერთა თასი*

**შოტლანდია A - საფრანგეთი A 22:12, იტალია A - რუმინეთი 24:13, რუსეთი - ურუგვაი 29:26.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. შოტლანდია A - 13 ქულა, 2. იტალია A - 9, 3. საფრანგეთი A, 4. რუმინეთი - 5, 5. რუსეთი - 5, 6. ურუგვაი -2.**

ავტოსპორტი

## ავტობანზე...

საგზაო დეპარტამენტი არა მარტო აშენებს ავტობანებს, არამედ სპორტულ სარბიელად მის გამოყენებაშიც თანამშრომლობს საავტომობილო სპორტის ფედერაციასთან. თბილისი-გორის ტრასაზე ახალაშენებულ ავტობანზე გაიმართა ასპარეზობა „ბრანგ სინგში" 70-მდე მრბოლის მონაწილეობით.

ავტომობილების კლასების მიხედვით გამარჯვებულები არიან: **ვახტანგ მაკუტაძე** — 1,6 კლასამდე, (Honda GRX); **ოვანეს კოგოსოვი** — 1,6-2,3-3,5-მდე (Honda Typez); **აკაკი ბერძენიშვილი** — 3-3,5-მდე (Porshe 911); აბსოლუტური ჩათვლა - **ვახტანგ წაწალაშვილი** (Mitsubishi Lancer Evolution 2).

**თენგიზ თომაშვილი**

*თარიღი ხსოვნა*

**ტარიელ ალიბეგაშვილი**



დაიბადა 1945 წლის 22 ივნისს, ყაზბეგის რაიონის სოფელ გორისციხეში. თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს პრიზიორი (1969 — III), ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი (1971), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1965, 1972), თბილისიის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული (1969), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

დაიღუპა ავტოკატასტროფაში 1991 წელს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ველოსპორტში საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

**ავთანდილ ხახიაური**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ველოსპორტში საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

**ავთანდილ ხახიაური**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 23.06; 14 საათზე. მისამართი: ლილოს დასახლება, რუსთაველის 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# ხაბარელმა სრული გუნდი შეკრიბა

ძიუდოისტთა ნაკრებში სიმშვიდემ დაისადგურა (ვიქონიოთ იმედი - სამუდამოდ) და დაპირისპირებული მხარეები ახლა ბაკურიანში ერთად გადიან საბაზო შეკრებას მსოფლიო პირველობისთვის მოსამზადებლად. თუმცა აბუნტებულთა შემორიგებამ **ხაბარელს** თავდაპირველი გეგმების არევა აიძულა და მსოფლიო პირველობისთვის სასტარტო, ანუ ბოლო შესამოწმებელ ტურნირად რიო დე ჟანეიროს პრესტიჟული დიდი სლემის ნაცვლად გერმანული სინდელფინგენის მეორე კატეგორიის რიგითი ტურნირი იქცა.

ბრაზილიის ტურნირი რომ ბევრად აღემატება გერმანიისას, ამას არც ხაბარელი უარყოფს, მაგრამ იქ წონაში მხოლოდ ორი კაცის გამოყვანა შეეძლო, გერმანულ ტურნირში კი, როგორც დაბალი რანგისაში, რაოდენობა ლიმიტირებული არაა, ცვლილებაც ამან განაპირობა - მთელ რიგ წონებში სერიოზული კონკურენციაა და, შეიძლება ითქვას, ბევრის გამოცდას დახარბდა. მით უფრო, შეგირდთა უმეტესობა საშეჯიბრო პროცესში მთელი წელიწადია, არ უნახავს. ამასთან, ზოგს წონითი კატეგორიის შეცვლაც სურს, მათ კი ტურნირებში აქამდე თითქმის არც უჭიდავიათ. ცხადია, იყო ის ფაქტორიც, რომ ბრაზილიაში გადაფრენა ბევრად ძვირი სიამოვნებაა და ამიტომაც შეჩერდნენ გერმანიის ვარიანტზე.

სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოზე წამსვლელთა ვინაობა უკვე გარკვეულია - ეს უფლება ევროპის პირველობის მედალოსნებმა, ანუ **ნესტორ ხერგიანმა (60), ლევან ნიკლაურმა** (81) და **ვალერი ლიპარტელიანმა** (90) მოიპოვეს. აი, დანარჩენ წონებში კი ყველაფერი ჯერაც გასარკვევია.

გერმანული ტურნირი 27-30 ივლისს გაიმართება, მსოფლიომდე ერთი თვით ადრე. ხაბარელი იქ ამ შემადგენლობას წაიყვანს: **ამირან პაპინაშვილი** და **ბეთქილ შუკვანი** (60), **ნესტორ ხერგიანი** და **შალვა ქარდავა** (66, შესაძლოა, ამათ **მინდია ხომიზურიც** დაემატოს), **ზაზა კედელაშვილი, თენგიზ პაპოშვილი** და **ამბაკო ავალიანი** (73), **კევან ნიკლაური, ხვიჩა ხუციშვილი** და **დავით ქევხიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ზურაბ ზვიადაური, ლომერ ჟორჟოლიანი** და **დავით ლორიაშვილი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი, ადამ ოქრუაშვილი** და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100).

როგორც ვხედავთ, ნაკრებში ყველა ადრინდელი ლიდერი იჭიდავებს, ანუ ოლიმპიადის შემდეგ გუნდი პირველად შეიკრიბა ოპტიმალური შემადგენლობით. ამათგან ხერგიანი და კედელაშვილი მხოლოდ ამ ტურნირზე იჭიდავებენ ზედა წონაში, თორემ მათთვის წონების შეცვლა არ იგეგმება, აი, ქევხიშვილს კი ჯერ ისევ ცდიან ახალ გარემოში. ახალ წონაში მან უკვე იჭიდავა - მოსკოვის დიდ სლემზე, მაგრამ პირველივე წრიდან გამოვარდა და მწვრთნელს აინტერესებს, კიდევ ერთხელ გამოსცადოს. თუ გაამართლა, რა მოხდება მაშინ, ვის დააყენებს მსოფლიოს ჩემპიონატზე - ქევხიშვილს თუ ნიკლაურს? თუ ვერ გაამართლა, სავარაუდოდ, ქევხიშვილს მაინც წაიყვანს ოტერდამში, ოღონდ - 73-ში, სადაც მისი ღირსეული კონკურენტი ჯერაც არ ჩანს. თუმცა ეს თავად ქევხიშვილის იმჟამინდელ ფორმაზეც იქნება დამოკიდებული.

თუ ქევხიშვილის საკითხი ჯერ ისევ გასარკვევია, უკვე გარკვეულია, რომ ზვიადაური და ცირეკიძე ახალ წონაში მოსინჯავენ ძალებს. ზვიადაურის დაბრუნებაც საყურადღებო ფაქტია - ვნახოთ, რას იზამს ოლიმპიური ჩემპიონი, რომელმაც ბოლო ოთხ წელიწადში 7 (!) ოპერაცია გაიკეთა.

ირაკლი თავაძე




# კოპერისთვის გორი მოგვიხდება

**გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში დასრულდა საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრების მოსამზადებელი შეკრება. ჭაბუკთა გუნდი მთავარი მწვრთნელის ჯემალ ნათელაშვილის ხელმძღვანელობით ამ დარბაზში 9 ივნისიდან გადიოდა სამზადისს ევროპის ჩემპიონატისათვის, რომელიც 26-28 ივნისს სლოვენიის ქალაქ კოპერში ჩატარდება. მოჭიდავეებმა ბოლო ვარჯიშები გორში 22 ივნისს უნდა გამართონ, რის შემდეგაც უკვე სლოვენიისაკენ აიღებენ გეზს. შეკრების ბოლო დღეებში ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ გუნდის მთავარ მწვრთნელს ჯემალ ნათელაშვილს და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს თემურ ხუბულურს, რომელიც უშუალოდ და ძალიან აქტიურადაც მონაწილეობდა ჭაბუკი ძიუდოისტების საწვრთნელ პროცესში.**

**ჯემალ ნათელაშვილი:** - შეკრებაზე 25 ძიუდოისტი გვყავს. აქ არიან ყველა წონითი კატეგორიის პირველი-მეორე ნომრები და რამდენიმე წონის მესამე ნომერიც. მიზეზთა გამო ამ ახალგაზრდებთან ფაქტობრივად წელიწადში მხოლოდ თვე-ნახევრის, ან ორი თვის განმავლობაში თუ მიწევს მუშაობა. დანარჩენ დროს თითქმის ვერ ვაკვირდები მათ საწვრთნელ პროცესს. ახლაც, ბოლოს ეს ძიუდოისტები საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე ვნახე ტატამზე...

**- შთაბეჭდილება როგორი დაგრჩათ მოწზადების თვალსაზრისით?**

- სხვათა შორის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელთა კარგი ასპარეზობა. ამ მხარიდან არაერთი ძიუდოისტი ვიხილეთ ფინალურ ორთაბრძოლებში, რაც მაფიქრებინებს, რომ მუშაობა განახლებული ენერგიით მიმდინარეობს. შესაბამისად მადლობელი ვარ იქ მომუშავე სპეციალისტების. აღმოსავლეთ საქართველოდან კი, როგორც ვიცით, ძიუდოში მუდამ სპორტსმენთა დიდი ნაკადი მოდიოდა და მათი წარმატებების სიმრავლეც ერთი შეხედვით ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუმცა აქაც აუცილებლად უნდა აღვნიშნო გორის ძიუდოს სკოლის გვარიანი გამოცოცხლება. ჭიდაობის მოყვარულთ ემახსოვრებათ, გორის ძიუდოს სკოლის ჩავარდნა 90-იან წლებში. ძალიან მიხარია, რომ წარსულში ცნობილი ფალავნების გია და ანზორ თენაძეების მოსვლის შემდეგ ამ ქალაქში ისევ გამოჩნდნენ საკმაოდ ძლიერი მოჭიდავეები. არადა, მათ (ბუნებრივია, ადგილობრივ მწვრთნელებთან ერთად) მუშაობა კრიზისის შემდეგ თითქმის ნულიდან დაიწყეს. გორში ახლა იმდროინდელ ვითარებასთან შედარებაც არ შეიძლება.

**- კახეთზე არაფერი გითქვამთ, საიდანაც აგრეთვე მიჩვეული ვართ ტალანტთა სიმრავლეს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში.**

- დღესდღეობით კახეთით ნამდვილად უკმაყოფილო ვარ. ძალიან იკლო ტალანტების ნაკადმა. მართალია, ისევ მოდიან ამ მხარიდანაც პერსპექტიული ფალავნები, მაგრამ იმაზე ბევრად მეტს ველით, რაც ამჟამადაა. არ ვიცი, რისი ბრალია ეს. მიზეზებში დროულად გარკვევაა საჭირო. საერთოდაც, უნდა აღვნიშნო, რომ რაიონებსა და სოფლებში გაზრდილი ფალავნების სიმრავლე გვჭირდება. რა მტკიცება უნდა, რომ სოფელში გაზრდილი ბავშვი უფრო ძლიერ მოჭიდავედ ყალიბდება. ამიტომ ვამბობ, თუ რაიონებში მუშაობა ჩაკვდა, ჩვენს ძიუდოს კარგი დღე არ დაადგება.

**- გორში შეკრება სასიკეთოდ წაადგა ნაკრებს?**

- უდავოდ! ზემოთაც ვთქვი, რომ აქ ბოლო წლებში ვითარება რადიკალურად შეიცვალა უკეთესობისაკენ. გორის დარბაზში მეტად პერსპექტიული მოჭიდავეები ვარჯიშობენ და მათთან ერთად მომზადება ჩვენს ნაკრებს დიდად წაადგება.

**- რა შემადგენლობით მიემგზავრებით კოპერში და სავარაუდოდ, რამდენი მედლის იმედი გაქვთ?**

- ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ლაშა კვირიკაშვილი (50 კგ), ლუხუმ ჩხვიმიანი (55 კგ), ბექა ტულუში (60 კგ), ირაკლი ლომიძე (66 კგ), ბაჩანა ტიტვინიძე (73 კგ), ლევან რუაძე (81 კგ), ელგუჯა ბიბილაშვილი (90 კგ) და გიორგი ზაქარიაძე (+90 კგ). სავარაუდოდ სამი საპრიზო ადგილი მაინც უნდა მოვიპოვოთ, რაც შარშანდელზე უკეთესი შედეგი იქნება. ჩვენი შარშანდელი მონაგარი თითო ვერცხლის და ოქროს მედალი იყო.

**თემურ ხუბულური:** - თუ არ ჩავთვლით ამ შეკრებას, ეს ბიჭები წლეულს მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატზე ვნახე და ამიტომ მიჭირს ვივარაუდო შედეგები. ვფიქრობ, მძიმეწონოსანმა ზაქარიაძემ, ლომიძემ და რუაძემ უნდა შეძლონ სლოვენიაში მედლების მოპოვება, თუმცა არც სხვებისგან გამოვრიცხავ კარგ შედეგს. ღვთის წყალობით, კარგი მოჭიდავეები გვყავდა, გვყავს და გვეყოლება საქართველოში. ჭაბუკთა ამჟამინდელი ნაკრებიც კარგი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. სლოვენიის ტატამზე უცხოელებმა თუ გადაზრდილი ყმაწვილები არ დაგვიპირისპირეს, აუცილებლად კარგი შედეგით დავბრუნდებით შინ.

- მივესალმები გორში შეკრების ჩატარებას. აგერ, თქვენი თვალით ხედავთ რამდენი სპორტსმენია თავმოყრილი დარბაზში. ცხადია, ეს ბევრად ჯობია იმას, ვიდრე ნაკრები წაიყვანო სადმე, სადაც არ ჰყავთ ძლიერი ფალავნები. გორში ამჟამად ძალიან კარგი ახალგაზრდული გუნდია, მათზე არანაკლებია ჭაბუკთა გუნდიც. მაშასადამე მათთან ერთად მომზადება ორმხრივად სასარგებლოა.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

# ერთიც, ელიტაში



ქართულმა ძიუდომ და ზაუტაშვილების ოჯახმა მორიგ აღიარებას მიაღწიეს. ამჯერად - სამსაჯო ასპარეზზე. ამ დღეებში სლოვენიურ ცელიოში ევროპის თასის გათამაშება მიმდინარეობს ქალებში, რომელსაც, ტრადიციულად, მსაჯთა სემინარი უძღოდა წინ. აი, სწორედ იქ, ახალგაზრდა ქართველმა მსაჯმა **ნიკოლოზ ზაუტაშვილმა** წარმატებით ჩააბარა გამოცდები და B კატეგორია მიენიჭა. ნიკოლოზ ზაუტაშვილი ცნობილი გორელი მწვრთნელის, **შოთა ხაბარელის, თემურ ხუბულურისა** და არაერთი სახელოვანი ძიუდოისტის აღმზრდელის **გივი ზაუტაშვილის** ვაჟია.

A და B კატეგორია ორივე უმაღლესი რანგისაა, მაგრამ გარკვეული დიფერენციაციაც არსებობს. კერძოდ, B კატეგორიის მსაჯები, მაქსიმუმ, ევროპაზე იმსაჯებენ, ოლიმპიადებსა და მსოფლიო პირველობებზე - ვერა. ხშირად ისე ხდება, რომ ევროპირველობების განსჯასაც ძირითადად A კატეგორიის არბიტრებს ანდობენ, თუმცა B-საც დიდი შანსი აქვს. ამის მიუხედავად, ელიტაში კიდევ ერთი ქართველის გამოჩენა ბევრად წინგადადგმული ნაბიჯია.

სადღეისოდ ძიუდოში უმაღლესი კატეგორიის 7 მსაჯი გვყავს - 3 A-ში და 4 - B-ში. A კატეგორიის წოდება **მერაბ ლოსეურაშვილს, ვლადიმერ ნუცუბიძეს** და **ამირან ტოტიკაშვილს** მიენიჭათ, B-ში კი **ია ზღულაძე, ზურაბ კახაბრიშვილი** და **ელგუჯა მურადაშვილი** გვყავს, რომლებსაც ახლა ზაუტაშვილიც დაემატა. აღსანიშნავია, რომ ამ შვიდი არბიტრიდან უმაღლესი კატეგორია 4-მა ბოლო წელიწად-ნახევარში მიიღო - ნუცუბიძემ, ტოტიკაშვილმა, ზღულაძემ და ზაუტაშვილმა. ნამდვილად მისასალმებელია საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ასეთი ძალისხმევა, რადგან უმსაჯოდ საერთაშორისო ასპარეზზე დაჩაგრულნი ვართ. ამასთან, პირველხარისხოვან ტურნირებში ქართველთა მსაჯობა ჩვენი ქვეყნის პრესტიჟიცაა.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

# ანამ უკან დაიხია და მოიგო

გუშინ, უიმბლდონის ჩემპიონატის სტარტისთვის WTA-ს და ATP-ის რეიტინგ-ლისტები განახლდა. მსოფლიოს კლასიფიკაციაში 15 ქართველი ჩოგბურთელია, 7 ვაჟი და 8 ქალი. ქალთა შორის ჩვენებურებს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა აქვთ, საკმარისია ითქვას, რომ მოწინავე 500-ეულში მხოლოდ ერთი ქართველი ვაჟია, ამავე დროს - ოთხი ქალი. საქართველოს პირველ ჩოგან **ანა ტატიშვილის** შარშან ელ პასოს (აშშ, 25 ათასი $) ტურნირის მოგებისთვის მიღებული ქულები ჩამოაკლდა, სწორედ ამით არის გამოწვეული მისი სერიოზული დაქვეითება რეიტინგში - 19 წლის ქართველს 312 ქულა დარჩა, მან 25 საფეხურით დაიხია უკან და მსოფლიო კლასიფიკაციაში 189-ე ადგილზე დამკვიდრდა. **მაკა ჩახნაშვილმა** მხოლოდ ერთი საფეხურით დაიხია უკან - ის 242 ქულით მსოფლიოს 229-ე ჩოგანია. **სოფიო შაფათავა** 180 ქულით 273-ე (-1) პოზიციაზეა, **ოქსანა კალაშნიკოვას** ცვლილება საერთოდ არ შეხებია - 176 ქულა, 276-ე ადგილი. სხვები: 510 (-25) **ეკა გორგოძე** - 62 ქულა; 519 (+6) **სოფიო ქვაცაბაია** - 60; 702 (-36) **მანანა შაფაქიძე** - 32; 888 (-2) **სოფიო მელიქიშვილი** - 16. ვაჟთა შორის **ირაკლი ლაბაძე** 96 ქულით მსოფლიოს 494-ე (+1) ჩოგანია. სხვები: 831 (+9) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 26 ქულა; 837 (+7) **ლაზარე კუხალაშვილი** - 26; 945 (+13) **ლადო ჩიხლაძე** - 17; 1264 (+22) **ნოდარ ითონიშვილი** - 6; 1519 (+16) **ბექა ბუჩუკური** - 2; 1591 (+14) **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 14.


ანა ტატიშვილი

შვედეთის ქალაქ კრისტიენჰამნში სტარტი აიღო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა (25 ათასი $), რომელშიც საქართველოს პირველი ჩოგანი ანა ტატიშვილი მე-3 ნომრად განთესეს. პირველ წრეში ანას მეტოქე საკვალიფიკაციო წრიდან გამოსული გერმანელი **მონა ბარტელი** (499) იყო, მართალია, ანას გაუჭირდა, მაგრამ მან მაინც შეძლო პირველი ბარიერის გადალახვა - 3:6, 6:2, 7:6 (6). წყვილთა თანრიგში ტატიშვილი ამერიკელ **ლილია ოსტერლოსთან** (211) დუეტში თამაშობს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭიდაობა

# სერბეთისთვის ირანში

გუშინ, საღამოს, საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით ჭაბუკ მოჭიდავეთა ნაკრებები ირანში გაემგზავრნენ, სადაც 25-26 ივნისს ქალაქ რაშთში „ბავშვთა დღედ" წოდებულ საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებენ. ორივე ნაკრები 21-26 აგვისტოს სერბულ ზრენჯანინში ევროპის პირველობაზე იასპარეზებს. მწვრთნელებმა იქ წასაყვანი შემადგენლობები უკვე დაასახელეს და ირანულ ტურნირს სასტარტო შეჯიბრებად განიხილავენ. თუმცა შანსს სხვებსაც აძლევენ და ირანში გაფართოებული შემადგენლობა მიჰყავთ. გასაგებია, რომ საევროპოდ შეგულებულთაგან ამჯერად ბევრს წონას არ აკლებინებენ და ზედა წონაში აჭიდავებენ. ანტიკოსები საევროპოდ გამზადებულ ორ მოზარდს სულაც ასვენებენ.

„ბერძენ-რომაელთა" თავკაცმა **ვაჟა კრავეიშვილმა** ირანში გუნდი ასეთი შემადგენლობით წაიყვანა - **შმაგი ბოლქვაძე** (46), **ამირან შავაძე** და **თორნიკე მახარაძე** (50), **დემეტრე ხურცია** და **რამაზ სურმანიძე** (54), **თორნიკე თურქიშვილი** და **აბესალომ ქათამაძე** (58), **გიორგი დავითაია** (63), **ლერი კაჭკაჭიშვილი** (69), **ლაშა დოლიძე** და **ლაშა შალიკაშვილი** (76), **დავით ჩაკვეტაძე** (85) და **გიორგი ხუბაშვილი** (100). „თავისუფალთა" მწვრთნელმა **თამაზ ბენდიანიშვილმა** ამ შემადგენლობას უხმო: **ბექა ბუჯიაშვილი** (42), **ლაშა ტალახაძე** (50), **აკაკი მოწონელიძე** (54), **ლევან ქელეხსაშვილი** და **ზურაბ იაკობაშვილი** (58), **დიმიტრი ბასილაშვილი** (63), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** და **ალექსანდრე ჯაჭვაძე** (69), **ალექსანდრე ამინაშვილი** (76), **ლევან გოგრიჭიანი** (85), **ომარ გუსოშვილი** (100).

როგორც გითხარით, ეს გაფართოებული შემადგენლობებია და ამათგან ბევრი ევროპაზე არ იჭიდავებს, ბევრიც ამჯერად ზედა წონაში გამოდის და საევროპოდ ჩვეულ ადგილს დაუბრუნდებიან. ახლა სწორედ იმ შემადგენლობებს გაგაცნობთ, რომლებიც სერბეთში გაემგზავრებიან. „ბერძენ-რომაელთა" ნაკრებში იქნებიან - შმაგი ბოლქვაძე (42), ამირან შავაძე (46), თორნიკე მახარაძე (50), **აბესალომ ქათამაძე** (54), **ფირუზ წულუკიძე** (58), **ლერი კაჭკაჭიშვილი** (63), **ლაშა გობაძე** (69), ლაშა დოლიძე (76), დავით ჩაკვეტაძე (85) და გიორგი ხუბაშვილი (100). "თავისუფალთა" ღირსებას ბექა ბუჯიაშვილი (42), ლაშა ტალახაძე (46), აკაკი მოწონელიძე (50), ზურაბ იაკობაშვილი (54), ლევან ქელეხსაშვილი (58), კონსტანტინე ხაბალაშვილი (63), ალექსანდრე ჯაჭვაძე (69), ალექსანდრე ამინაშვილი (76), ლევან გოგრიჭიანი (85) და ომარ გუსოშვილი (100) დაიცავენ.

ირაკლი თავაძე

## უცხოური სპორტი

**ჩოგბურთი.** *უიმბლდონი 2009*

# დიდი ჩოგბურთი დაიწყო

უიმბლდონის კორტებზე ორკვირიანი საჩოგბურთო სპექტაკლი დაიწყო. პირველი წრის მატჩებმა ფავორიტებისთვის უპრობლემოდ ჩაიარა, თუმცა რამდენიმე მატჩის გამოყოფა მაინც ღირს.

მიმოხილვა კაცების ტურნირის მთავარი ფავორიტის - შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** მატჩით უნდა დავიწყოთ. **რაფაელ ნადალის** უარის შემდეგ, მსოფლიოს მეორე ჩოგნის შანსები ერთი ორად გაიზარდა. ფედერერმა უიმბლდონის მეექვსე ტიტულისკენ სვლა ტაივანელი **იენ-სუნ ლუსთან** დაპირისპირებით დაიწყო. შეხვედრას მოულოდნელი სტარტი ჰქონდა - პირველი ბრეიკი აზიელი ჩოგბურთელის ანგარიშზე იყო. როჯერმა მაშინვე გამოასწორა ეს გაუგებრობა და ანგარიში გაათანაბრა, მეორე გეიმი მეტოქის მოწოდებაზე კი ყველაზე შესაფერის მომენტში აიღო - 6:5-ზე შვეიცარიელმა ბრეიკი გააკეთა და პირველი სეტი მოიგო. მეორე და მესამე პარტიებში განსაკუთრებული ბრძოლა აღარ ყოფილა - ფედერერმა მხოლოდ ხუთი გეიმი დაანება ლუს - 6:3, 6:2. გამარჯვებულმა აქტიური თამაშით 42 ქულა აიღო და მხოლოდ 10 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

გუშინდელი მატჩებიდან ყველაზე მოულოდნელი შედეგი ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკისა** და იტალიელი **ანდრეას სეპის** მატჩში დაფიქსირდა. თუმცა თუ უიმბლდონზე ბლეიკის წინა გამოსვლებს გადავავლებთ თვალს, ამერიკელის გავარდნა მოულოდნელ შედეგად შეიძლება არც შეფასდეს. ჯეიმსი მერვედ მონაწილეობდა წლის მთავარ ტურნირზე და მესამე წრეზე შორს არასოდეს გაუღწევია.

ბლეიკმა ოთხჯერ წააგო საკუთარი მოწოდება, მეტოქეზე ორჯერ მეტი უნებლიე შეცდომა დაუშვა (38 19-ის წინააღმდეგ), რაც ანგარიშში ნათლად აისახა - 5:7, 4:6, 6:7.

დაახლოებით ერთნაირი სცენარით წარიმართა შვედი **რობინ სიოდერლინგისა** და სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** შეხვედრები.

პირველ წრეში ორივეს საკმაოდ რთული მეტოქეები ჰყავდათ. როლან გაროსის ფინალისტი სიოდერლინგი ლუქსემბურგელ **ჟილ მიულერს** ხვდებოდა, რომელიც "დიდი სლემის" ტურნირებზე ხშირად უქმნის პრობლემებს ფავორიტებს. ამჯერადაც, მიულერმა პირველი სეტი ტაი-ბრეიკით მოიგო და დაწინაურდა. მან მეორე პარტიაშიც იბრძოლა და ბოლო მომენტში წააგო - 5:7. მაგრამ ლუქსემბურგელის გმირობები აქ დასრულდა. მომდევნო ორ სეტში შვედმა მხოლოდ სამი გეიმი დათმო - 6:1, 6:2. საერთო ჯამში, რობინ სიოდერლინგმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა - 31 ეისი და 59 "ვინერსი" დაუგროვდა და მხოლოდ 10 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

ჯოკოვიჩს რაც შეეხება, მასაც გამოცდილმა ფრანგმა **ჟულიან ბენეტომ** ტაი-ბრეიკზე მოუგო პირველი პარტია, მეორეშიც "შემოკლებული გეიმის" ჩატარება გახდა საჭირო და სწორედ აქედან დაიწყო სერბმა ჩვეული დამაჯერებელი თამაში - მეორე ტაი-ბრეიკი 7:1 მოიგო, შემდეგ სეტებში კი ბრეიკების წყალობით მიაღწია წარმატებას და მეორე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა.

■ ■ ■

ქალთა ბადეში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია 15 წლის (!) ბრიტანელის **ლაურა რობსონის** მატჩმა სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასთან**. იუნიორთა შორის შარშანდელი უიმბლდონის ჩემპიონი ძირითად ბადეში სპეციალური მიწვევით მოხვდა და კინაღამ პირველი წრის მთავარი სენსაციის ავტორი გახდა. რობსონმა სასტარტო სეტის მოგება შეძლო - 6:3, მეორეშიც დიდხანს ებრძოლა გამოცდილ სლოვაკს, მაგრამ დაღლაც დაეტყო და ასეთ მაღალ დონეზე თამაშის დეფიციტიც. ნორჩ ბრიტანელს ჯერ ბევრი რამ აქვს სასწავლი. ჰანტუხოვას წინააღმდეგ მან 18(!) ორმაგი და 42 უნებლიე შეცდომა დაუშვა. დანიელამ ბოლო ორი სეტი დამაჯერებლად აიღო და ინგლისური პუბლიკის იმედი შინ გაუშვა.

არანაკლებ ინტერესს იწვევდა უიმბლდონზე **მარია შარაპოვას** დაბრუნება. ტურნირის წინ, რუსმა WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მზად არის უიმბლდონის მოსაგებად. თუმცა იმ თამაშით, რომელიც მარიამ უკრაინელ **ვიქტორია კუტუზოვასთან** აჩვენა, გაუჭირდება ფავორიტებისთვის კონკურენციის გაწევა. კუტუზოვას ცოტა მეტად რომ მოენდომებინა და იღბალიც ჰქონოდა, პირველ სეტში 4:1 უპირატესობას შეინარჩუნებდა. რუსმა ინიციატივის ხელში ჩაგდება და თითქმის წაგებულ სეტში გამარჯვება შეძლო - 7:5.

უკრაინელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის მორალურად არ გატყდა და მეორე სეტშიც იბრძოლა. 3:5-ზე, როცა შარაპოვა მატჩზე აწვდიდა, ნულზე მოიგო მეტოქის მოწოდება, მაგრამ შემდეგ მარიას ბრეიკის გაკეთების შანსი მისცა და მატჩიც აქ დასრულდა.

გია თვალაბეიშვილი



ლაურა რობსონი

## უიმბლდონი. ქალების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

ს.საფინა (რუს, 1)
დომინგეს ლინო (ესპ)
ვაიდიშოვა (ჩეხ)
დე ლო რიოსი (პარ)
ბალტაჩა (ბრიტ)
ა. ბონდარენკო (უკრ)
ფლიპკენსი (ბელ)
შავაი (უნგ, 30)
მორესმო (საფ, 17)
ჩინკი (უნგ)
კუკოვა (სლოვაკ)
ნაკამურა (იაპ)
კინგი (აშშ)
კორიტცევა (უკრ)
ლაგოსტერა (ესპ)
პენეტა (იტა, 15)
ვოზნიაჩკი (დან, 9)
დატე კრუმი (იაპ)
კვიტოვა (ჩეხ)
კირილენკო (რუს)
ბრიანტი (იტა)
გარბინი (იტა)
დომახოვსკა (პოლ)
მ-გარიგესი (ესპ, 20)
ჩაკვეტაძე (რუს, 32)
ლისიცკი (გერ)
მაიერი (ავსტრია)
კეოტავონგი (ბრიტ)
პარმენტიე (საფ)
ამანმურადოვა (უზბ)
მორიგამი (იაპ)
კუზნეცოვა (რუს, 5)
ვ. უილიამსი (აშშ, 3)
ფოგელი (შვეიც)
სევასტოვა (ლატ)
კ. ბონდარენკო (უკრ)
მაკაროვა (რუს)
ზახვალოვა (ჩეხ)
სუარეს ნავარო (ესპ)
კანეპი (ესტ, 25)
სტოსური (ავსტრა, 18)
მატეკ-სანდსი (აშშ)
დოკიჩი (ავსტრა)
მალეკი (გერ)
ერანი (იტა)
დუბუა (კან)
პრადეცკა (ჩეხ)
ივანოვიჩი (სერ, 13)
ა. რადვანსკა (პოლ, 11)
მარტინეს სანჩესი (ესპ)
გლეტჩი (აშშ)
პენგი (ჩინ)
გოვორცოვა (ბლრ)
პერებიინისი (უკრ)
ვოსკობოევა (ყაზ)
ნა ლი (ჩინ, 19)
ბამერი (ავტსრია, 29)
ოუდინი (აშშ)
ნიკულესკუ (რუმ)
შვედოვა (ყაზ)
ო'ბრაიენი (ბრიტ)
ბენეშოვა (ჩეხ)
გორჯესი (გერ)
იანკოვიჩი (სერ, 6)

### კაცები

**I წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-იენ სუნ ლუ (ტაივ) 7:5, 6:3, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 4)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:7(8), 7:6 (1), 6:2, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 7)**-ჯეიმს უორდი (ბრიტ) 6:1, 6:3, 6:4; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 9)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:3, 5:7, 7:6(4), 7:6(5); **მარინ ჩილიჩი (ხორ, 11)**-ალბერტო მარტინი (ესპ) 6:3, 6:4, 6:4; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 13)**-ჟილ მიულერი (ლუქ) 6:7(4), 7:5, 6:1, 6:2; **ტომი რობრედო (ესპ, 15)**-ლუკა გრეგორცი (სლოვენ) 7:6(4), 6:4, 5:7, 7:6(3); **ანდრეას სეპი (იტა)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 17) 7:5, 6:4, 7:6(5); **რაინერ შუტლერი (გერ, 18)**-ქსავიე მალისე (ბელ) 6:7(9), 6:4, 7:6(3), 6:1; **კაროლ ბეკი (სლოვაკ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ, 21) 1:6, 7:5, 6:3, 4:6, 10:8; **ივო კარლოვიჩი (ხორ, 22)**-ლუკაშ ლაკო (სლოვაკ) 6:3, 7:6(4), 5:2; **ტომი ჰაასი (გერ, 24)**-ალექსანდერ პეია (ავსტრია) 6:7(5), 7:6(0), 6:3, 4:4 გადაიდო; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 27)**- ფლორან სერა (საფ) 7:6(3), 6:1, 6:4; **მარდი ფიში (აშშ, 28)**-სერხიო როიტმანი (არგ) 6:3, 6:2, 4:1 როიტმანის უარი; **იგორ ანდრეევი (რუს, 29)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 4:6, 7:6(2), 6:4, 7:6(4); **ალბერტ მონტანიესი (ესპ, 32)**-გრეგა ჟემლია (სლოვენ) 6:4, 6:4, 6:4; **ვინსენტ სპეიდი (აშშ)**-პოლ კაპდევილე (ჩილ) 6:0, 6:4, 7:5; **მარკ ჟიკელი (საფ)**-ადრიან მანარინო (საფ) 6:2, 6:2, 6:4; **სიმონე ბოლელი (იტა)**-დანიელ კოლერერი (ავსტრია) 6:7(3), 2:6, 7:5, 6:4, 6:4; **სიმონ გრეული (გერ)**-მაიკლ იანი (აშშ) 6:4, 6:2, 7:5; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-ხუან მონაკო (არგ) 6:7(3), 6:7(7), 7:6(5), 6:4, 8:6; **სტივ დარცისი (ბელ)**-ფრანკ დანჩევიჩი (კან) 6:4, 7:6(4), 6:3; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-იან ჰერნიხი (ჩეხ) 6:4, 6:4, 7:6(4); **დუდი სელა (ისრ)**-სანტიაგო გონსალესი (მექ) 6:4, 4:6, 7:6(2), 6:3; **კრისტოფ ვლიგენი (ბელ)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:3, 7:6(6), 5:7, 5:7, 6:4; მიკაელ ლოდრა (საფ)-ჯოშუა გუდელი (ბრიტ) 4:6, 7:6(5) გადაიდო; **ივო მინარი (ჩეხ)**-მაქსიმო გონსალესი (არგ) 6:4, 3:6, 7:5, 6:0; **სემ კუერი (აშშ)**-დანაი უდომჩოკე (ტაილ) 6:3, 6:4, 6:4; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ)**-აგუსტინ კალერი (არგ) 6:2, 6:3, 6:2; **გილერო კანიასი (არგ)**-დიეგო ხუნკეირა (არგ) 6:1, 6:2, 6:2; **შტეფან კუბეკი (ავსტრია)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 7:5, 6:3, 4:6, 3:6, 6:3; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-ანდრეას ბეკი (გერ) 6:2, 6:4, 6:7(4), 6:2.

### ქალები

**I წრე**

**სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-ნეუზა სილვა (პორ) 6:1, 7:5; **ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:4, 6:1; ვერა ზვონარევა (რუს, 7)-ჟორჟი სტუპი (ბრიტ) 7:6(0), 4:6 გადაიდო; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-სევერინ ბელტრამი (საფ) 6:2 ბელტრამის უარი; **ნადია პეტროვა (რუს, 10)**-ანასტასია იაკიმოვა (ბლრ) 6:1, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 12)**-იუნ იან ჩანი (ტაივ) 6:0, 6:0; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ,14)**-ჟული კუანი (საფ) 6:4, 3:6, 6:3; **ჟიე ჟენგი (ჩინ,16)**-კრისტინა ბაროისი (გერ) 7:6(2), 7:6(4); **აი სუგიამა (იაპ)**-პატი შნიდერი (შვეიც, 21) 6:4, 6:4; ალიზ კორნე (საფ, 22)-ვერა დუშევინა (რუს) 6:3, 0:6, 2:4 გადაიდო; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან, 23) 4:6, 6:4, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 24)**-ვიქტორია კუტუზოვა (უკრ) 7:5, 6:4; **ვირჟინ რაზანო (საფ, 26)**-ტამირა პაჩეკი (აშშ) 6:0, 3:1 პაჩეკის უარი; **ალისა კლეიბანოვა (რუს, 27)**-სესილ კარატანჩევა (ბულ) 6:2, 7:5; **სორანა კირსტეა (რუმ, 28)**-ედინა გალოვიტცი (რუმ) 7:5, 4:1; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 31)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 6:2, 6:2; **ელენა ვესნინა (რუს)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 6:1, 6:1; **რობერტა ვინჩი (იტა)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:3, 6:2; **ხისელა დულკო (არგ)**-სტეფანი ფორეტცი (საფ) 6:3, 7:5; **იარმილა გროტი (ავსტრა)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:3, 3:6, 6:3; **ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც)**-ვესნა მანასიევა (რუს) 6:1, 4:6, 8:6; **არავან რეზაი (საფ)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:2, 6:2; **მატილდ იოჰანსონი (საფ)**-მელანი საუთი (ბრიტ) 7:5, 7:6(5); **იოანა ოლარუ (რუმ)**-ნატალი დეში 1:6, 7:6(0), 6:2; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:4, 7:5; **ურსულა რადვანსკა (პოლ)**-მაშა ჟეჩ პესკარიჩი (სლოვენ) 6:3. 6:3; **შაარ პეერი (ისრ)**-მარია კამერინი (იტა) 6:2, 7:6(3); **მიშელ ლარშერ დე ბრიტუ (პორ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:2, 7:5; **სანია მირზა (ინდ)**-ანა ლენა გრონეფელდი (გერ) 6:2, 2:6, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ლაურა რობსონი (ბრიტ) 3:6, 6:4, 6:2; **რეჯინა კულიკოვა (რუს)**-კაროლინა შპრემი (ხორ) 4:6, 7:5, 6:3; **არანჩა პარა სანტონხა (ესპ)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:4, 6:4.

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

ზვონარევა (რუს, 7)
სტუპი (ბრიტ)
საუთი (ბრიტ)
იოჰანსონი (საფ)
კრეიბასი (აშშ)
პირონკოვა (ბულ)
პაჩეკი (ავსტრია)
რაზანო (საფ, 26)
ვოზნიაკი (კან, 23)
სკიავონე (იტა)
ლარშერ ბრიტუ (პორ)
ზაკოპალოვა (ჩეხ)
ბაშჩინსკი (შვეიც)
მანასიევა (რუს)
ჩანი (ტაივ)
ბარტოლი (საფ, 12)
ციბულკოვა (სლვკ, 14)
კუანი (საფ)
ჟეც პესკარიჩი (სლოვ)
უ. რადვანსკა (პოლ)
ვიკმაიერი (ბელ)
ვესნინა (რუს)
დუშევინა (რუს)
კორნე (საფ, 22)
კლეიბანოვა (რუს, 27)
კარატანჩევა (ყაზ)
შრემი (ხორ)
კულიკოვა (რუს)
რეზაი (საფ)
მორიტა (იაპ)
კუდრიავცევა (რუს)
დემენტიევა (რუს, 4)
აზარენკა (ბლრ, 8)
ბლემონი (საფ)
დეში (საფ)
ოლარუ (რუმ)
გრონეფელდი (გერ)
მირზა (ინდ)
გალოვიტცი (რუმ)
კირსტეა (რუმ, 28)
შარაპოვა (რუს, 24)
კუტუზოვა (უკრ)
დულკო (არგ)
ფორეტცი (საფ)
კამერინი (იტა)
პეერი (ისრ)
იაკიმოვა (ბლრ)
პეტროვა (რუს, 10)
ჟენგი (ჩინ, 16)
ბაროისი (გერ)
ჰანტუხოვა (სლვკ)
რობსონი (ბრიტ)
ტანასუგარნი (ტაილ)
პარა სანტონხა (ესპ)
სუგიამა (იაპ)
შნიდერი (შვეიც, 21)
პავლიუჩენკ (რუს, 31)
ჩეტკოვსკა (ჩეხ)
ვინჩი (იტა)
რიბარიკოვა (სლვკ)
საფაროვა (ჩეხ)
გროტი (ავსტრა)
ნეუზა სილვა (პორ)
ს. უილიამსი (აშშ, 2)

## უცხოური სპორტი

კალათბურთი

# ევროლიგის სნაიპერი ეფესში გადავიდა

## ოლიმპიაკოსმა ენტონი კარტერს 5 მილიონი შესთავაზა



ევროლიგის საუკეთესო სნაიპერმა **იგორ რაკოჩევიჩმა** კლუბი გამოიცვალა. ესპანეთის ვიცე-ჩემპიონის მცველმა კარიერის გაგრძელება თურქეთის "ეფეს პილსენში" გადაწყვიტა, რომელიც წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა. მხარეებმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს, რომელშიც არის პუნქტი ხელშეკრულების კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების შესახებ.

"ტაუგრესთან" ერთად რაკოჩევიჩი ორჯერ გავიდა ევროლიგის ოთხთა ფინალში, გარდა ამისა, ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და ქვეყნის თასის მფლობელი.

გასული სეზონის მსვლელობისას ბევრს წერდნენ იმის შესახებ, რომ რაკოჩევიჩით NBA-ის რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ სერბმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ხელმეორედ თამაში არ მოისურვა. რაკოჩევიჩი ადრე "მინესოტაში" ირიცხებოდა.

ამ კალათბურთელისთვის თურქეთი მეხუთე ქვეყანა იქნება, სადაც მას თამაშის შესაძლებლობა მიეცემა. მანამდე იგორს სერბეთში ("ცრვენა ზვეზდა"), ჩერნოგორიაში ("ბუდუჩნოსტი"), ამერიკასა ("მინესოტა") და ესპანეთში ("ვალენსია", "რეალი", "ტაუგრესი") უთამაშია და აშშ-ის გამოკლებით, ყველგან ჩემპიონი ან თასის მფლობელი ხდებოდა.

■ ■ ■

საბერძნეთის "ოლიმპიაკოსი" "ტორონტო რეპტორზის" მცველით **ენტონი პარკერით** აპირებს შემადგენლობის გაძლიერებას. "მაკაბის" ყოფილი კალათბურთელი 1 ივლისს თავისუფალი აგენტი გახდება და ბერძნული კლუბი მას ორწლიან კონტრაქტს შესთავაზებს სეზონში 5 მილიონი ევროს ოდენობის ხელფასით.

*"შევიტყვე "ოლიმპიაკოსის" დაინტერესების შესახებ, მაგრამ კონკრეტული კომენტარის გაკეთება მაშინ შემეძლება, როცა მომავალი კონტრაქტი მაგიდაზე მექნება"*, - განაცხადა პარკერმა.

ენტონიმ წინა რეგულარულში 80 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 10.7 ქულა დააგროვა. "ტორონტოში" მისი ხელფასი 4.5 მლნ დოლარს შეადგენდა.

# იტალიას ბელინელი და ბარნიანი დაეხმარებიან

ახლოვდება ევროპის ჩემპიონატი და გუნდები წლის მთავარი ტურნირისთვის მზადებას იწყებენ. ხორვატიის ნაკრების დამრიგებელმა **იასმინ რეპეშამ** იმ კალათბურთელების გაფართოებული სია გამოაქვეყნა, რომლებიც მომავალი თვის დასაწყისში დაიწყებენ შეკრებას. ხორვატთა რიგებში NBA-ის ერთადერთი წარმომადგენელია - **როკო ლენი უკიჩი** "ტორონტო რეპტორზიდან", რეპეშას გუნდის სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

**ზორან პლანინიჩი** (ცსკა), **კრეშიმირ ლონჩარი, მარკო პოპოვიჩი** (ორივე - უნიქსი), როკო-ლენი უკიჩი ("ტორონტო"), **დავორ კუსი, მარინ როზიჩი, ტომისლავ ზუბჩიჩი, ნიკოლა პრკაჩინი** (ყველა - "ციბონა"), **მარკო ტომასი** ("რეალი"), **დამიან რუდეჟი** ("ოლიმპია"), **დრაგო პასალიჩი, დამირ მარკოტა, მარკო ბანიჩი** (ყველა - "ბილბაო"), **სანდრო ნიჩევიჩი** ("ბენეტონი"), **ნიკოლა ვუიჩიჩი** ("ოლიმპიაკოსი"), **მარიო კასუნი** ("ეფეს პილსენი"), **ანტე ტომიჩი, კრუნოსლავ სიმონი, იაკოვ ვლადოვიჩი, როკ სტიპჩევიჩი** (ყველა - "ზაგრები"), **მარიო სტოიჩი** ("მენორკა"), **გორან სუტონი** ("მიჩიგან სტეიტი"), **მარიო დელაში** ("სპლიტი"), **დამირ რანჩიჩი** ("ზადარი").

■ ■ ■

ხორვატიისგან განსხვავებით, იტალიის ნაკრებს ჯერ გასანაღდებელი აქვს ევრობასკეტზე თამაში. **კარლო რეკალკატის** გუნდი დამატებით საკვალიფიკაციო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, სადაც ერთი ვაკანტური საგზური გათამაშდება.

ამ გუნდის ფანებისთვის სასიამოვნო ინფორმაცია ის არის, რომ ნაკრებში თამაშზე თანხმობა განაცხადეს "ტორონტოსა" და "გოლდენ სტეიტის" ლეგიონერებმა - **ანდრეა ბარნიანიმ** და **მარკო ბელინელიმ**. ნაკრების დანარჩენი მოთამაშეები იტალიის ჩემპიონატის მონაწილეები არიან:

**ვალერიო ამოროზო, ჯუზეპე პოეტა** (ორივე - "ტერამო"), ანდრეა ბარნიანი ("ტორონტო"), მარკო ბელინელი ("გოლდენ სტეიტი"), **მასიმო ბულერი, მატეო სორანია** (ორივე - "ბენეტონი"), **ანდრეა კროსარიოლი** ("აველინო"), **მარკო კუზინი** ("სორესინა"), **ლუიჯი დატომე, იაკოპო ჯაკეტი, ანჯელო ჯილი** (ყველა - "ლოტომატიკა"), **ლუკა გარი** ("ბიელა"), **სტეფანო მანჩინელი** ("ბოლონია"), **მარკო მორდენტე, ლუკა ვიტალი** (ორივე - "მილანი"), **შონ სტოუნრუკი** ("მონტეპასკი").

ველოსპორტი

# ლენსი ტურის ფავორიტია

ლეგენდარულმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ პირველ გამარჯვებას მიაღწია. ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონმა კალიფორნიაში ერთდღიან Nevada City Classic-ში გაუსწრო ყველას.

არმსტრონგს დისტანციის გასავლელად ერთი საათი, 28 წუთი და 20 წამი დასჭირდა. ლენსმა უახლოეს მდევარს, ფრანგ **ბენ ჟაკუს-მაინესს** 21 წამი მოუგო. მესამე ადგილზე კალიფორნიის ტურის ჩემპიონი, ამერიკელი **ლევი ლაიპჰაიმერი** გავიდა, რომელმაც ფრანგთან წამი წააგო.

რბოლას დაახლოებით 15 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს. არმსტრონგი ბოლოს ამ ტურნირზე 19 წლის წინ გამოდიოდა.

ამერიკელი ინტენსიურად ემზადება ტურ დე ფრანსისთვის და Nevada City Classic ამ მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო. არმსტრონგის ამ გამარჯვებას გამოეხმაურა ცნობილი იტალიური ველომრბოლი **ივან ბასო** და ლენსი მომავალი ტურ დე ფრანსის მთავარ ფავორიტად დაასახელა.

*"არმსტრონგი ჯირო დ'იტალიაზე მხოლოდ მეთორმეტე იყო, რაც მისი ცუდი ფორმის ბრალი გახლდათ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ლენსმა იტალიურ ველომარათონამდე ერთი თვით ადრე, ლავიწის ძვალი გაიტეხა. ის რომ ოპტიმალურ ფორმაში ყოფილიყო, აუცილებლად იბრძოლებდა გამარჯვებისთვის, მაგრამ ახლა, როცა მან ჯირო გაიარა, ტურზე მერვე ტრიუმფის კარგი შანსი აქვს. საფრანგეთის გზებზე მას ყველაზე სწრაფი ტემპი ექნება, რადგან უდიდესი გამოცდილება გააჩნია"*, - ამბობს ბასო.

წელს ტურ დე ფრანსი სტარტს 4 ივლისს მონაკოდან აიღებს.

ცურვა

# ფელპსი პროგრესირებს

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას აგრძელებს ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი**. 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი პრაქტიკულად ყოველ კვირას სტუმრობს სხვადასხვა ტურნირს და როგორც ჩანს, პროგრესის გზას ადგას.

გასულ უქმეებზე, ფელპსი მონრეალში კანადის თასზე გამოვიდა და ორ დისტანციაზე გაიმარჯვა. 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ამერიკელმა პირადი რეკორდი დაამყარა - დისტანცია 50.48 წამში დაფარა. ადრე ამ დისციპლინაში მისი საუკეთესო შედეგი 50.58 წამი იყო.

*"ექვგარეშეა, რომ ეს აუზი ძალიან სწრაფია"*, - ასე ახსნა თავისი მიღწევა მაიკლმა.

100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მსოფლიოს რეკორდი ფელპსის თანამემამულეს **იან კროკერს** ეკუთვნის - მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონატზე მან ეს დისტანცია 50.40 წამში გაცურა.

გარდა ამისა, ფელპსმა მონრეალში თავისუფალი სტილით ცურვაში 100 მეტრი მოიგო. მან აჩვენა დრო - 48.65 წამი. ორი კვირით ადრე, ამ დისციპლინაში მისი შედეგი 48.87 წამი იყო.

■ ■ ■

ამასობაში, ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ იმ საცურაო კომბინეზონების საბოლოო სია გამოაქვეყნა, რომლითაც მოცურავეებს რომში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა შეეძლებათ.

ნებადართული კოსტიუმების სიას შეემატა X-Glide და Jacked 01, რომლითაც აპრილში, საფრანგეთის ჩემპიონატზე მსოფლიოს ორი რეკორდი დამყარდა. ფრანგმა **ალენ ბერნარმა** X-Glide-ით თავისუფალი სტილით 100 მეტრი დისტანცია 46.94 წამში დაფარა, ხოლო მისმა თანამემამულემ **ფრედერიკ ბუსკემ** Jacked 01-ით პირველმა ისტორიაში 50 მეტრი 21 წამზე ნაკლებ დროში გაცურა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| ევრო 2009 | |
| UNDER 21 | |
| ფინეთი-ესპანეთი | 0:2 |
| გერმანია-ინგლისი | 1:1 |
| ისლანდია | |
| ვალური-ვესტმანაეიარი | 2:0 |
| ბრეიდაბლიკი-სტიარნანი | 2:1 |
| არგენტინა | |
| ბოკა-ხიმნასია (ლ) | 1:2 |
| ბრაზილია | |
| კორინთიანსი-სან პაულუ | 3:1 |
| კრუზეირო-ბარუერი | 2:4 |
| ფლამენგო-ინტერნასიონალი | 4:0 |
| სანტოსი-ატ. მინეირო | 2:3 |
| ჩილე | |
| ს. მორნინგი-უნ. კატოლიკა | 1:4 |
| პერუ | |
| სესარ ვალეხო-ალ. ატლეტიკო | 0:0 |

TV პროგრამა

### 23 ივნისი. სამშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:50** ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ესტუდიანტესი (არგენტინა)-დეფენსორი (ურუგვაი).
**09:40** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**10:10** არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ველეს სარსფილდი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვოლფსბურგი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვიგანი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. სტიაუა-ლიონი.
**18:20** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-პსჟ.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:35** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**21:05** ლიბერტადორესის თასი.
**21:55** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბეტისი.
**23:45** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. პორტუ-დინამო.
**02:05** გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-აიაქსი.
**03:55** გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ეინდჰოვენი.
**05:40** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ლილი.

**EUROSPORT**

**10:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-საფრანგეთი.
**11:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-შოტლანდია.
**12:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩები.
**13:00** ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. მიუნხენი. გერმანია.
**15:00** მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. II რბოლა. პორტუგალია.
**18:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-საფრანგეთი.
**18:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-შოტლანდია.
**19:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ჩერნოგორია-იტალია.
**20:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩები.
**21:00** მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. II რბოლა. პორტუგალია.
**23:00** პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. საშუალო წონა. ა. აბრაჰამი (გერმანია)-ლ. საიმონი (აშშ). გერმანია.
**00:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**01:00** რალი. IRC-ის სერია. ბელგია. მიმოხილვა.
**01:30** რალი-რეიდი. მსოფლიოს ტური.
**02:00** ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი.
**02:30** სპორტული ბილიარდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბელგია.

ჰოკეი

# 47 წლის ვეტერანი ვანკუვერში მიდის

"დეტროიტ რედ უინგზის" 47 წლის ვეტერანი **კრის ჩელიოსი** ვანკუვერის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. ამერიკის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან ბურკმა** ვეტერან ჰოკეისტს გუნდის შტაბში შესვლა შესთავაზა. როგორც ვარაუდობენ, ჩელიოსი ერთ-ერთი კონსულტანტის ან მწვრთნელის ფუნქციებს შეასრულებს. კრისის ზუსტი მოვალეობები ჯერ დადგენილი არ არის.

*"ჯერ არ დაგვიზუსტებია მისი როლი, მაგრამ ძალიან მინდა, რომ ვანკუვერში ის ჩვენ გვერდით იყოს"*, - ამბობს ბურკი.

ჩელიოსი პირველი ჰოკეისტი გახდა ისტორიაში, ვინც 2006 წელს, ტურინში ოლიმპიადაზე თავისი დებიუტიდან 22 წლის თავზე ითამაშა. სარაევოსა (1984) და ტურინის ოლიმპიადების გარდა, ამერიკელს 1998 წელს ნაგანოში და 2002 წელს სოლტ-ლეიკ-სიტიში უთამაშია. შესაბამისად, **კეიტ ტკაჩუკთან** ერთად ის პირველი ამერიკელი ჰოკეისტია, ვისაც ოთხ ოლიმპიადაზე მოუღია მონაწილეობა.

■ ■ ■

ვანკუვერის ოლიმპიადაზე ვერ ვიხილავთ ლეგენდარულ შვედ ფორვარდ **მატს სუნდინს**. 38 წლის ჰოკეისტი, რომელმაც გასული სეზონის დასკვნითი ნაწილი "ვანკუვერ კენაქსის" რიგებში გაატარა, ნაკრებში ახალი თაობის მოთამაშეებს უთმობს გზას.

*"ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა*, - ამბობს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი. - *შვედეთში საკმარისად მოიძებნებიან ნიჭიერი ჰოკეისტები და დრო მოვიდა, გზა ახალ თაობას გავუთავისუფლოთ. ჩემი აზრით, 2006 წელს ტურინის ოლიმპიადაზე შვედეთის გამარჯვება - სანაკრებო კარიერის ბრწყინვალე დასასრულია. მსოფლიოს საუკეთესო გუნდების წინააღმდეგ ვითამაშეთ და ჩემპიონები გავხდით. ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შეგვეძლო. რაც შეეხება ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ჩემს მომავალს, ყველაფერი უახლოეს პერიოდში გადაწყდება"*.



ფორმულა 1







# საიდუმლო პილოტი შუმახერი ყოფილა

ცნობილმა ბრიტანულმა საავტომობილო ტელეშოუმ - Top Gear-მა გადაცემის ძირითადი საიდუმლო გაამხილა - ცნობილი გახდა პილოტ-გამომცდელის (სტიგი) პიროვნება.

მრბოლელი, რომლის ნამდვილ გვარს დიდხანს საიდუმლოდ ინახავდნენ, ფორმულა 1-ის შვიდგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** ყოფილა.

ბოლო გადაცემის დროს, სტიგმა Ferrari FSX-ის პროტოტიპით Top Gear-ის ტრასის რეკორდი დაამყარა - ერთი წრის გავლას წუთი და 10.7 წამი მოანდომა. ამის შემდეგ, ეს პილოტი სტუდიაში მიიწვიეს, სადაც მან ტელეშოუს ისტორიაში პირველად მოიხადა თავისი ჩაფხუტი.

თუმცა გადაცემის ბოლოს, Top Gear-ის წამყვანმა **ჯერემი კლარკსონმა** განაცხადა - *"დარწმუნებული არ ვარ, რომ ნამდვილ სტიგს მიხაელ შუმახერი ჰქვია"*. თავად გერმანელი ტიტრებში "მოწვეულ ვარსკვლავად" იყო მოხსენიებული.

"თეთრი სტიგი", რომლის როლსაც შუმახერი თამაშობდა, უკვე მეორე პილოტია ტელეშოუს ისტორიაში. პირველი მრბოლელი - "შავი სტიგი", რომელიც შავ კომბინეზონსა და ჩაფხუტში გამოდიოდა, შოუდან იმის გამო დაითხოვეს, რომ მისი პიროვნება საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი. რამდენიმე გაზეთი იტყობინებოდა, რომ "შავი სტიგი" ბრიტანელი პილოტი **პერი მაკარტი** იყო.

BBC-ის ინფორმაციით, "თეთრი სტიგი" შეიძლება 22 წლის **ბენ კოლინზი** იყოს. გარდა ამისა, ჭორებს თუ დავუჯერებთ, დროდადრო ამ პერსონაჟს სხვა ცნობილი პილოტები ასახიერებდნენ. მაგრამ ის დანამდვილებით არის ცნობილი, რომ Ferrari FSX-ით რეკორდი მიხაელ შუმახერმა დაამყარა.




# მოსლიმ უკან დაიხია?

## ფედერაციის პრეზიდენტი კომპრომისზე ალაპარაკდა, გუნდებმა კი ახალი სერიის შექმნაზე მუშაობა დაიწყეს

ფორმულა 1-ის კრიზისში "მეამბოხე" გუნდების პოზიციები თანდათან უფრო მყარდება. გარდა იმისა, რომ ავტოსპორტის მოყვარულთა უმეტესი ნაწილი ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციის (FOTA) მხარეს იჭერს და იწონებს ალტერნატიული სარბოლო სერიის ჩამოყალიბების იდეას, თანდათან შეარბილეს თავიანთი ტონი ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა მფლობელმა **ბერნი ექლსტოუნმა** და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტმა **მაქს მოსლიმ**. გუშინდელ ნომერში ექლსტოუნის სიტყვები გაგაცანით: ის გუნდებს დაჰპირდა, რომ არ მისცემს ფედერაციას საჯინიბოების ბიუჯეტებზე ლიმიტის დაწესების საშუალებას.

სილვერსტოუნში ბრიტანეთის გრან-პრის მაქს მოსლიც ესწრებოდა, რომელმაც BBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ასეთი რამ განაცხადა: *"ყველაფერი ნორმალურად იქნება. გუნდებისა და ფედერაციის პოზიციები ძალიან ახლოა ერთმანეთთან, მხოლოდ რამდენიმე უთანხმოების მოგვარებაა საჭირო. ჩვენ დავადასტურეთ მოლაპარაკებების გაგრძელების თაობაზე მზადყოფნა"*.

როგორც ხედავთ, მოსლი ულტიმატუმების ენით აღარ ლაპარაკობს და ეს უკვე დიდი მიღწევაა. "სილვერსტოუნში" ფედერაციის პრეზიდენტი აქტიურად თანამშრომლობდა პრესასთან. მან ექლსტოუნის იმ განცხადებაზეც გააკეთა კომენტარი, სადაც ბერნიმ თქვა, რომ ბიუჯეტებზე ლიმიტი გაუქმდება, თუ გუნდები მომავალ ხუთ სეზონზე კონტრაქტს მოაწერენ ხელს. *"გუნდები კი არა, ავტომწარმოებლები,* - დააზუსტა მოსლიმ. - *ამ შემთხვევაში მართლაც უარს ვიტყვით შეზღუდვის იდეაზე"*.

ჯერჯერობით FOTA-სთან მოლაპარაკებები არ ყოფილა, მაგრამ მოსლი და ექლსტოუნი დიდი ხნით შეჩერდნენ "მერსედესის" მოტორჰოუმში, შემდეგ კი სხვა გუნდებისა და კომპანიების წარმომადგენლებს ესაუბრნენ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გადამწყვეტი ფაქტორი იქნება "ფერარისა" და ფორმულა 1-ის არსებული ხელშეკრულების შესახებ შვეიცარიის სასამართლოს გადაწყვეტილება. თუ მოსამართლეები იტალიური გუნდის მხარეს დაიჭერენ, FOTA მომავალ მოლაპარაკებებზე ძალიან სერიოზულ უპირატესობას მიიღებს.

ხოლო, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, გუნდების წარმომადგენლები ასეთ კომენტარს უკეთებენ მოსლის განცხადებას იმის შესახებ, რომ კომპრომისი ძალიან ახლოა...

**ფლავიო ბრიატორე** ("რენო"): *"FOTA-ის პოზიცია გამოცხადებულია - ჩვენ უკვე ვმუშაობთ ალტერნატიული ჩემპიონატის ორგანიზებაზე და უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში მოლაპარაკებებს გავმართავთ დაინტერესებულ მხარეებთან. ბოლო ორი დღის განმავლობაში არაფერი შეცვლილა - ჩვენ FOTA-ის მიერ ორგანიზებული ფორმულა 1 გვინდა"*.

**ჯონ ჰაუეტი** ("ტოიოტა"): *"ჩვენ საზოგადოების უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობთ. FOTA-მ ახალი ჩემპიონატის ორგანიზებაზე გააკეთა განცხადება და ახლა ამ მიზნის ასრულებისკენ მივდივართ. თავის დროზე გუნდებმა ბევრი დათმეს ფედერაციასთან მოლაპარაკებებისას, ახლა ყველაფერი FIA-ის პოზიციაზე იქნება დამოკიდებული"*.

**მარტინ უიტმარში** ("მაკლარენ-მერსედესი"): *"არ მგონია, კომპრომისი შესაძლებელი იყოს. სიტუაციის განვითარებას ვაკვირდებით, მაგრამ ახლა მთავარია - გუნდების ერთიანობა უკეთესი ჩემპიონატის შექმნისთვის. მომავალ კვირას დაგეგმილია FOTA-ის შეხვედრები. მოლაპარაკებებს ვიწყებთ ტრასებთან და უფრო კონკრეტულად ვგეგმავთ სამომავლო ნაბიჯებს"*.

უახლოეს დღეებში სიტუაცია, შესაძლოა, კარდინალურად შეიცვალოს - ოთხშაბათს გაიმართება ფედერაციის მსოფლიოს საბჭოს სხდომა, ხუთშაბათს - FOTA-ის შეხვედრა. ბრიტანეთისა და გერმანიის ეტაპებს შორის სამკვირიანი პაუზა შეიძლება გადამწყვეტი იყოს ფორმულა 1-ის ისტორიაში.

სხვათა შორის, გუნდების ასოციაციამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი ახალი ჩემპიონატის შექმნისთვის. მან ახალი სერიისთვის, რომლის სამუშაო სახელწოდებაა - New Formula, ტრასები შეარჩია.

წინასწარი გეგმის მიხედვით ჩემპიონატში 17 ეტაპი გაიმართება, შესაბამისად, FOTA-მ 17 ავტოდრომი ამოირჩია. აქედან რვა ფორმულა 1-ის ყოფილი ტრასაა (ბუენოს აირესი, მეხიკო, ხერესი, იმოლა, მონრეალი, ინდიანაპოლისი, მანი-კური და ადელაიდა), ექვსი - მოქმედი (მონაკო, სილვერსტოუნი, მონცა, აბუ-დაბი, სინგაპური და სუზუკა) და სამი - ახალი (პორტიმანი პორტუგალიაში, სერფერს პარადაიზი ავსტრალიაში და ჰელსინკი ფინეთში).

ჩოგბურთი

# ნოვაკის გეგმები: რესტორნების ქსელი და იახტით მოგზაურობა

სერბული ჩოგბურთის პირველი ნომერი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ევროპაში საკუთარი რესტორნების ქსელის შექმნას აპირებს. გასული წლის დეკემბერში, პლანეტის მეოთხე ჩოგანმა მშობლიურ ბელგრადში რესტორანი გახსნა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ნოვაკის ჯერჯერობით ერთადერთი რესტორნის დიზაინი ძალიან ჰგავს საჩოგბურთო კორტს. იქ ყველა ტელეეკრანზე ჩოგბურთის მატჩების ტრანსლაციებს გადასცემენ. როგორც თავად ჯოკოვიჩი ამბობს, რესტორანი კარგი სერვისისა და გემრიელი კერძების ხარჯზე გახდა პოპულარული. იქ ინგლისელი მზარეული მუშაობს, კერძები სერბულია და თითო ულუფის ღირებულება დაახლოებით 10 ევროს უდრის.




სწორედ ამის გამო, ნოვაკმა სერბეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში მსგავსი რესტორნების აშენება გადაწყვიტა. ჯოკოვიჩი ამას ადრეც გააკეთებდა, მაგრამ მას ამაში ხელს მთელ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი უშლის.

სერბი ჩოგბურთელის გეგმებით, მომავალი ქსელის ყველა რესტორანი აბსოლუტურად იდენტური უნდა იყოს - ეს ეხება ინტერიერს, მენიუს და ფასებსაც კი. კედლები მორთული იქნება სპორტსმენის კუთვნილი სხვადასხვა პრიზით, ჩოგნებითა და ნოვაკის ავტოგრაფიანი მაისურებით.

"ჯოკერი" ამ კვირას უიმბლდონზე თამაშობს, რის შემდეგაც თავის შეყვარებულთან - **ელენა რისტიჩთან** ერთად ერთთვიანი არდადეგები დაგეგმა. ამისთვის წყვილმა იახტა "მანჰეტენ 60" იქირავა, რომლის ღირებულებაც 2.5 მილიონი ევროა. იახტაზე ოთხი კაიუტაა, სადაც ნორმალური ცხოვრებისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი. იქ არის რამდენიმე პლაზმური ტელევიზორი, მინი-ბარი, საწოლი ოთახის ჭერი კი ისეა მოწყობილი, რომ ღამით ვარსკვლავების ცქერა შეიძლება.



"მანჰეტენ 60"-ით ნოვაკი და ელენა ესპანეთის, იტალიისა და საფრანგეთის სანაპიროებს მოივლიან. მათი მოგზაურობა ხორვატიის პორტ უმაგში დასრულდება. სწორედ აქ ითამაშებს ჯოკოვიჩი ბოლო ტურნირს ამერიკაში გამგზავრებამდე, სადაც აშშ-ის ღია პირველობისთვის დაიწყებს მზადებას. უმაგში ნოვაკი წყვილთა თანრიგში თავის ძმასთან, **მარკო ჯოკოვიჩთან** ერთად გამოვა.

გვერდი მოამზადა გია თვალაბეიშვილმა


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge